საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი

სეგეფო

ტვიალტვილი

„მამულიშვილის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე პკიდია"
ილია ჭავჭავაძე

№3
ივლისი
2016

ქრისტე ვლოგვ!

შეკითხოთ უფალს, მოგვცეს ძალა სულიერი აღდგომისათვის, სულიერი განწმენდისათვის, სულიერი აძაღლებისათვის. ადამიანი შექმნილია ხატად ღვთისა და უფალი, რომელიც ადამიანს აძლევს მძიმე ჯვარს, იგივე უფალი აძლევს მას ძალას, ცოდვებს გაუმკლავდეს. ღმერთმა გიშველოთ! ღმერთმა ძალა მოგანიჭოთ!

+ ილია II,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ალმანახი

სამეფო ტიტული

The Aristocracy of Georgia „ROYAL CROWN“

№3
ივლისი
2016

სარჩევი

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს აღდგენის 25 წელს გვილოცავენ 2
მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ მიზნები 3
ცხოველი სამეგა 4
სიტყვა თქმული მხედრობის მიმართ მოხირისთან ბრძოლის წინ 6
დაიცავი შენი წილი საქართველო! 7
„ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა...“ 15
პეტრე ბაგრატიონის ცხოვრების უცნობი დეტალები 22
მუხრანბატონები. ბაგრატიონ-მუხრანელები 28
ადგილის დედასთან დაბრუნება 32
წითელი ტერორი 39
ერთი ოჯახის შეწირულები 47
20 მაისი — ტრაგიკული თარიღი 49
საქართველოს ერთგული ეგგური 52
„ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფი“... 57
ქართული დრამატურგიის კრიზისი 64
ლიტერატურა, პოეზია 67
იყიდება საქართველო 72
„სიამაყე წინ უსწრებს დაცემას“ 74
დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის „ვერცხლის ქორწილი“ 78
სამშობლოს ერთიანობის დამცველი 81
იუბილე 86
ვერნისაჟი 87
საკრებულოს ქრონიკა 90
პოლიტიკური კრიზისი საქართველოში 91
კორუფციის ჭაობში 92
ხსოვნა 95

ISSN 2346-7886
9 772346 788003

მისამართი:
თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6

ტელ:
2 38 01 24; 599 42 30 11;

E-mail: nikobagrationi@gmail.com

რედაქტორი
ია ბაგრატიონ-მუხრანელი

მხატვარი
გიორგი წერეთელი

ტექნიკური რედაქტორი
ვაჟა აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

მეუფე ანანია (ჯაფარიძე)
პროტოპრესვიტერი
გიორგი (ზვიადაძე)
ოთარ ჟორდანია
ვაჟა აბაკელია
მანანა გაბაშვილი
იური ჩიქოვანი
მანანა ტაბიძე
ელენე ბარათაშვილი
ვაჟა ძიგუა-როგაკიძე
ცოტნე ნაკაშიძე

Editor
IA BAGRATION-MUKHRANELI

Design
GEORGE TSERETELI

Technical Editor
VAJA ABASHIDZE

Bishop

ANANIA (DJAPARIDZE)
Protopresviter
GEORGE (ZVIADADZE)
OTAR JORDANIA
VAJA ABAKELIA
MANANA GABASHVILI
IURI CHIKOVANI
MANANA TABIDZE
ELENE BARATASHVILI
VAJA DZIGUA-ROBAKIDZE
TSOTNE NAKASHIDZE




საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს აღდგენის 25 წელს გვილოცავენ

სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს სახელით გილოცავთ საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს აღდგენის 25 წლისთავს.

მქონდა პატივი მონაწილეობა მიმეღო საქართველოს თავადაზნაურობის პირველ, დამფუძნებელ თავყრილობაში. მრავალ თქვენგანს ვიცნობ პირადად და უღრმეს პატივს ვცემ.

ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის ქარცეცხლიანი პერიოდი, ბოლო 25 წელი, საქართველოს თავადაზნაურობამ ღირსეულად გამოიარა. აცოცხლებდა და ამკვიდრებდა რა კეთილშობილების, ღირსების, სამშობლოს მსახურების ქრისტიანული რწმენის, ჰუმანისტური იდეალების ერთგულების, მონარქისტული სულისკვეთების პრინციპებს.

დიდია საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ღვაწლი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში. ნიკო ბაგრატიონის სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი თვალსაჩინო ნიმუშია ამ ღვაწლისა.

საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ეგიდით მრავალი წიგნი დაისტამბა, გამოიცა რამდენიმე ალმანახი. საკრებულო ატარებს სამეცნიერო კონფერენციებს გენეალოგიის, ჰერალდიკის და ისტორიის აქტუალურ საკითხებზე, აქტიურ საქველმოქმედო მოღვაწეობას ეწევა.

დღეს, როდესაც აღინიშნება საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს 25 წლისთავი, მინდა პატივი მივაგო საკრებულოს გარდაცვლილი წევრების ხსოვნას.

ღმერთმა გაანათლოს ყოველი მათგანი და დაუმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ!

სანკტ-პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი.

გუძა აფაქიძე.
სანკტ-პეტერბურგი

ქართული გენეტიკური კოდი, ქართველთა ნიჭი ხელოვნებასა და მეცნიერებაში აღიარებულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ. გისურვებთ წინსვლასა და გამარჯვებას, ვამაყობ თქვენით.

ეთერ ანჯაფარიძე. აშშ, ჩიკაგო

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს აღდგენის 25 წლისთავს ვულოცავ. საქართველო აუცილებლად იქნება ერთიანი და განუყოფელი, ვითარცა კვართი უფლისა ჩვენისა.

ბიძინა ჩოლოყაშვილი

მეგობრებო! გილოცავთ საკრებულოს აღდგენის 25 წლისთავს. საფრანგეთის ემიგრაციის ყველა თაობის ქართველი თქვენთან არის. ველოდებით ბოლშევიზმის მსხვერპლთა პატივსაცემად წმ. ილია მართლის ეკლესიის აგებას ვაკის პარკის მიდამოებში.

დავით ფავლენიშვილი. პარიზი

მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ მიზნები:

- მონარქისტული იდეოლოგიის, მონარქისტულ-ქრისტიანული მსოფლმხედველობის დამკვიდრება, ეროვნული იდეალების ხორცშესხმა, იბერიულ-კავკასიური ერთობის გაძლიერება.
- ტრადიციულ ფასეულობათა პოსტულატების: „მამული, ენა, სარწმუნეობა, მონარქია“ — დამკვიდრება;
- რეფერენდუმის გზით, ხალხის ნების გამოვლინების შემთხვევაში, ბაგრატოვანთა დინასტიის აღდგენა კონსტიტუციური მონარქიის სახით;
- ბაგრატოვანთა დინასტიის ისტორიული პრიორიტეტების აღდგენა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევნილების დაბრუნება მშობლიურ მიწა-წყალზე;
- ქართული ენის, კულტურის, ისტორიის, მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა, როგორც ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრებ ხალხთა გამაერთიანებელ ფენომენზე;
- რუსეთის ცარიზმის იმპერიული პოლიტიკის შედეგად განხორციელებული ეროვნული გენოციდის მსხვერპლთა სახელების უკვდავყოფისათვის ზრუნვა, ბოლშევიკური რეჟიმის მიერ და აგრეთვე 1921-1992 წლიდან დღემდე რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების აღდგენა -რეაბილიტაცია.

მაგდა მჭედლიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ცხოველი სამება

(მონარქიის გაგებისათვის გრიგოლ ღვთისმეტყველთან)

სიტყვა „არქე“ ბერძნულად ნიშნავს საწყისსაც (როგორც რაიმეს დასაწყისის, ისე პირველსაფუძვლის გაგებით) და ნიშნავს მთავრობასაც (როგორც მმართველობას, ასევე თანამდებობას, და ასევე - თანამდებობის პირსაც). რაც შეეხება არქეს შემცველ კომპოზიტს - მონარქიას (მონოს - ,,ერთი“, „მხოლო“), იგი ერთის მიერ მართვას, რაიმეს სათავეში ერთის დგომას აღნიშნავს, და ასევე ერთი საწყისის, ერთი სათავის ქონას. აქედან გამომდინარე, ამ სიტყვის თეოლოგიური მნიშვნელობა მონოთეიზმს უიგივდება.

გრიგოლ ღვთისმეტყველი, IV ს. საღვთისმეტყველო დავების გათვალისწინებით, თავის თხზულებებში ხშირად ამახვილებს ყურადღებას მონარქიის გაგებაზე. ჰომილიებში „უფლის შობისათვის“ და „წმიდა აღდგომის შესახებ“ იგი მონარქიის იუდაისტური ინტერპრეტაციის საფრთხეზე საუბრობს: ღმერთს რომ ვახსენებ, ვგულისხმობ მამას, ძესა და სულიწმიდას, რადგან, თუკი ღმრთეებას ამათზე მეტად განვფენ, ელინებს დავემსგავსები, ხოლო, თუკი ამათზე მეტად შემოვსაზღვრავ, მონარქიის გამო, იუდეველებსო.

წმ. გრიგოლი უპირისპირდება ერეტიკოსთა (მაგალითად, საბელიოსისა და სხვ.) მიერ მონარქიის იდეის „ბოროტად დაცვასაც“, როდესაც ერთმთავრობის დაცვის მოტივით სამებას აკნინებენ (ჰომილიები ,,სულიწმიდის შესახებ“ და „ფილოსოფოს ჰერონის ქება“).

ამპეს პატრისტიკული ლექსიკონის მიხედვით, მონარქია ასევე აღნიშნავს ღვთაებრივი ბუნების ისეთ ერთობას, რომელიც ერთადერთი წყაროდან - მამისგან მომდინარეა (რის გამოც ადრეულ ავტორებთან მამის უპირატესობაა აქცენტირებული). გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებში მონარქია სწორედ მამის პირთან დაკავშირებით აქვს გაგებული ცნობილ მართლმადიდებელ თეოლოგს - იოან მეიენდორფსაც, რომლის აზრით, ღვთის ერთობა წმ. გრიგოლისათვის ემყარება არა მხოლოდ ერთარსებობას, არამედ ასევე მამის მონარქიასაც (единоначалие). მეცნიერის განმარტებით, ეს ნიშნავს იმას, რომ მამის, ძისა და სულის ერთობის წყარო არის მამაში, რაც არანაირად არ არღვევს პირთა ღვთაებრივ თანასწორობას, „რადგან აღნიშნავს დაქვემდებარებას მიმართების მიხედვით, და არა - არსების“. იოან მეიენდორფი, როგორც ჩანს, ეყრდნობა გრიგოლ ღვთისმეტყველის „სულიწმიდის შესახებ“ ჰომილიის შემდეგ პასაჟს: „განუყოფლად არის დაყოფილი ღვთაება, როგორადაც სამ მზეში, რომლებიც ერთმანეთშია, ერთი ნაერთი ნათლისა. და აი, როდესაც ღვთაებას ვჭვრეტთ, ასევე - პირველ მიზეზს, ასევე - მონარქიას, ერთია ჩვენ მიერ წარმოსახული,

ხოლო, როდესაც მათ ვხედავთ, რომლებშიც არის ღვთაება, რომლებიც პირველი მიზეზიდან არიან უჟამოდ და თანაღირსად, სამია ჩვენ მიერ თაყვანცემული“.

მონარქიის მიენდორფისეული ინტერპრეტაცია ციტირებული ტექსტის მიხედვით შესაძლებელია, თუმცა არა აუცილებელი; რუსი თეოლოგი, ცხადია, ღვთაების ორთოდოქსული გაგებიდან ამოდის და საგანგებოდაც აღნიშნავს, რომ წმიდა სამების თეოლოგიის შეუცნობლობა, საბოლოოდ, შესაძლოა, ღმერთის ფილოსოფიურ გაგებამდე, ანუ დეიზმამდე, მივიდეს. ამის მაგალითს ჩვენ, მართლაც, ვნახავთ XI საუკუნის ფილოსოფოსის, იოანე იტალოსის ტრაქტატში „სამია უძველესი აზრი ღმერთის შესახებ: ანარქია, პოლიარქია და მონარქია“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრაქტატი დაწერილია როგორც კომენტარი „ძის შესახებ“ ჰომილიისა, რომელშიც გრიგოლ ღვთისმეტყველი პირდაპირ უარყოფს მონარქიის მხოლოდ მამის პირთან გაიგივებას. წმიდა მამას, კერძოდ, ნათქვამი აქვს: „სამია უძველესი აზრი ღმერთის შესახებ: ანარქია, პოლიარქია და მონარქია... ჩვენ მონარქიას მივაგებთ პატივს; არა იმ მონარქიას, რომელიც ერთი პირით შემოიფარგლება, რადგან, შესაძლებელია, ერთიც, თავის თავის წინააღმდეგ აღმდგარი, მრავალი იყოს, არამედ, რომელსაც ქმნის ბუნების თანაპატივი, ნების ერთსულოვნება, მოძრაობის იგივეობა, ერთში შეერთება მათი, რომლებიც მისგანაა, რაც შეუძლებელია დაბადებული ბუნებისათვის. ასე რომ, თუნდაც იგი რიცხვით განსხვავდებოდეს, არსებით არ იყოფა...“ („ძის შესახებ“, 2).

საინტერესოა, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ პასაჟის ქართულად თარგმნისას ექვთიმე ათონელი ტექსტშივე ჩაურთავს მონარქიის მონოთეიზმად განმარტებაც და ისიც, რომ ჩვენი მონოთეიზმი განსხვავებულია იუდაისტურისაგან (ექვთიმესეული დამატებები დახრილი შრიფტით არის გამოყოფილი): „ჩუენ ერთსა მთავრობასა ერთღმრთეებისასა პატივ ვსცემთ... ხოლო ერთმთავრობასა არა ესრეთ ვქადაგებთ, რაჲთამცა ერთპირად შემოიწერებოდა, ვითარ იტყჳან გონებაცთომილნი ჰურიანი“ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ც. ქურციკიძემ).

წმ. გრიგოლის სხვა თხზულებებშიც მონარქია წმიდა სამებას მიემართება: ჰომილიაში „ფილოსოფოს ჰერონის ქება“ ნათქვამია, რომ ძე იწოდება ღმერთად ბუნების მიხედვით და უფლად - მონარქიის შესაბამისად, როდესაც მამასთან ერთად იხსენიება.

ჰომილიაში „წმიდა ნათლობის შესახებ“ განმარტებულია, რომ მამას, ძესა და სულიწმიდას - თითოეულს თავისი თავისებურებებით ღმერთად ვჭვრეტთ (თეორუმ ენა), მაგრამ ამავე დროს ღმერთია სამი ერთად მოაზრებული (ნოუმ ენა), როგორც ერთარსების შესაბამისად, ისე მონარქიის მიხედვით.

„დოგმატურ სიმღერებში“ (508-509) ღვთისმეტყველი მიმართავს ღმერთს, როგორც მონარქს, ყოველივეს შემოქმედს, ყველა სიკეთის მომნიჭებელს, რომლის სიტყვა არის ძე ღმერთი, ერთარსი და თანაღირსი მშობლისა, რომლის მეფობას იცავს ღვთაება სულიწმიდა; აქვე წმ. გრიგოლი ღვთაებას უწოდებს „ცხოველ სამებასა“ და „ერთადერთ მონარქს“...

მეფეთა აპოლოგია, ამეტყველებული მატიანე

მეფე გუბაზ, კოლხეთის მეფე.

სიტყვა თქმული მხედრობის მიმართ მოხირისთან ბრძოლის წინ

„მე არ ვიცი ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი, თქვენს აღსაფრთოვანებლად, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებათა საჭიროებითა უკვე აღფრთოვანებულია...

საფრთხე არსებობს ცოლებისათვის, შვილებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის და, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რის გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს...

ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის, ხშირად გაგვიმარჯვნია მათზე, ხელჩართულ ბრძოლაში მიჩვეულისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრება მეცადინეობისა და გამოცდილების წყალობით.

მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი კეთილი იმედებით“.

ნ. კანდელაკი, „ქართული მჭევრმეტყველება“

„ ...ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი უპყრა სვეტსა შინა სამხრით, ადგილსა მას, სადა დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი, მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოსად და სამოელ-ეპისკოპოსად მცხეთასავე საეპისკოპოსასა აქიზისასა, ერთი — არტანს, ერთი — მანგლისს, ერთი — ბოლნისს, ერთი — რუსთავს, ერთი — ნინოწმინდას, უჯარმოს კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი- ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელ იგი მანვე აღაშენა, ერთი-ჩელეთს, რომელი, სოფელსა შუა აღაშენა, ერთი — ხორნაბუჯს, ერთი — აგარაკს, რომელ არს ხუნანის გამართებით. შემდგომად ამისა აღაშენა ეკლესია ნიგოზის საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა იგი დაეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა...“

„ქართლის ცხოვრება“

დავით თარხან-მოურავი,
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე,
თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი

დაიცავი შენი წილი საქართველო!

პატრიოტიზმი არის ფიქრი, აზროვნება, საუბარი, მეტყველება, მოქმედება ეროვნული სულისკვეთების შესაბამისად - აი, ეს არის პატრიოტიზმი.

რა არის ეროვნული სულისკვეთება?

ეროვნული სულისკვეთება არის სამშობლოსათვის თავდადება, რწმენის ერთგულება, ყოველივე ქართულის სიყვარული და ენის პატივისცემა.

ეროვნული სულისკვეთება შორს არის სიძულვილისგან. ჩვენ არ გვძულს სხვა. პირიქით, ღია ვართ. მზად ვართ, მივიღოთ ყველაფერი კარგი სხვისა, მაგრამ ჩვენსას სულ ხელისგულზე ვატარებთ.

ეს არის პატრიოტიზმი!

ქართული ფასეულობა არის ერთგულება, თავდადება და ვაჟკაცობა, ანუ სიყვარული

ქართული ფასეულობა არის ერთგულება და ამ ერთგულებაზე დაფუძნებული თავდადება, რაც, სხვათა შორის, არ არის ადვილი. კაცი შეიძლება ერთგული იყოს, მაგრამ რაღაც ვითარებაში თავდადება არ ეყოს.

ქართული ფასეულობა არის თავდადების საფუძველზე ვაჟკაცობა. ვაჟკაცობა - ეს არის სიკეთით აღვსილი სიმამაცე. სიმამაცე თავისთავად არის უნარი, სძლიო საკუთარ შიშს. სიმამაცე შეიძლება იყოს ბოროტი - თემურ ლენგი, იგივე კოჭლი თემური, ძალიან მამაცი კაცი იყო, მაგრამ ძალიან ბოროტი.

თუ კაცს შეუძლია ერთგულება, თავდადება და ვაჟკაცობა - ეს არის სიყვარული. ქართული ფასეულობა არის სიყვარული. ყველაფერი ეს სიკეთეს ეფუძნება.

ქართული ფასეულობა არ არის შური, არ არის შუღლი და არ არის სიძულვილი. ქართული ფასეულობა გამორიცხავს ქსენოფობიას. ჩვენ ამიტომაც არ გვძულდა არასოდეს ირგვლივ მცხოვრები ერები და ჩვენ ამის გამო ვიყავით კავკასიის ცენტრი. ამიტომაც არის, რომ აქ თავს სომეხიც აფარებდა, აზერბაიჯანელიც, ებრაელიც, ოსიც და ჩეჩენიც. ჩვენ ყოველთვის შორს ვიყავით როგორც ეროვნული, ასევე რელიგიური შუღლისაგან. სწორედ იმიტომ ვიყავით შორს, რომ სიყვარული ჩვენთან ერთგულებას, თავდადებას და ვაჟკაცობას, ანუ სიკეთით აღვსილ სიმამაცეს ეფუძნებოდა.

ეს არის ჩვენი ფასეულობა, ეს არის ჩვენი აზროვნება და ამიტომ უნდა ვიამაყოთ, რომ ქართველები ვართ!

ჩვენ უნდა აღვზარდოთ განსწავლული თაობა!

...ქართველებს მათემატიკის, ფიზიკის, კომპიუტერული პროგრამების განსაკუთრებული ნიჭი გვაქვს და, საერთოდ, შემოქმედებითი აზროვნება გვახასიათებს. ჩვენ უნდა აღვზარდოთ მეცნიერებატევადი ტექნოლოგიური სპეციალისტები; ჩვენ უნდა აღვზარდოთ განსწავლული თაობა; ჩვენ უნდა აღვზარდოთ შემოქმედი თაობა და ეს უნდა იქცეს დიდ, მასშტაბურ და საყოველთაო საქმედ - ეს არის ყველაზე მოკლე გზა მაღალგანვითარებული მსოფლიოსაკენ.

მეცნიერებისა და განათლების გარეშე ჩვენ მომავალი არ გვაქვს!

განათლება მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია. ეს უნდა იყოს ერთიანი ჯაჭვი. სკოლამდელი და სასკოლო განათლება უნდა იყოს უფასო, სავალდებულო და საყოველთაო. უნდა გაჩნდეს ზოგადი უმაღლესი განათლების სამწლიანი კურსი. ესეც უნდა იყოს უფასო, საყოველთაო და სავალდებულო. ამის შემდეგ არის ბაკალავრიატი და მაგისტრატურა. უნდა აღდგეს და აღორძინდეს სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტები. უნდა აღდგეს კავშირი ამ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებს შორის, იმიტომ რომ მეცნიერება სწავლებისაგან განუყოფელია. მასწავლებლები უნდა ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში და მათ უნდა ჰქონდეთ ყველაზე მაღალი ანაზღაურება.

ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს შვილებს და ჩვენს შვილიშვილებს, რომ ახლა მდიდარი არის მცოდნე კაცი. ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა იყოს პროპაგანდა, რომ ქვეყანას ჩაიბარებს ის, ვინც მცოდნეა; რომ ქვეყანაში კარგად იცხოვრებს ის, ვინც მცოდნეა; რომ მდიდარი და წარმატებული იქნება ის, ვინც მცოდნეა. უნდა გვახსოვდეს, რომ განათლება მეცნიერების გარეშე არ არსებობს, ხოლო განათლების გარეშე ჩვენ არა გვაქვს მომავალი.

ქართველი ხალხი უნდა დაეპატრონოს საქართველოს!

ხალხს უნდა შეეძლოს ნებისმიერი თანამდებობის პირის გადაყენება, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ მინისტრი; ხალხს უნდა შეეძლოს ნებისმიერი დეპუტატის გამოწვევა, მერის თუ გამგებლის გადაყენება; ხალხს უნდა შეეძლოს ნებისმიერი უვარგისი კანონის გაუქმება, საზიანო გადაწყვეტილების შეცვლა. ამისათვის ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას სპეციალური უწყება, რომელსაც დაევალება რეფერენდუმების ჩატარება. ამ უწყებამ უნდა შექმნას განყოფილებები ყველა საარჩევნო ოლქში და თუ ამ განყოფილებას გარკვეული რაოდენობის ხალხი მიმართავს, ვთქვათ, მინისტრის გადაყენების ან დეპუტატის გამოწვევის მოთხოვნით ან სხვა რაიმე საკითხით, დაუყოვნებლივ უნდა დაინიშნოს რეფერენდუმი.

ცხადია, ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რა რაოდენობის ადამიანებს შეუძლიათ ამა თუ იმ მოთხოვნის წამოყენება.

ბოლოს და ბოლოს, ქართველი ხალხი უნდა დაეპატრონოს საქართველოს!

ქართული მიწა-წყალი ეკუთვნის ქართველ ხალხს!

საქართველოს მთელი ტერიტორია 7,5 მილიონ ჰექტარზე ცოტა მეტია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 3,5 მილიონ ჰექტარზე ნაკლები უკავია. ამ დროს საბაზრო ფასი საშუალოდ 1000 ლარია. 1000 დოლარიც რომ იყოს, გამოდის, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ღირებულება მთლიანად სამ-ნახევარ მილიონ დოლარზე ნაკლებია. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რომელიმე მილიარდერს, თუნდ ბრუნეის სულთანს ან ბილ გეითსს, სხვას 10-ჯერ, 15-ჯერ, 20-ჯერ შეუძლია მთელი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეძენა და ბატონ სოროსს, მე მგონი, ერთხელ მაინც შეუძლია ან ორ-ჯერაც კი. იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, ჩეხეთში, ავსტრიაში, მექსიკაში, არგენტინაში ქართველი კაცი თუ დედაბუდიანად არ გადასახლდა, ვერც სახნავ-სათეს მიწას იყიდის, ვერც - საძოვარს, ვერც - ტყეს. იქ კანონმდებლობა ამას კრძალავს. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება ძალიან პატარა მოცულობისა მიჰყიდონ. აი, ვთქვათ, თურქეთში ქართველი ორ-ნახევარ

ჰექტარზე მეტ მიწას ვერ იყიდის; ჩინეთსა და ინდოეთში ქართველი მიწას ვერ იყიდის. თურქი, ჩინელი და ინდოელი კი საქართველოში, რამდენიც გაუხარდება, იმდენს იყიდის. და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი მიწა-წყლის პატრონი სხვა არის, ჩვენ არა ვართ.

ქართული მიწა-წყალი და საქართველოს ბუნებრივი რესურსები უნდა ეკუთვნოდეს ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ხალხს!

დავიცვათ ქართული ინტერესი მთელ მსოფლიოში

მრავალი წელია, პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი საკუთარ თავს „პროამერიკელს“ უწოდებს და გვეუბნება, რომ ჩვენ გვიხსნის ვაშინგტონი.

პოლიტიკოსთა მეორე ნაწილი საკუთარ თავს „პრორუსს“ უწოდებს და გვეუბნება, რომ ჩვენ მოსკოვი გვიხსნის.

არიან ისეთებიც, რომლებიც ხსნას თურქეთში ხედავენ. ეს იმდენი წელი ესმის ხალხს, რომ უბრალოდ ყბედობა ჰგონია. მაგრამ 30 000-ზე მეტ თურქს საქართველოს მოქალაქეობას რომ მისცემ, ეს ყბედობა კი არა, თურქეთის ინტერესის დაცვაა და შენი თავის მტრობა.

გაეროში პალესტინას რომ დაუჭერ მხარს, ეს ამერიკის ინტერესის დაცვაა და არა - შენი.

ამ დროს, პირიქით, ქართული ინტერესი უნდა დავიცვათ ყველგან!

უბრალო მაგალითი: სრულიად ღატაკმა და ჩამორჩენილმა, თანაც კომუნისტურმა ჩინეთმაც კი მიიზიდა ამერიკული ფული და ტექნოლოგიები და დღეს მოწინავე ქვეყანაა.

ჩვენ კი დიდი ვერაფერი მოვიზიდეთ. არადა, ნამდვილად შეგვიძლია.

კიდევ ერთი მაგალითი: ჩვენ უნდა ვითხოვდეთ ბრიუსელში კვოტას, რათა თურქმენული გაზის თუნდაც მცირედი ნაწილი საქართველოს გავლით შევიდეს ევროპაში, მაგრამ ვერც ეს მოვახერხეთ. არადა, ესეც შეგვიძლია.

მოსკოვთან ხომ საერთოდ სავალალო ვითარებაა. ოცდამეხუთე წელია, ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწიეთ წინ, პირიქით, მარცხის გზას ვადგავართ. არადა, რუსეთს ნავთობისა და გაზის ტრანზიტიც აინტერესებს, შავი ზღვის შელფიც აინტერესებს და ჩვენი პორტებიც.

სამაგიეროდ, ჩვენ დევნილების დაბრუნებაც გვაღელვებს და სოხუმისა და ცხინვალის დედასამშობლოში დაბრუნებაც გვწადია.

ჩვენ უნდა შევისისხლხორცოთ, რომ ჩვენი უმთავრესი მოვალეობაა ქართული ინტერესის დაცვა ყველგან და ყოველთვის.

დღეს სრულიად არაბუნებრივმა გამონათქვამმა მოიკიდა ფეხი: მე „პროქართველი“ ვარ!

ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, ქართველები ვართ და არა „პროქართველები“.

ჩვენ მოვალენი ვართ, დავიცვათ ჩვენი ინტერესი ვაშინგტონში და არა ვაშინგტონის ინტერესი - თბილისში.

ჩვენ მოვალენი ვართ, დავიცვათ ჩვენი ინტერესი ბრიუსელში, და არა ბრიუსელის ინტერესი - თბილისში.

ჩვენ მოვალენი ვართ, დავიცვათ ჩვენი ინტერესი მთელ მსოფლიოში! ეს არის ჩვენი ქართული მოვალეობა!

ქართული სიმღერა - მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება

დედამიწაზე ძალიან ბევრი სახელმწიფოა. 190-ზე მეტი სახელმწიფო ოფიციალურად არის გაეროს წევრი. ვერავინ დაითვალა ეთნოსების, ხალხების თუ ერების რიცხვი მსოფლიოში - 4000-მდე სახელდება. უნდა ითქვას, რომ ძალიან ბევრი ერი 3 მილიონზე მეტია, მაგრამ ყველამ როდი მისცა, როდი დაუტოვა კაცობრიობას დიდი კულტურული მემკვიდრეობა.

პრაქტიკულად ყველამ იცის მსოფლიოს შვიდი საოცრების შესახებ. ეს არის შვიდი მატერიალური საოცრება: ხეოფსის პირამიდა, სემირამიდას ბაღები, ალექსანდრიის შუქურა...

ბევრს არ გაუგია, სამწუხაროდ, იმის შესახებ, რომ 2000 წელს, იუნესკომ გამოაცხადა კონკურსი „ცხრამეტი არამატერიალური საოცრება“. ესეც კულტურული მემკვიდრეობაა.

ვერ ვიტყვი, რომ 190-მა ქვეყანამ მიიღო კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ მონაწილეთა შორის უამრავი სახელმწიფო იყო, სადაც 5 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მაშინ იუნესკოში საქართველოს ელჩი იყო გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე გოჩა ჩოგოვაძე. მან ძალიან ბევრი იღვაწა, იშრომა და იბრძოლა ამ კონკურსის ფარგლებში და ქართული პოლიფონიური სიმღერა, ჩვენ რომ შვიდკაცას ვეძახით, აღიარეს ცხრამეტ არამატერიალურ საოცრებათა შორის. ეს არის უდიდესი აღიარება იმისა, რომ ჩვენ მსოფლიო კულტურას რაღაც მივეცით.

ქართული სიმღერა უბრალო მოვლენა არ არის. უამრავი სპეციალისტი, რომელმაც არ იცის, რომ ეს ქართული სიმღერაა, ვერ ხედავს და ისე უსმენს, კითხულობს: რა ინსტრუმენტებით სრულდებაო. ამ დროს ჩვენ ვიცით, რომ იქ ინსტრუმენტი არ არის, ეს - ხმაა. აღარ

ვლაპარაკობ რაოდენ დახვეწილია და რაოდენ რთულია შესასრულებლად, როგორ გადმოსცემს ქართული ფოლკლორი ხასიათს, ვითარებას, მდგომარეობას...

კოსმოსში გაიგზავნა „ჩაკრულო“. ჩვენ უნდა ვიამაყოთ, რომ შევქმენით მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება და ეს არის ქართული სიმღერა!

ქართული ცეკვა — უდიდესი მოვლენა მსოფლიო კულტურაში

კიდევ ერთი უზარმაზარი მიღწევა და შენატანი მსოფლიო კულტურაში არის ქართული ცეკვა. ეს არის, ერთი მხრივ, დიდი ვაჟკაცობით და, მეორე მხრივ, აბსოლუტური სისპეტაკით გაჟღენთილი მოვლენა. ძალიან ბევრი ცეკვავს კარგად. მაგალითად, ესპანური ცეკვა ბრწყინვალეა, მაგრამ იქაც არის სექსუალური ელემენტი. ქართულ ცეკვაში სექსუალური ელემენტი არ არის. მამაკაცი როცა ცეკვავს, არამარტო ქალს, არამედ მის სამოსსაც კი არ ეხება. ცეკვა ხევსურულში - ფარიკაობის სცენაა, მაგრამ ამ ფარიკაობის დროს მანდილოსანი მანდილს რომ ჩააგდებს, ორთაბრძოლა წყდება, რადგან მანდილოსანი სწორედ მშვიდობის სიმბოლოა. წარმოიდგინეთ, რამდენად დიდი იყო ქალის პატივისცემა, რომ მისი მანდილი, მისი ჩარევა მტრებსაც კი აზავებდა, ხშირად ამოყვრებდა.

გენდერული თანასწორობა, რაზეც ახლა ძალიან პოპულარულია საუბარი, ქართველებმა იცოდნენ 2000 და 3000 წლის წინ. მანდილოსანი უამრავ საკითხს წყვეტდა საქართველოში და ეს აისახა ქართულ ცეკვაში.

მეომარი სული, რომელიც აჭარულშია, ძალიან კარგად არის გამოხატული მხედრების სცენაში.

ევროპელები, ამერიკელები ქართულ ცეკვას ბალეტს ეძახიან. რატომ? იმიტომ, რომ ფეხის წვერებზე კი არა, ცერებზე ცეკვავენ. ქართულ ცეკვას ანალოგი არ აქვს მსოფლიოში და მან სრულიად დასაბუთებულად, ღირსეულად დაიკავა თავისი ადგილი და შექმნა უდიდესი მოვლენა მსოფლიო კულტურაში.

თუნდაც ამიტომ უნდა ვიამაყოთ, რომ ქართველები ვართ!

ქართული სუფრა - ცოდნის და ინფორმაციის გადაცემის სრულიად უნიკალური მექანიზმია

„თუ სამშობლოს დაცვის, სახელმწიფოს შენახვის პირობა სიყვარულია, მაშინ ქართველებს და მსგავსი ისტორიის მქონე სხვა ერებს ცხოვრების ფუძედ, საძირკვლად სიყვარული ჰქონიათ. სიყვარულს უშენებია მტრობით დანგრეული“.

ჭაბუა ამირეჯიბი,
„დათა თუთაშხია“.

სადღეგრძელო ქართულ სუფრაზე - ეს აუცილებლად იყო ლექსი, ან სახარებიდან ქრისტეს იგავი იყო, ან რაიმე ფილოსოფიური დატვირთვის მქონე ლეგენდა, ან ანდაზა, რომელიც ცოდნას გადასცემდა. ქართული სუფრა სწორედ ამით იყო განთქმული.

ბავშვმა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სუფრას რომ ესწრებოდა, ამ სუფრაზე გათქმულ სიბრძნეს რომ იგებდა, ამით ნათლდებოდა. VII-XII საუკუნეებში მოსახლეობის 99% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამ პერიოდში, ამ ურთულეს დროს, როდესაც არ იყო ინფორმაციის გადაცემის ქმედითი საშუალებანი, ქართველმა კაცმა შექმნა ცოდნის და ინფორმაციის გადაცემის სრულიად უნიკალური მექანიზმი. ეს არის ქართული სუფრა.

ჩვენ შევქმენით ეს, ნამდვილად შევქმენით და ქართულ სუფრაზე საუკუნეების განმავლობაში ახალგაზრდობა სიბრძნეს სწავლობდა და ეს სიბრძნე იყო სწორედ ის იგავი, სწორედ ის ლექსი, სწორედ ის ფილოსოფიური ლეგენდა თუ ანდაზა, თუ სხვა და სხვა.

სამწუხაროდ, საბჭოთა დროში ყველაფერი მოისპო და ქართული სუფრა, ყველგან არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ბევრ ადგილას გადაიქცა „გაგიმარჯოს-გაგვიმარჯოს“, „მხოლოდ ჩვენ გაგვიმარჯოს“ პრიმიტიულ შეძახილებში. უნდა ავაღორძინოთ ქართული სუფრა სიმთვრალის გარეშე. ძველ დროში შინისკენ მიმავალ კაცს გზად ფეხი რომ არეოდა, ეს უდიდესი სირცხვილი იყო. ამიტომ ქართულ სუფრაზე

ხალხი ზომიერად სვამდა. იქ დათრობა კი არ იყო ამოცანა, იქ იყო ზომიერება, ცოდნა, იქ იყო პირველი - დიდი სიბრძნე, მეორე იქ იყო მტრების შერიგება, მეგობრობის განმტკიცება და არაფერი შეურაცხმყოფელი იქ არ იყო.

ჩვენ უნდა დავრჩეთ ქართველებად!

რამდენიმე თვეა პოლიტიკაში ახალი აზრი ინერგება: თურმე „ქართული“ ნიშნავს არაევროპულს და რაც არაევროპულია, ის რუსულია. ეს არის ცნებათა აღრევა.

„მე ვარ ქართველი“ - ნიშნავს, რომ მე არ ვარ ფრანგი, მე არ ვარ გერმანელი, მე არ ვარ პოლონელი, მე არ ვარ რუსი. ამას ნიშნავს „მე ვარ ქართველი“. მაგრამ მეც - ქართველსაც,

რუსსაც, პოლონელსაც, გერმანელსაც და ფრანგსაც - თითოეულ ჩვენგანს ჩვენი თავი ევროპელად მიგვაჩნია. ამავდროულად „მე ვარ ქართველი“ ნიშნავს, რომ მე არ ვარ ამერიკელი, არ ვარ ჩინელი, არ ვარ იაპონელი, არ ვარ ავსტრალიელი.

„მე ვარ ქართველი“ - ნიშნავს, რომ მე მინდა შევინარჩუნო ჩემი ეროვნული თვითმყოფადობა; მე მინდა ვიცხოვრო ჩემი რწმენის, ჩემი ტრადიციების, ჩემი ადათ-წესების, ჩემი ფასეულობების დაცვით. ჩვენ არ უნდა ვიყოთ უფრო მეტად გერმანელები, ვიდრე გერმანელები არიან და უფრო მეტად ფრანგები, ვიდრე ფრანგები არიან.

ჩვენ უნდა დავრჩეთ ქართველებად და ჩვენ უნდა ვიყოთ მტკიცენი ჩვენი ცხოვრების წესის დაცვის საკითხში!

მტერი, ჩაგრულის ნიღბით

ქართველი კაცი ათასწლეულების მანძილზე აშენებდა ქართულ სახელმწიფოს, სწამდა ღმერთი, ქმნიდა ქართულ კულტურას, ჩამოაყალიბა ქართული აზროვნების წესი. ათასწლეულების მანძილზე მოდიოდა ათასგვარი დამპყრობელი და გადამთიელი, რომლებიც ცდილობდნენ დაენგრიათ ჩვენი სახელმწიფო და წაერთმიათ რწმენა, ცდილობდნენ გაენადგურებინათ ქართული კულტურა და მოესპოთ ქართული აზროვნების წესი, ცდილობდნენ გადაეგვარებინათ, მაგრამ ქართველი კაცი ხმალით ხელში ხვდებოდა მოსულს და, ღვთის წყალობით, დღემდე მოიტანა თავი.

დღეს დამპყრობელი მოდის ჩაგრულის ნიღბით. მოდის და გვეუბნება: ვიჩაგრები, შენ მჩაგრავ, ნუღარ მჩაგრავ, მეც მაქვს უფლებებიო; გვთხოვს ასეთი კანონი მიიღე, ისეთი კანონი მიიღე... მაგრამ, თუ დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ თავისი უფლებების დაცვას კი არ ცდილობს, სულ სხვა რამეს ცდილობს. ცდილობს, თავს მოგვახვიოს თავისი ცხოვრების წესი; ცდილობს დაგვავიწყოს, რა არის სამშობლო, უარი გვათქმევინოს რწმენაზე, ქართველობაზე; ცდილობს, დაგვავიწყოს ის კულტურა, რომელიც ჩვენ შევქმენით, მოსპოს ჩვენი აზროვნების წესი, კაცს კაცობაზე ათქმევინოს უარი და მანდილოსანს - მანდილზე.

ამიტომაა, რომ პატრიარქი მოგვიწოდებს: დაიცავი შენი წილი საქართველო!

ისტორია

ზურაბ რატიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„ჩვეულებისაებრ ძველისა სჯულ...“

ჩვეულებაც და რჯულიც სამართალს აღნიშნავდა ძველთაგან. ჩვეულება ზეპირი, ანუ არაოფიციალური სამართალი იყო, ხოლო რჯული - წერილობითი, ე. ი. ოფიციალური სამართალი (რჯული, ვიწრო გაგებით, საეკლესიო სამართალს - ქრისტეს რჯულს აღნიშნავს). თუმცა, ზოგადად, რჯული (რჩული, სჯული, სჩული) ზეპირ სამართალსაც ერქვა. ჩვეულება, როგორც წესი, უცვლელად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მაგრამ რჯული, ე. ი. წერილობითი სამართალი, დროთა ვითარებაში, მეტ-ნაკლებად იცვლებოდა. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ჩვეულება რჯულის უპირველესი წყარო, გნებავთ, დედაბოძი იყო.

ასე რომ, ჩვენი ანდაზა გვეუბნება: ზეპირი სამართალი წერილობით სამართალზე უმტკიცესიაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რწმენა-ჩვეულებანი გაცილებით უფრო გამძლეა და დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე სახელმწიფოს ოფიციალური სამართალი.

აქედან ჩანს, რა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვეულებას ყველა დროის სამართალშემოქმედებმა. საქართველოს აწინდელი ხელისუფლება კი არც ქართულ ჩვეულებასა და არც ძველ წერილობით ქართულ სამართალს არ ითვალისწინებს, ზედმეტად მიიჩნევს, რაც თვალნათლივ ჩანს მის „სამართალშემოქმედებით“ საქმიანობაში. იმაზე მეტი სამარცხვინო რა უნდა იყოს, რომ, რასაც საქართველოს ხელისუფლება ვერ მიმხვდარა, იმას საქართველოს მოყვარე მტერი მიხვდა. საქართველოში სიტყვით სამოყვროდ და საქმით სამტროდ შემოსულმა რუსებმა მაშინვე, XIX საუკუნის დასაწყისშივე, მოსთხოვეს ქართველებს, ჩაეწერათ და რუსულად ეთარგმნათ ქართული ჩვეულებითი სამართალი და სულ მალე რუსებს იგი უკვე ხელთ ჰქონდათ. მართალია, ეს ჩვეულებითი სამართლის მხოლოდ



ნაწილი იყო, მაგრამ აქ მთავარია საკითხისადმი მიდგომა. ასევე სასწრაფოდ თარგმნეს რუსებმა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და მას XIX საუკუნის შუახანებამდე იყენებდნენ საქართველოში სამოქალაქო სამართლის დარგში, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა რუსეთის ხელისუფლება. 1873 წელს მან თბილისში კავკასიის იურიდიული საზოგადოება დააარსა, რომელიც დასახული მიზნის მიღწევის უპირველეს საშუალებად მიიჩნევდა ადგილობრივი იურიდიული ჩვეულებების, ანუ ჩვეულებითი სჯულის, შეკრებას (კავკასიის იურიდიული საზოგადოების წესდება, თბ.1873, გვ. 1, რუს. ენაზე.)

ვინ იტყვის, რუსი დამპყრობლები ამას ქართველი ერის სიყვარულით სჩადიოდნენო?

ცხადია, არც ერთი ჭკუათმყოფელი!

ასე პირწმინდად სწავლობდნენ რუსი იმპერიალისტები საქართველოს ავ-კარგს იმისთვის, რომ ქართველის გულში კარგი ჩაეკლათ, ხოლო ავი გაეღვიძებინათ, ძველ ქართულ სამართალთა და, საერთოდ, ქართული კულტურის შესწავლით რუსებმა კარგად დაინახეს იმის საფუძვლები, თუ რა ყოფილა ქართული სულის მაღალი ჰუმანური ბუნების მასაზრდოებელი. შეისწავლეს, დაინახეს და მეთოდურად იწყეს ქართული სულიერების განადგურება.

რუსების ამგვარი გულმოდგინების შედეგია საქართველოს განვითარების ბუნებრივი - ევროპული - გზიდან გადახვევა და რუსულ დიქტატორულ-ბიუროკრატიულ ჭაობში ჩაფლობა.

მოგეხსენებათ, შეძახილით ხე გახმაო და საქართველოში ორასწლიანი ბატონობით რუსებმა მიაღწიეს იმ ქართველთა დიდი ნაწილის გადაჯიშებას, რომლებიც რუსებთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში, ხელოვნების, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში. რუსებმა ამ უბედურებს ამოუშანთეს ქართული სული და მერე მათი ხელით იწყეს საქართველოში ყოველივე ქართული სიკეთის მოშლა, წაბილწვა და... უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენ.

ახლა გავეცნოთ ქართული ჩვეულებითი სამართლის, ანუ ჩვეულების, ორიოდე ნიმუშს.

მუხლი 63. „უკეთუ მეფე ან დედოფალი ანუ ძენი მათნი და ან თავადნი ახლის სოფლის აღშენებას იწყობდნენ და შეასრულებდნენ, მათ გლეხთ აზატობას მისცემდნენ რამდენსამე წელს, და არანაკლებ ექვსის წლისა, ვითარცა სახასოთა, აგრეთვე სათავადოთა“ (მუხლებს ვიმოწმებ გამოცემით: „ქართული სამართლის ძეგლები“, II, თბ., 1965, გვ. 581-583).

როგორც ვხედავთ, საქართველოში ახალი სოფლის შენება იმდენად ჩვეულებრივი საქმიანობა ყოფილა, რომ იგი ჩვეულებითი სამართლის ნორმად ქცეულა. იმ უსასტიკეს პოლიტიკურ გარემოში, რომელშიც დღენიადაგ უხდებოდა ცხოვრება ქართველ ერს, ერის გადარჩენის ერთადერთი შესაძლებლობა უწყვეტი აღმშენებლობა იყო და ეს შესაძლებლობა ჩვენს მამა-პაპას ისეთ ჩვეულებად გაუხდია, რომელიც რჯულზე - ყოველგვარ სახელმწიფო სამართალზე - უმტკიცესია.

ასე რომ, რა გინდა რა შეცვლილიყო სახელმწიფო სამართალი, იგი ვერასოდეს შეცვლიდა ჩვეულებას, გნებავთ, დაუწერელ ეროვნულ სამართალს. აქ, კერძოდ, განუწყვეტელი აღმშენებლობის წესს.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამას ადასტურებს არამარტო ერთიანი და ძლევამოსილი საქართველოს სახელმწიფოს, არამედ თვით გვიანი შუა საუკუნეების, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოების ისტორიაც. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოებში არამხოლოდ სოფლები, ასევე შესანიშნავი ეკლესიები, ციხე-გალავნები და ქალაქებიც შენდებოდა (ბარაკონი, ანანური, სიღნაღი...).

მეორე დიდმნიშვნელოვანი ცნობა, რომელსაც დამოწმებული მუხლი გვაწვდის, შემდეგია: ახალი სოფლის უშუალო აღმაშენებლებს, ხელოსნებსა და მათ დამხმარე მუშებს, რომლებიც სოციალურად ყმა გლეხები იყვნენ, ხელისუფლება ყოველგვარი გადასახადისაგან ათავისუფლებდა რამდენიმე წლით. აქ განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ ყმა გლეხს აუცილებლად არანაკლებ ექვსი წლით ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან. ეს ექვსი წელიწადი საგანგებოდ იყო დაწესებული და უშუალოდ მევენახეობას უკავშირდებოდა. საქმე ის არის, რომ საქართველოში, ცხადია, მის ძირითად სამიწათმოქმედო ნაწილში, სოფელი უვენახოდ წარმოუდგენელი იყო. და აი, ახალ სოფელში, ახლად ჩაყრილი

ვენახების ზრდასრულობის ასაკის მიღწევას გულისხმობდა ის ექვსი წელიწადი. მართალია, ახალი ვენახი მეოთხე-მეხუთე წელიწადს სრულყოფილ მოსავალს იძლევა, მაგრამ, ბატონ-პატრონი არც პირველ მტევანს ართმევდა ყმა გლეხს და არც ორი-სამი წლის სრულ მოსავალს. დიახ, ბატონი ყმას აცლიდა, სული მოეთქვა, ცხვარ-ძროხა მოეშენებინა, ბაღჩა-ბაღი გაეხარებინა, რაც მთავარია, ვენახი - ეს ქართული სულიერებისა და ხორციელების საფუძველთა საფუძველი, მოეღონიერებინა და, რაც უმთავრესია, ოჯახი ფეხზე დაეყენებინა; და აი, მხოლოდ ამის შემდეგ ახდევინებდა ბატონი ყმა გლეხს გადასახადს.



ასე იყო ძველად, მრავალი საუკუნის განმავლობაში, როცა ქართველ ერს ქართული სახელმწიფო ჰქონდა. იმ სახელმწიფოში საზოგადოებრივი წყობილება ბატონყმური იყო და მაშინაც კი ქართველი ბატონი თავის ყმა გლეხს ქართველს, ებრაელს, სომეხს, თათარს, ბერძენს, ოსს, აფსუას... - ყველას, ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, კაცთმოყვარეობით ეპყრობოდა.

ამ „დემოკრატიულ“ საქართველოში კი ხელისუფლება ისე ტანჯავს და აწამებს ყველა მშრომელს, როგორც ამას საქართველოს მოსისხლე მტერი სჩადიოდა ძველად. თუმცა, რას ვამბობ, უწინ მტერი გვიჩეხდა ვენახს, ახლა ხელისუფლება გლეხს საკუთარი ხელით აჩეხინებს შვილივით ნაზარდ ვაზს. უწინ „ქუეყანის მოქმედი“, ანუ ქართველი გლეხი: 1. საკუთარ თავს, 2. საკუთარ ოჯახს, 3. ბატონს, 4. მეფეს, 5. ეკლესიას ინახავდა, არჩენდა და ამათ ემატებოდა: 6. „სათათრო“, 7. „სარუსო“ გადასახადები და 8. „სალეკო“ - ქართველ მეფეთა დაქირავებულ ლეკთა მზვერავი რაზმების სარგო.

ყოველივე ჩამოთვლილსა და კიდევ მეტს ქართველი გლეხი იმიტომ აუდიოდა, რომ უწინ ბალავარი ჰქონდა მყარი - ჩვეულება მოქმედებდა. ახლა კი საქართველოს მშრომელი ადამიანი საკუთარ თავსა და ოჯახს ვეღარ არჩენს. აქედან გარკვევით ჩანს, რომ ადამიანის უპირველესი - სიცოცხლის უფლება - ბატონყმურ საქართველოში ყოფილა დაცული, ხოლო ამ „დემოკრატიულ“ საქართველოში ადამიანის სიცოცხლის უფლება ჩაწიხლულია“, ანუ დღეს მშრომელ ადამიანს საქართველოში სიცოცხლის უფლებაც კი წართმეული აქვს.

მუხლი 68. „თუ რომელიმე სოფელი სახელმწიფო, სათავადო ანუ სააზნაურო დაისეტყვებოდა, იმ წელიწადს აღარ გამოართმევდნენ გამოსაღებს“.

სეტყვა იმასთან რა მოსატანია, რაც დღეს საქართველოში უბედურება ტრიალებს, ნეტავ ერთი მაინც მაჩვენა მშრომელი ადამიანი, რომელსაც ეს ხელისუფლება არ ატყავებდეს.

მუხლი 69. „უკეთუ რომელიმე სოფელი სახელმწიფო, სათავადო ან სააზნაურო მტერთაგან წარიტყვევნებოდა, სანამ მას შიგან მცხოვრებელნი თავისავ მდგომარეობად მოვიდოდნენ, განათავისუფლებდნენ ყოვლის გამოსაღებიდამ“.

აქ ნათქვამია, თუ სოფელს მტერი ააოხრებდა, მაშინ იმ სოფლის ყველა მცხოვრები ყოველგვარი გადასახადისაგან განთავისუფლდებოდა ბატონ-პატრონთაგან მანამდე, სანამ ის სოფელი აოხრებამდელ მდგომარეობამდე არ მოშენდებოდა.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რამდენი სოფელია აწინდელ საქართველოში მტერთაგან აოხრებული?

აფხაზეთისა და ქართლის (ცხინვალის მხ-

არე), ასევე სამეგრელოს სოფლებზე რაღა ვთქვა, ისედაც ყველა ხედავს, რაც იქ ცოდვა ტრიალებს, მაგრამ განა საქართველოს ყველა სოფელი და ქალაქი, თვითონ დედაქალაქის - თბილისის ჩათვლით, მტერთაგან აოხრებული არ არის? როცა საქართველოს მოსახლეობა, განსაკუთრებით ერის მომავალი - ახალგაზრდობა ან უცხოეთში გარბის, ანდა ქუჩაშია სამათხოვროდ გამოყრილი და შიმშილითა და ათასი სენით იხოცება.

აი, ამ გაუბედურებული საქართველოს უკლებლივ ყველა მშრომელს ხელისუფლება უკანასკნელ ლუკმას ართმევს ე. წ. კანონიერი გადასახადებისა და დაკანონებული ძარცვაგლეჯის საშუალებით!

ახლა შევადაროთ ერთმანეთს მშრომელ ადამიანთან დამოკიდებულება „შავ-ბნელი“ ბატონყმობისა და „ქათქათა დემოკრატიის“ დროს და რა გამოვა?

ამ კითხვის პასუხი პირუთვნელი მკითხველისათვის მიმინდვია. მე მხოლოდ ამას ვიტყვი: ნურავინ იფიქრებს, ამ წერილით ვინმეს ჭკუას ვასწავლიდე, რომ ქართული ჩვეულება და რჯული პირწმინდად აღვადგინოთ! არა, ეს არც არის შესაძლებელი და არცაა საჭირო. მე მხოლოდ ამას ვამბობ იმის გამო, რომ საქართველოს აწინდელმა ხელისუფლებამ სახელმწიფოს ბალავარად ეროვნული სიბრძნე არ დადო, ეს დემოკრატიული სახელმწიფო კი არა, ქათმის ფეხებზე წამოყუნტული რუსული „იზბას“ ტყუპისცალია, სადაც კუდიანი დედაბერი „ბაბა იაგა“ და ავი სულები ბატონობენ...

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობდა ჩვეულებით სამართალზე გენიალური მწერალი და მოაზროვნე, ქართველი ერის სულიერი მოძღვარი, ილია ჭავჭავაძე: „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიკური წეს-წყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს... მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად, ერთურთს შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, - სულ ხალხის ჩვეულების ძალით სწარმოებს, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ხალხის ადათს ემორჩილება.

სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ, სწორედ ამგვარ შესწავლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, მისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება. სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი.

...ჩვენი დედააზრი ეს არის: „ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ. იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“.

ეს არის ნაწყვეტი ილიას წერილიდან „ხალხის ზნე-ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“, რომელიც მან 1987 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ (№270) მეთაურად.

მაშინ საქართველო რუსეთის კოლონია იყო. რუსეთი ყოველგვარ ქართულ სამართალს - ჩვეულებასაც და რჯულსაც - კრძალავდა, მაგრამ ჩვეულება მაინც ცოცხლობდა, მოქმედებდა და ამტკიცებდა - ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ილიამ იცოდა, რომ საქართველოში ქართული სამართლის გაუქმებით და რუსული სამართლის შემოღებით, დროთა ვითარებაში, ქართული ჩვეულებითი რჯულიც დამახინჯდებოდა, დაკნინდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, გადაშენდებოდა. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი ერის გადაჯიშებას, ე. ი. გაქრობას - გარუსებას, ნიშნავდა. ამიტომ ამ-

თავრებდა ილია თავის წერილს მოწოდებით: „საჭიროა, რომ ჩვენმა ნასწავლმა საზოგადოებამ ერთად თავი მოიყაროს, მოილაპარაკოს, ასწონ-დასწონოს ყოველიფერი ამ საგნის შესახებ და პროგრამა შეადგინოს ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის. თუ ყველგან ამას მისდევენ, განა ჩვენთვის კი დრო არ არის?“

ვინ გაიგონა ილიას სიტყვა?

მხოლოდ და მხოლოდ მისმა მაღმერთებელმა მეგობრებმა, ქართული სამართლის ისტორიის პირველმა მკვლევარმა, ნიკო ხიზანიშვილმა (ურბნელმა)...

დიახ, მაშინ ჩვენი სამშობლო კოლონია იყო, მაგრამ შემდგომ, როცა საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა, არა მხოლოდ ჩვენი ნასწავლი საზოგადოების, არამედ თვითონ ხელისუფლების უპირველესი მოვალეობა იყო სახელმწიფოს ეროვნული ტრადიციების საფუძველზე აღმაშენება.

თქვენც არ მომიკვდეთ, „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუშის“ (ასე უწოდა ილიამ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მომავალ თავმჯდომარეს) ხელისუფლებას ილიას წმინდა სახელის ნაცვლად პლეხანოვები, კაუცკები და კლარა ცეტკინები ეკერა პირზე. სწორედ იმ „თუთიყუშის“ ხელისუფლების „ბრძნულმა“ პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში რუსთა ხელახლა გაბატონებას.

მართალია, საბჭოთა საქართველოში დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ავად თუ კარგად, შეუდგნენ ილიას ფასდაუდებელი შემოქმედების შესწავლას, მაგრამ მაშინ სიმართლის მთქმელს პირზე ხელს აფარებდნენ და ილიას ხან ზაქროს მამის მკვლელი ბატონის, ხან მეჯღანუაშვილების მეხოტბეობას სწამებდნენ ცილად.

ასეთ ვითარებაშიც კი ილიას ღვთაებრივი სიბრძნე, ვითარცა მზე, ასხივოსნებდა ერის უკეთეს შვილთა სულსა და გულს. ცნობილმა ეთნოგრაფებმა - სერგი მაკალათიამ და რუსუდან ხარაძემ - წარმატებით გამოიკვლიეს ჩვეულებითი სამართლის ცალკეული საკითხები, მაგრამ ილიას მოწოდებას არც მაშინ ეწერა სრულად განხორციელება. ამის დასტურია გაზეთ „კომუნისტში“ (6-VII-85) დაბეჭდილი შესანიშნავი წერილიც - „ხალხი და ტრადიცია“, რომელიც ზემოთ დამოწმებული ილიას წერილის გამოქვეყნებიდან... მხოლოდ საუკუნის შემდეგ დაიწერა.

მისი ავტორები არიან დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, გამოჩენილი ეთნოგრაფი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსი რობაქიძე და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ კეკელია.

აი, რას წერდნენ მეცნიერები: „ჩვეულებითი სამართლის მასალების შეგროვებასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ საქმეს“.

შემდეგ: „ივ. ჯავახიშვილის ოცნება იყო სწავლულ იურისტ-ისტორიკოსთ განეგრძოთ ნ. ხიზანიშვილის მიერ დაწყებული ჩვეულებითი სამართლის შესწავლის საქმე“.

შემდეგ: „ქართულ ჩვეულებით სამართლის შედარებითი იურისპრუდენცია მსოფლიო რე-

ზონანსს ანიჭებს, მსოფლიო სამართლის ბევრი საკვანძო საკითხის სათანადო სიღრმით კვლევა დიდად დავალებული გახდება ქართული ჩვეულებითი სამართლით, მისი მონაცემების გათვალისწინებით“ (ხაზი - ზ, რ).

შემდეგ: „ქართულ ჩვეულებითი სამართლის სწორუპოვარი ცნობები დაუცავს დემოკრატიულ პრინციპებზე სახალხო მმართველობის სისტემაში მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდაზე, მშობელთა მიმართ მოკრძალება-სიყვარულზე, ქალისა და უფროსის პატივისცემაზე, გარდაცვლილთა ხსოვნაზე, ოჯახის ერთგულებაზე, სხვა ეროვნების ხალხთან კეთილ-მეგობრულ ურთიერთობაზე, ძმადნაფიცობაზე, ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ვაზის კულტად ქცევაზე და ბევრ სხვა საკითხზე“.

კიდევ ბევრი საგულისხმო წერია იმ წერილში, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება: „დრო არ ითმენს, უნდა შეიქნას ქართული ჩვეულებათა სამართლის მასალათა მომპოვებელი და შემსწავლელი მცირე უჯრედი მაინც“.

დიახ, გამოქვეყნდა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი, მაგრამ მგლის თავზე სახარების კითხვას რა აზრი აქვს?!

როგორც ილიას შეგონება არ შეისმინა კოლონიური საქართველოს ნასწავლმა საზოგადოებამ, დემოკრატიული და საბჭოთა საქართველოს მთავრობებმა, ისე ამ მეცნიერთა მოთხოვნა არად ჩააგდო ამავე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ.

ახლა?

ახლა ხომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰქვია, ჰქვია კიდეც და კიდევაც არის დამოუკიდებელი სახელმწიფო დე იურე, მაგრამ დე ფაქტო?

დაშლილი, გაპარტახებული ქვეყანაა დღეს საქართველო.

სულ ტყუილად აბრალებენ ერთნი - რუსეთს, მეორენი - ამერიკას, სხვანი - ეშმაკს და კუდიანს ჩვენს ყველა უბედურებას.

მართალია, ფრთიანი ანგელოზები არც უცხოელები არიან და არც ქართველები ვართ, მაგრამ ქართველი ერის დაცემისა და გათახსირების მთავარი მიზეზი სხვა არა არის, თუ არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა და აწინდელ ხელისუფლებათა მიერ ილია ჭავჭავაძის უარყოფა!

ესეც მართალია, დღეს სიტყვით ილია ცაში აყავთ, მაგრამ საქმით ხელისუფლება ყოველდღე კლავს ქართველის სულიერ მამას!

დიახ, დღეს ილიას სულიერად კლავენ მისი ხორციელი მკვლელების ნაშიერები - „რუსული მარქსიზმის თვალაბმული თუთიყუშის“ ყრანტალა ბახალები!

დღეს ილიას სულიერად კლავს ყველა, ვისაც ვერ გაუგია ან არ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა ილიას ნააზრევის საფუძველზე ქვეყნის აღმაშენებაა!

ეს ეწერა ამ წერილს და ვფიქრობ, სადაც თვითონ ილიას სიტყვა ხელისუფლებას არ ეყურება, სადაც ივანე ჯავახიშვილის არ ესმით, სადაც ილიას სალოცავი ერი ფეხებზე ჰკიდიათ, შენ ვინ მოგისმენს, ჩემო თავო!

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა, დღედ სიკვდილამდის სიხარბე

შეაქნევს კბილთა ღრჭენასა“.

ნეტავ თუ გაუაზრებიათ სწორუპოვარი გენიოსის სიტყვა?

ნეტავ თუ წაუკითხავთ შოთა?

დასასრულ, ერთსაც დავძენ.

მას შემდეგ, რაც საქართველო, მისი ყველა პატიოსანი მშრომელი და უპირველესად ქართველი ერი ამ საშინელ უკუნეთ ღამეში ჩაამწყვდია ამ ხელისუფლებამ, ე. წ. ოფიციალურ თუ არაოფიციალურ პირთაგან ხშირად გაიგონებთ: მართალია, საქართველოს დღეს ძალიან უჭირს, მაგრამ ქართველი ერი ამაზე უარეს დღეშიც ყოფილა, მაინც გადარჩა და ახლაც გადარჩებაო.

ტყუილია იმის თქმა, საქართველო აწინდელზე უარეს დღეში ყოფილაო.

დიახ, საქართველოს უმძიმესი ჟამთა სიავენი დასტეხია თავს, სისხლის წვიმებს მოურწყავს ქვეყანა, მაგრამ აწინდელზე საშინელ, გაუსაძლის ყოფაში ქართველი ერი არასოდეს ჩავარდნილა; არათუ აწინდელზე უარესი, მსგავსი უბედურებაც არასოდეს დასტეხია თავს ჩვენს მამა-პაპას!

რატომ?

იმიტომ რომ უწინ, ასეული და ათასეული წლების განმავლობაში, ვერანაირმა მტერმა ვერ მოთხარა ქართული ჩვეულებითი სამართალი, მტერმა ვერ მოსპო ის ჩვეულება, რომელიც რჯულზე, ყოველგვარ სამართალზე, უმტკიცესია.

და რაც ვერარა მტერმა ვერ მოგვისპო, იმას გვინადგურებს ეს ყოვლად უღირსი ხელისუფლება - მამაპაპურ წესს, რიგს, ჩვეულებას...

სწორედ იმ ჩვეულების საფუძველზე იყო მოწყობილი ქართული სახელმწიფოებრიობა, რომლის უმთავრესი თვისება თვითგანვითარების უნარი იყო.

სახელმწიფოებრიობის თვითგანვითარების უნარი კი არის ქართული და დასავლეთევროპული ცივილიზაციების ძირითადი საერთო ნიშანი.

სხვათა შორის, დღეს რომ მავანი თავს იწონებს, გიხაროდენ, ევროპამ მიგვიღო, ამიერიდან ევროპელები გავხდითო, ამგვარი ბაქიბუქიც ქართული ჩვეულებისა და რჯულის სრული უცოდინარობის და ამდენად, უარყოფის შედეგია.

ვერავითარი ევრო და ანგელოზთა ევროპა ქვეყანას ვერ გააევროპელებს მანამდე, სანამ საქართველო თვითონ არ აღიდგენს სახელმწიფოებრიობის თვითგანვითარების თანდაყოლილ უნარს.

დიახ, მანამდე, სანამ ქართველი ერი მამაპაპური ჩვეულებისა და რჯულის საფუძველზე არ ააღორძინებს საკუთარ სახელმწიფოს, იმ დრომდე საქართველო რუსულ დიქტატორულ-ბიუროკრატიულ ჭაობში იქნება ჩაფლული.

ქართველი ერის ჩვეულებისა და რჯულის ნებიერად უარმყოფელ ხელისუფლებას უნებლიედ ერთი „პაწია“ რამ კი დაჰვიწყნია, დაჰვიწყნია ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ხელისუფლება მოკვდავია, ხოლო ერი - უკვდავი!

ხელისუფლებას ისიც დაჰვიწყნია, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და ამ ჯოჯოხეთშიც კი ჩვეულება ქართველი ერის გულში სულდგმულობს!

ხელისუფლებას ისიც დაჰვიწყნია, რომ დღეს უკვე სპარსეთში გადახვეწილი კი არა, საკუთარ სამშობლოში გაყიდული ქართველი გმინავს, რაც უნდა მტანჯოთ, მაწამოთ, მაინც დავრჩები ქართველი!

ამიტომ მწამს და მჯერა, რუსთაველისა და ილიას ჯვარცმული ერი, ღვთის მადლით, სძლევს ეშმაკს და კვლავ იმ გზით ივლის, „ჩვეულებისამებრ მამულისა“ სვლა რომ უწოდა დიდმა ქართველმა მწერალმა იოანე საბანისძემ, ჯერ კიდევ, უშორეს VIII საუკუნეში.

ამიტომ მწამს და მჯერა, კვლავ აღდგება გაუტეხელი ქართველი და გამარჯვებული ისევ და ისევ მამაპაპურად იტყვის: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!..

ზაზა ჩიქოვანი

პეტრე ბაგრატიონის ცხოვრების უცნობი დეტალები

1812 წლის 12 სექტემბერს ვლადიმირის გუბერნიის სოფელ სიმში, ბოროდინოს ველზე მიღებული ჭრილობებისაგან გარდაიცვალა სწორუპოვარი მხედართმთავარი, ნაპოლეონ ბონაპარტის აზრით, რუსეთის იმპერიის საუკეთესო გენერალი, **თავადი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (1765-1812).**

უცნაურია, მაგრამ უდიდეს საბრძოლო ბატალიებში მუდამ გამარჯვებულ პეტრე ბაგრატიონს საკმაოდ წარუმატებელი პირადი ცხოვრება ჰქონდა. ამის ნათელი მაგალითია მისი უიღბლო ქორწინება ეკატერინე პავლეს ასულ სკავრონსკაიასთან (1783-1857). სამწუხაროდ, ეს ულამაზესი, მაგრამ ქარაფშუტა, ქალბატონი სრულიად შეუფერებელი მეწყვილე გახლდათ ამ უმაგალითოდ მამაცი და ღირსეული ადამიანისა.

მაგრამ ისტორიას შემორჩა ერთი თითქმის უცნობი სიყვარულის ამბავი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ღვიძლ დას, დიდ თავად ეკატერინე პავლეს ასულსა (1788-1819) და პეტრე ბაგრატიონს შორის. აღსანიშნავია, რომ ეკატერინე იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის საცოლედ მოიაზრებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ყოვლად არასასურველი ქორწინების თავიდან ასაცილებლად ეკატერინე „სასწრაფო წესით“ დეიდაშვილს, პრინც გიორგი ოლდენბურგს, მიათხოვა.

ჩვენ სწორედ ეკატერინეს გათხოვებამდე განვითარებულ მოვლენებს შევეხებით, ვინაიდან ამ ურთიერთობის შესახებ კარგა ხნის მანძილზე გავრცელებული ცნობებით ერთგვარად ჩრდილი ადგებოდა პეტრე ბაგრატიო-

ეკატერინე სკავრონსკაია-ბაგრატიონი (1783-1857)

ეკატერინე პავლეს ასული რომანოვა (1788-1819)

ნის პიროვნებას.

დღეს შეიძლება დაიბადოს კითხვა, როგორ და რა ვითარებაში შეიძლებოდა გაეცნო და დაახლოებოდა პეტრე ბაგრატიონი იმპერატორის ოჯახის წევრს? პასუხი მარტივია: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბაგრატიონი იმპერიის უპირველესი გენერალი და იმპერატორის უახლოესი გარემოცვის წევრია. მისი ვარსკვლავი მთელი სიძლიერით კაშკაშებს. ამას ემატება ის გარემოება, რომ 1807 წელს პეტრე ბაგრატიონი პავლოვსკის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა. იმპერატორის ოჯახი და ეკატერინე (კატინკა) კი იმჟამად იქ ცხოვრობდნენ. მწერალი ე. ანისიმოვი, რომელმაც არაჩვეულებრივი წიგნი უძღვნა პეტრე ბაგრატიონს, ვარაუდობს, რომ რომანი მათ შორის სწორედ მაშინ ჩაისახა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რომანმა უარყოფითი გავლენა იქონია პეტრეს ბრწყინვალე კარიერაზე. იმპერატორი მოვლენების ასეთი განვითარებით, რბილად რომ ვთქვათ, განაწყენდა, ის შესაშური ურთიერთობა, რომელიც იმპერატორის ოჯახსა და პეტრე ბაგრატიონს შორის არსებობდა, ფორმალური და ცივი გახდა. საიმპერატორო ოჯახის კარი პეტრესათვის თანდათან ჩაიკეტა... თუმცა დედა-დედოფლის, მარია ფიოდოროვნას, გამორჩეულად თბილი და კეთილი დამოკიდებულება პეტრეს მიმართ ბოლომდე შენარჩუნდა. სიმბოლურია, რომ გარდაცვალების შემდგომ პეტრეს ნივთებში, რომლებიც მას ყველგან თან დაჰქონდა, ოთხი ადამიანის პორტრეტი აღ-

იმპერატორი ალექსანდრე (1777-1825)

მოჩნდა: გენიალური სუვოროვის, მეუღლის - ეკატერინა სკავრონსკაია-ბაგრატიონის, დიდი თავადის ეკატერინა პავლეს ასულის და დედა-დედოფლის - მარია ფიოდოროვნასი. აქედან ერთი პეტრეს მასწავლებელი იყო, დანარჩენი სამი ქალბატონი კი ძალიან ბევრს ნიშნავდა მის ცხოვრებაში (ე. ანისიმოვი).

ბოროდინოს ომისა და პეტრეს გარდაცვალებიდან 100 წლის შემდეგ, 1911 წელს, დიდმა თავადმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ დაწერა წიგნი „იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიმოწერა დასთან, ეკატერინე პავლეს ასულთან“. წიგნი გამოიცა რომანოვების გვარის საერთო საბჭოს თანხმობით, რადგან წიგნში წარმოდგენილი წერილები უაღრესად პირადული იყო. სწორედ ამ მიმოწერებიდან ჩანს პეტრე ბაგრატიონისა და ეკატერინე პავლოვნას ურთიერთობის მთელი სერიოზულობა.

დავუბრუნდეთ პეტრე ბაგრატიონის სიცოცხლის ბოლო დღეების ქრონიკას. მივაქციოთ ყურადღება! გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 11 სექტემბერს, მას წერილობით უკანასკნელად ეხმიანება ეკატერინე პავლეს ასული. იგი ოფიციალურად, მეუღლესთან - პრინც გიორგი ოლდენბურგელთან ერთად (წერილი პრინცის სახელზეა), მოიკითხავს ავადმყოფს და უსურვებს მას გამოჯანმრთელებას. არსებობს პეტრეს პასუხი ამ კორესპონდენციაზე, სადაც ასევე ფორმალობისა და ოფიციალურობის სრული დაცვით, იგი დიდ მადლობას იხდის ასეთი მაღალი ყურადღებისათვის.

მაგრამ 12 სექტემბერს ბაგრატიონი გარდაიცვალა! ეკატერინესათვის ვითარება რადიკალურად იცვლება. ბუნებრივია, მხედართმთავრის არქივი მნიშვნელოვანი სამხედრო საიდუმლოებების შემცველობის გამო შესაბამისი უწყებების შესწავლის საგანი გახდებოდა. შესაბამისად, შესაძლებლობა ეკატერინეს და პეტრეს სასიყვარულო წერილების გასაჯაროებისა, არქივში ასეთის არსებობის შემთხვევაში, სრულიად რეალური გახლდათ! დრო არ ითმენდა, სწორედ ამიტომ უკიდურესად შეშფოთებული ეკატერინე, სასწრაფო წესით, იაროსლავიდან პეტერბურგში ხელმწიფესთან აგზავნის წერილს (ამ პერიოდიდან კურიერების მიმოსვლა გახშირდა, ხოლო ეკატერინეს ძმასთან მიწერილ წერილებს ნერვიული ტონი დაეტყო...) და სთხოვს დალუქონ მხედართმთავრის პირადი არქივი, ამოიღონ ინტიმური შინაარსის წერილები, რომლებსაც სამეფო ოჯახის წევრის, ან უკვე გათხოვილი ქალის, კომპრომეტირება შეუძლია (всё это может меня чудовищно скомпрометировать!). წერილში ეკატერინე ძმას სწერს: მართალია, პეტრე ბაგრატიონი არწმუნებდა, ასჯერ მაინც დაიფიცა, რომ წერილები განადგურებულია, მაგრამ იცის რა მისი ხასიათი, ამის არ სჯერა!

ჩვენ არ ვიცით, რას ემყარებოდა ეკატერინა პავლეს ასულის ასეთი უნდობლობა განსვენებულის მიმართ, მაგრამ მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა წვდომა საიმპერატორო ოჯახის არქივთან, დადასტურებული ფაქტებით უტყუარად მტკიცდება, რომ აღნიშნული ეჭვი უსაფუძვლო იყო, ზემოაღნიშნული წერილები პეტრე ბაგრატიონმა თვითონ გაანადგურა. იმისათვის, რომ ბოლომდე გაირკვეს ამ საიდუმლო ისტორიის დეტალები, მივყვეთ მოვლენებს:

ძმისთვის ეკატერინას მიერ მიწერილი წერილის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა დაიბარა ბაგრატიონთან დაახლოებული ორი ქართველი (მათ მორიგეობით ებარათ მხედართმთავრის არქივი): თავადი სიმონ ივანეს ძე სალაგოვი (1756-1820), იგივე სიმონ სოლოღაშვილი, და აზნაური ალექსანდრე ჩეკუანოვი (ალექსან-

დრე სიმონის ძე ჩიქოვანი). მათგან ამოღებული არქივებიდან და პირადი გასაუბრებიდან დადგინდა, რომ მსგავსი შინაარსის წერილები უკვე არ არსებობდა! მეტიც, სალაგოვმა იმპერატორს დაუდასტურა ფაქტი მოლდავეთის კამპანიის წინ ბაგრატიონის მიერ „რაღაც“ წერილების განადგურების შესახებ. ანალოგიური შედეგით დასრულდა ბაგრატიონის ადიუტანტისა და კანცელარიის ხელმძღვანელის, ბრეჟინსკის, დაკითხვა. იმპერატორისათვის სრულიად ნათელი გახდა, რომ ეკატერინას შიში უსაფუძვლო იყო, რადგან, როგორც გაირკვა, წერილების განადგურებაზე თვითონ პეტრე ბაგრატიონს ეზრუნა. ალექსანდრე I-მა ყოველივე ეს დაწვრილებით მისწერა წერილში დას.

ისტორიკოს ე. ანისიმოვის აზრით, მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი ასეთია: ვინაიდან პეტრესათვის ეს რომანი, არ იყო რიგითი გატაცება, ჯერ კიდევ გაუთხოვარი ეკატერინა პავლეს ასულის წერილებს, ბუნებრივია, იგი საგულდაგულოდ ინახავს. ხოლო რადგან შვედეთის ომიდან დაბრუნებულს, ეკატერინა მას დაქორწინებული დახვდა, ამიტომ 1809 წელს, მოლდავეთის კამპანიის წინ, როგორც ღირსეულ ადამიანს შეეფერება, თავადი პეტრე ბაგრატიონი საკუთარი ხელით ანადგურებს საყვარელი ადამიანის, მაგრამ აწ უკვე გათხოვილი ქალბატონის, სასიყვარულო მიმოწერას. ყველაფერი ნათელია... ანისიმოვი დასკვნის სახით წერს: პეტრე ივანეს ძე ნამდვილი მამაკაცი იყო არამარტო ბრძოლის ველზეო... ძნელია არ დავეთანხმოთ მას. შეიძლება მხოლოდ დავძინოთ: სასიამოვნოა, რომ დიდ მხედართმთავართან დაკავშირებული მთელი ეს პიკანტური ისტორია, მოსალოდნელი შედეგით, ღირსეულად დასრულდა! და კიდევ ერთხელ ყველას თვალწინ წამოიმართა

Могила сенатора Семена Ивановича Салагова на Лазаревском кладбище Александро-Невской лавры, Санкт-Петербург

სენატორ სიმონ ივანეს ძე სოლოღაშვილის საფლავი

„ომის ღმერთის“ - პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის მონუმენტური, ზნემაღალი ფიგურა, რომელსაც ყველაზე დიდი ომი - საკუთარ თავთან ომი, პირნათლად მოგებული ჰქონდა.

P.S. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ორ ქართველს:

1) თავადი სიმონ ივანეს ძე სოლოღაშვილი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელია. იგი უდავოდ გამორჩეული პიროვნებაა. მას, ისევე როგორც არაერთ ქართველს, ბრწყინვალე სამხედრო კარიერა და დაფასება ხვდა წილად. იგი იყო: გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, სამხედრო საბჭოს მუდმივი წევრი.

დაჯილდოებული იყო: წმ. იოანე იერუსალიმელის ორდენით, წმ. ანას პირველი ხარისხ-

ალექსანდრე ჩიქოვანის ოჯახი

ვერა ჩიქოვანი-რუბენშტეინისა

ის ალმასებიანი ორდენით, წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენით, ასევე წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენით. იმპერიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, იმპერატორმა სლობოდა-უკრაინის გუბერნიაში 399 კომლი ყმა გლეხი უბოძა. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში, ლაზარევის სასაფლაოზე.

2) აზნაური ალექსანდრე სიმონის ძე ჩიქოვანი: ამ პიროვნებაზე, გენეალოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, ცნობილია მხოლოდ ის, რომ ოჯახი მიღებული იყო მაღალ საზოგადოებაში, ჩიქოვანების სახლი პეტერბურგში ცნობილი სალონია, სადაც თავს იყრიან გამოჩენილი ადამიანები: მსახიობები, მხატვრები, ხელოვანები. თვითონ ალექსანდრე გატაცებული იყო ჭადრაკით, მისი ქალიშვილი, ვერა ჩიქოვანი, ცნობილი კომპოზიტორის, ანტონ რუბენშტეინის, მეუღლე იყო, ალექსანდრეს მეუღლე - ანა ფიოდოროვნა კი ოდესის კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის დირექტორი გახლდათ.

რაც შეეხება სახელმწიფო სამსახურს, ალექსანდრე „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკია“ (ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი). ეს ჩინი მოქმედებდა 1917 წლამდე, არმიაში უთანაბრდებოდა გენერალ-მაიორის, ხოლო ფლოტში - კონტრ-ადმირალის წოდებას. ამ ჩინის მქონე ავტომატურად შთამომავლობითი აზნაურიც ხდებოდა. მათ მიმართავდნენ: თქვენო აღმატებულებავ! ალექსანდრე ხელმწიფის სანადირო საქმეთა გამრიგეც არის.

სავარაუდოდ, როგორც სოლოღაშვილების, ასევე ჩიქოვანების ეს საგვარეულო განშტოე-

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი

მუხრანბატონები. ბაგრატიონ-მუხრანელები

ბაგრატიონთა სამეფო დინასტია უძველესია ევროპაში და ერთერთი უძველესია მსოფლიო სამეფო დინასტიებს შორის. IX საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე 1810 წლამდე ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ზეობის ხანაა საქართველოში. ადარნასე არის პირველი ბაგრატიონი, რომელმაც 888 წელს ქართველთა მეფის ტიტული მიიღო. მეცნიერ-

მკვლევართა უმრავლესობის მოსაზრებით, ბაგრატიონები წარმოშობით ძველი ქართული პროვინციიდან – სპერიდან იყვნენ. VI საუკუნიდან ისინი აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაებნენ.

ნიშანდობლივია, რომ ისტორიული ძნელბედობის ჟამს, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთიანი სახელმწიფო დაიშალა სამეფო სამთავროებად. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში მეფეებად კვლავ ბაგრატიონები არიან. ქართლის სამეფოს პირველი მეფე იყო სრულიად საქართველოს მეფის, ალექსანდრე 1 დიდის (1412-1442) შვილიშვილი – კონსტანტინე 11 დემეტრეს ძე (1579-1505). ქართლში მისმა შთამომავლებმა იმეფეს 1658 წლამდე, ვიდრე სამეფო ტახტს ბაგრატ მუხრანბატონების შტო არ დაეუფლა.

მუხრანი – მუხნარი, მუხრანბატონების სათავადო, ქართლის მშვენება. აქ გადიოდა უძველესი სავაჭრო გზები, მთა ბარს უახლოვდებოდა, ჩრდილოეთი – სამხრეთს, აღმოსავლეთი – დასავლეთს. აკადემიკოსი ნ.ბერძენიშვილი მუხრანს „თავისებურ ქვეყნად“ მიიჩნევს და ხაზგასმით აღნიშნავს მის სტრატეგიულ მდებარეობას, რამეთუ აქედან აკონტროლებდნენ ქსნის ხეობას, მთასა და ბარს. ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „... მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსი, თბ., 1973. გვ. 348). ისტორიულ წყაროებში მუხრანის ერთერთი ადრინდელი ხსენება ჯუანშერთან გვხვდება. „იყო მამა ისე წილკნელი, მოწაფე წმიდისა მამისა იოანესი... თან მოჰყვა იოვანესა და მრავლითა იძულებითა ქართლისა კათალიკოსმან აკურთხა მღვდელმთავრად, საყდარსა წმიდისა ღვთისმშობლისასა, ქვეყანასა მუხრანისასა“ (ქართლის ცხოვრება, 1. თბ., 1955. გვ. 2012). მუხრანბატონები XV1-X1X საუკუნის საქართველოში ფეოდალური საგვარეულოა; ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთერთი შტოა. გვარს საფუძველი დაუდო ქართლის მეფის, დავით Xის ძმამ ბაგრატ მუხრანბატონმა. ბაგრატი შიდა ქართლის სადროშოს სარდლად დაინიშნა, სამუხრანო მის საუფლისწულოდ გადაეცა. ნიშანდობლივია, რომ შიდა ქართლის სარდლების თანამდებობა მუხრანბატონებისთვის სამემკვიდრეოდ იქცა. მუხრანბატონთა მამული მუხრანის ველს მოიცავდა, სადაც 60მდე სოფელი შედიოდა და მოსახლეობაც მრავლად (დაახლოებით 1500 კომლი) იყო. მუხრანში მუხრანბატონებს ჰქონდათ სასახლე, ციხე და კარის ეკლესია. მუხრანბატონად მხოლოდ საგვარეულო სახლის უფროსი იწოდებოდა, სახლის შვილები

კი – მუხრანბატონისშვილებად. VIII-IX საუკუნეებში მუხრანს ძაგანიძეთა გვარი დაეუფლა. XII საუკუნეში მეფე დავით აღმაშენებელმა მუხრანი კვლავ სამეფო დომენად აქცია.

„მუხრანის ქვეყნისა“ და სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას სახელწოდების ეტიმოლოგიასა და მეცნიერულ კვლევას პირველად ვახუშტი ბაგრატიონი გვაძლევს: „მუხრანი, ორივე არაგვი, ქსნის ხევი და მამული მისი მესამე სასპასპეტო არს, ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაც ადგილთა ამათ შინა უმეტეს მუხანი. კოსტანტინე მეორეს ძემან ბაგრატიონმა, აღაშენა მუხრანს სარკინეთის მთასა ზედა ციხესიმაგრე...“

მუხრანის ციხის შესასვლელი კარის წარწერა ისე იკითხება: „ჩვენ მუხრანის სახლთუხუცესმან აღვაშენეთ გალავანი ესე და ბურჯი, შიოს უბანი (ასე ეწოდებოდა მუხრანს XV111 საუკუნემდე) წარგებოდა და საფასოთა ჩემითა მინავალ შრომითა: ჟამსა ამასა“ (1756 წ.).

ქართლის მეფის, დავით X-ის ძმა, ბაგრატ ბაგრატიონი, მუხრანბატონების შტოსა და სათავადოს ფუძემდებელი, ქართლის სამეფოს მემარცხენე სადროშოს სარდალი, „მტრად აღუდგა ავგიორგის, შეიპყრო იგი და პატიმარ ჰყო, ძველი ტახტი მუხრანში დააბრუნა...“

ის იყო გონიერი და ძლიერი მხედართმთავარი, აზროვნებდა, როგორც შორსმჭვრეტელი სტრატეგი, აშენებდა ციხეებს, აძლიერებდა სოფლის მეურნეობას, აარსებდა კულტურის ცენტრებს... განსწავლულმა და მოაზროვნე



თეიმურაზ მუხრან-ბატონი
მხატვარი ნ. ხერკილაძე

პიროვნებამ – ბაგრატ ბაგრატიონმა შექმნა პოლემიკური ნაწარმოები „მოთხრობაი სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაი“, რომელშიც მაჰმადიანთა სარწმუნოების ისტორიას განიხილავს. პირველად ახსენებს მთარგმნელთა სახელებს, ქართული საერო მწერლობის ძეგლს „ამირანდარეჯანიანს“. მუხრანბატონები ქართლის 5 დიდებულ თავადთა რიცხვში შედიოდნენ, დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბაგრატ მუხრანბატონმა (14871540) გააძლიერა სამუხრანბატონო. სიბერის ჟამს მუხრანის გაძლიერების შემდეგ, როცა ვახუშტის თქმით, „მუხრანი პირველი იყო მეფეთა სადგომი“, ბერად აღიკვეცა (ბერობაში ბარნაბე). ბაგრატის ძემ – აშოთანმა, მუხრანბატონთა სახლის უფროსმა და შიდა ქართლის სადროშოს სარდალმა (1630-1661 წწ) ქვეყანას გაუზარდა დიდმოწამე ქეთევანი – რწმენისა და სიმტკიცის ნიშანსვეტი (ქეთევან წამებული).

ბაგრატიონმუხრანელების შტოს ეკუთვნოდნენ: დომენტი მთავარეპისკოპოსი (1649-1659) „კათოლიკოსი ქართლისაი“ – ნიკოლოზი, ქართლის კათოლიკოსი – თეიმურაზი, იგივე ანტონ 1 (1744-1755). ანტონ 1ის საოცრად ნაყოფიერმა საგანმანათლე-

თავადი ლევან ბაგრატიონმუხრანელი

ბლო და საზოგადო მოღვაწეობამ, საეკლესიო რეფორმების შემოღებამ სეპარატიზმის მოსპობამ, ბრძოლამ მონოფიზიტობასთან, საეკლესიო სწავლების სისტემის შექმნამ დიდი კვალი დატოვა ამ სწავლების განვითარებაზე. დასმენის, ჭორების, უსამართლობის მიუხედავად, ანტონ 1 მტკიცედ იცავდა ქართულ ზნეობრივ-მორალურ ფასეულობებს. სამშობლოდან გადახვეწილი, იგი დაუღალავად მუშაობდა ახალი ქართული სკოლების პროგრამების დასახვეწად. თარგმნა ლათინურიდან „ღვთისმეტყველება“, შეადგინა საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი, ფიზიკის, ლოგიკის, ფილოსოფიის სახელმძღვანელოები... 1864 წელს ერეკლე II-მ ქართლ-კახეთის მეფედ კურთხევის შემდეგ ანტონ I საქართველოში დააბრუნა. უდიდესი მხედრული ნიჭით იყო დაჯილდოებული ვახტანგ V-ის ძმა, გიორგი სააკაძის სიძე – თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანბატონი, რომელიც 1625 წელს გმირულად დაიღუპა მარაბდის ველზე. სახელოვან მამულიშვილთა სიაში საპატიო ადგილი უჭირავთ ვახტანგ VI-სა და ვახუშტი ბატონიშვილს. ისტორიული და გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი, შესანიშნავი მთარგმნელი, კარტოგრაფი, ფოლკლორისტი, გენეალოგი... მან პირველმა მეცნიერულად შეისწავლა და აღწერა ქართლის სადროშო, „სამეფოსა ყოვლისა საქართველოსა, ანუ იბერიისა, ანუ გეორგიისა“. აწინდელი ისტორიული გვარები, პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში და რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში, გაამდიდრა სამეცნიერო ენა ახალი ტერმინებით, ჩამოაყალიბა ერთიანის აქართველოს იდეა მსოფლიო ისტორიის განვითარების ჭრილში. ვახუშტი ბაგრატიონის ისტორია „დასაბამიდან“ მეთვრამეტე საუკუნის უნიკალური ნაწარმოებია, რომელშიდაც ჰარმონიულად შერწყმულია მეცნიერება და პოეზია, ქრონოლოგიური ტაბულები და შორსმჭვრეტელი პროგნოზები, ფოლკლორი და მეცნიერული ანალიზი. „მეფის შვილმა ვახუშტიმ“, როგორც გეოგრაფმა და კარტოგრაფმა, გენეალოგმა და ბოტანიკოსმა

ირაკლი მუხრანბატონი და პრინცესა მარია დე ლას მერსედეს ბავიერა ი დე ბურ ბონ, ესპანეთის პრინცესა

ბევრად გაასწრო ევროპის ქვეყნების მეცნიერთა მიღწევებს.

გამოჩენილი მხედართმთავრები, მეცნიერები და მწერლები, მოგზაურები ბაგრატიონ-მუხრანელები XVI-XXI საუკუნეებში ღირსეულად ეწირებოდნენ ეკლესიას, ქვეყანას, ერს. 1812 წლის ომის გმირი, ინფანტერიის გენერალი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი სამხედრო სტრატეგიის ვარსკვლავად ითვლებოდა. მისი ძმისშვილი – პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი – გენერალი, დიდი მეცნიერი და ინჟინერია. პირველმა დაამტკიცა, რომ ოქრო იხსნება კალიუმფეროციანიდისა და კალიუმციანიდის წყალხსნარში.

მრავალი მუხრანბატონი თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლობდა. მათ შორის გენერალი და დიდი მემამულე ივანე მუხრანბატონი, რომელმაც პირველმა დააარსა მუხრანში ღვინის ქარხანა და 1882 წელს ჯილდოდ სახელმწიფო გერბიც მიიღო.

სხვადასხვა დროს ქართლის გამგებლები იყვნენ მუხრანბატონები ვახტანგ ბაგრატის ძე, ქაიხოსრო ვახტანგის ძე, ვახტანგ თეიმურაზის ძე, ქართლის მეფე ვახტანგ 1 (შაჰნავაზი). მუხრანბატონები ქართლის მეფის ტახტს განაგებდნენ 1724 წლამდე (მათ შორის არიან გიორგი X1 და ვახტანგ V1).

სილამაზით, სიძლიერით რჩეული, უნიკალური პიროვნება იყო ნიკო ბაგრატიონი. ინგლის-ბურების ომის გმირი, რომელიც ინგლისის ჯარს დაუპირისპირდა და ტყვედ იყო გამწესებული 2000 ჰოლანდიელ ოფიცერთან ერთად წმ. ელენეს კუნძულზე. ბაგრატიონმუხრანელები ცხოვრობდნენ ესპანეთში, იტალიაში და რუსეთში. ესპანური მუხრანბატონების შტოს დამაარსებელი იყო ირაკლი მუხრანბატონი ბაგრატიონი. ახალგაზრდა მუხრანბატონების ერთი ნაწილი დღესაც ევროპაში ცხოვრობს.

პრინცი ბაგრატ ბაგრატიონი დე ბავიერა, მეუღლესთან პრინცესა კარმენ დე უიოა ი დე სუელვეს შვილებითურთ: იოანე და ინესათი

პრინცი იოანე ბაგრატიონ-მუხრანელი მეუღლე ქრისტინესთან ერთად

გვარი და გვარიშვილობა

ლევან ფრუიძე

ადგილის დედასთან დაბრუნება

დადგა ჟამი, როდესაც თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაიხსენოს და გააცნობიეროს, როგორც დიდი ილია ბრძანებდა - რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ, სადაა ჩვენი

ფესვი (ლეჩხუმური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ჩინჩხვი“), სად ფეთქავს წინაპართა ადგილის დედის გული...

საკითხავია, ფეთქავს კი?! იქნებ მამა-პაპათა ფესვი ხმება და ადგილის დედის გული ჩერდება... იქნებ ვწყდებით ჩვენს მასაზრდოებელ გარემოს?! ვიდრე გვიან არ არის, ჩავუფიქრდეთ ჩვენს დღევანდელ ყოფას. ცალ-ცალკე ვერა, საშველს მხოლოდ ერთად ვიპოვით. სწორედ ამიტომ, საქართველოში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო რეგიონული საქველმოქმედო საზოგადოებების ჩამოყალიბება, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი ოფიციოზი ამ ეროვნულ საქმეს არ სწყალობდა. ერთ-ერთი პირველი საქველმოქმედო საზოგადოება „რაჭა“ 1989 წელს შეიქმნა. ამ მოძრაობის პარალელურად გვარების შეკრებაც დაიწყო. გვართა და სახლთა (ოჯახთა, კომლთა) გაერთიანებანი ქვეყნის საერთო შეჭირვების ჟამს საკუთარი თავისა და სამშობლოს გადარჩენის მიზნით ძველთაგანვე ყალიბდებოდა. აქ ერთიანდებოდა პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესები, რაც პიროვნებისა და ერის თანაარსებობის ფენომენი ხდებოდა. ამ ფენომენის გააქტიურება, მიზანმიმართული წარმართვა შინაური და გარეშე მტრების მუხანათობას წარმატებით სძლევდა. სწორედ ამით საქართველო სამშვიდობოს გადიოდა. მრავალთაგან ერთ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან: XV საუკუნის შუახანებში ჩვენს ქვეყანას მორიგი ძნელბედობის უმძიმესი პერიოდი დაუდგა. 1453 წელს მაჰმადის მოძღვრებით აღფრთოვანებულმა ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაამხეს, კონსტანტინოპოლი აიღეს და საქართველო კულტურულ მსოფლიოს მოსწყვიტეს. XVI საუკუნიდან თურქეთის სამხედრო სახელმწიფომ ქართული მიწების გამიზნული მიტაცება დაიწყო. ვერაგული მიწის რეფორმით /მამულს მხოლოდ მართლმორწმუნე სუნიტი უნდა ფლობდეს/ თავისი მამულის ვერდამთმობი ქართველობის ნაწილი გაამაჰმადიანეს, ე. ი. გაათურქეს და საკუთარ სამშობლოს მტრად შემოუსიეს. გაჩაღდა თანამოძმეებით ვაჭრობა - ავბედითი „ტყვეთა სყიდვა“ და მახლობელი აღმოსავლეთის ბაზრები ქართველი ტყვეებით აივსო. ამ დამღუპველ პროცესს ჯერ ირანი, თურქეთი, ხოლო შემდეგ რუსეთი გეგმაზომიერად უწყობდნენ ხელს. საქართველოს მოსპობით მძლავრ, მტაცებელ მეზობლებს თავიანთი

აგრესიული ზრახვების განხორციელება სურდათ. ხსნა არსაიდან ჩანდა, მხოლოდ შინაგანი ძალისხმევით შეიძლებოდა გადარჩენა. ერის სასიცოცხლო ძალები იშრიტებოდა, მაგრამ საქართველოს ღმერთმა ერეკლე II და სოლომონ I მოუვლინა. მათ შეუძლებელი შეძლეს - ქართველობა თვითგადარჩენისთვის დარაზმეს.

1752 წელს 17 წლის სოლომონი იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა (1752-1784). ყმაწვილ მეფეს გულწრფელად სწყუროდა სამეფო ოსმალებისაგან გაეთავისუფლებინა, დიდებულთა პარპაში აღეკვეთა და ტყვეთა სყიდვა მოესპო, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება გაეუმჯობესებინა და სულიერება აემაღლებინა, მაგრამ მას სულის მოთქმა არ აცალეს, საკუთარი ბაბუა, ლევან აბაშიძე, და როსტომ რაჭის ერისთავი აუჯანყდნენ და მყისვე ტახტიდან ჩამოაგდეს. მეფე შინაგანად არ გატყდა, საკუთარ თავში ჰპოვა ძალა, პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობა შემოიკრიბა და ტახტი დაიბრუნა. მტრის თავხედობით გაწამებული და მოღალატე თავადების მკრეხელობით აღშფოთებული მოსახლეობა მეფის ირგვლივ დაირაზმა. ასეთნაირად დაიწყო იმერეთში ე. წ. ფიცის კაცთა მოძრაობა. ლორთქიფანიძეები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები, ღოღობერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, გრიგალაშვილები, ჭაბუკიანები და სხვები ერთმანეთს ფიცით შეეკრნენ და სოლომონ I-ის დროშის ქვეშ გაერთიანდნენ, რათა მეფეს თურქები გაეძევებინა, ადამიანებით სამარცხვინო ვაჭრობა მოესპო და ქვეყნის ასაღორძინებელი რეფორმები გაეტარებინა.

ყოველი წლის 15 მაისს ფიცის კაცები სათანადო საზეიმო მსვლელობით წმინდა მუხების ქვეშ იკრიბებოდნენ და მეფისა და ქვეყნის ერთგულებაზე საზეიმო ფიცს დებდნენ, ბოლოს რიტუალურ სუფრას შლიდნენ, ღვინის მადლით და მგზნებარე სადღეგრძელოებით ფიცს ერთხელ კიდევ განამტკიცებდნენ. ნიშანდობლივია, რომ 15 მაისს მეფისა და სამშობლოსათვის თავის განწირვის მიზნით ფიცის დასადებად ყველა წოდების ჭაბუკი მოდიოდა, ვისაც კი 15 წელი შეუსრულდებოდა, უფროსებს კი წინა წლებში ჰქონდათ მიღებული ფიცი, მაგრამ შთამაგონებელ სიტყვებსა და ლოცვას მაინც იმეორებდნენ. თითოეული ფიცის კაცის სახლი მეფის ციხესიმაგრე იყო, თან ტაძრის სათნოებითა და მრავალძალიანობით შემოსილი. ვინც იქ თავს შეაფარებდა, მეფისაგან უსათუოდ სამართალს მიიღებდა. ყოველ ფიცის კაცს მეფე უსმენდა და ენდობოდა. ფიცის კაცთა ლაშქრის სარდლობის პატივი ლორთქიფანიძეებს ჰქონდათ მინიჭებული. პირველი დაძახებისთანავე ფიცის კაცები საომრად გამოდიოდნენ; თავად-აზნაურთაგან - ქუდზე კაცი, გლეხებისაგან - კომლზე კაცი, რათა გუთნისდედანი და მევენახენი ნაკლებად დაზარალებულიყვნენ...

რაც უფრო შეძლებული იყვნენ ფიცის კაცები, მით უფრო უკეთ იყვნენ შეჭურვილნი. მუზარად-ჩაჩქან-ჯაჭვის პერანგში ჩამსხდარნი დარახტულ-თოროსან მერნებს მოაგელვებდნენ. თითოეულ გვარს თავისი ბავრაყ-ბაირაღი და დროშა მოჰქონდა, ბუკნაღარას არისხებდნენ და ომახიანი მხედრული სიმღერები ზეცას სწვდებოდა. ფიცის კაცები ფიცის ომში სასწაულებს ახდენდნენ. მეფეს განუყრელად ახლდნენ და მისი საუკეთესო მცველნი, ერთგული გვარდიელები, ნამდვილი რაინდები იყვნენ. ერის მოღალატეებს, გამყიდველებს, რენეგატებს რისხვად ევლინებოდნენ. კაი ყმათა ეს მოდგმა ყოველთვის იქ იყო, სადაც მეფეს, მრავალტანჯულ მამულს სჭირდებოდა. „უშიშნი ვითარცა უხორცონი“, თავგანწირულნი, სამშობლოს გადარჩენისათვის სიცოცხლეს არ ზოგავდნენ... ათასმა ფიცის კაცმა სოლომონ მეფეს სული მოათქმევინა და, მისი სასიქადულო წინაპრის დავით აღმაშენებლის მსგავსად, „დიდ-დიდთა“

საქვეყნო საქმეთა კეთების შესაძლებლობა მისცა. ერი დემორალიზებული და დაბეჩავებული იყო. საერთაშორისო ვითარება - ურთულესი. სოდომი და განუკითხაობა მძვინვარებდა. ოსმალეთმა სამხრეთ საქართველო გადაყლაპა და ჯერი იმერეთზე მიდგა. თურქები სისასტიკესა და ვერაგობაში ყველა დამპყრობელს აჭარბებდნენ, დასაბამიდანვე მკვიდრი მიწათმოქმედი ქართველების წინააღმდეგ მათ შეიმუშავეს საშინელი კანონი, რომლის ძალითაც მიწა-მამულის ფლობის უფლება მხოლოდ მართლმორწმუნე მაჰმადიანს - სუნიტს



ჰქონდა. ვინც არ გამაჰმადიანდებოდა, ის ადგილ-მამულს, საცხოვრისს კარგავდა. ბევრი ქართველი აიყარა და შიდა ქართლს შეაფარა თავი. ვინც ეს ვერ შეძლო, ადგილზე დარჩა და გამაჰმადიანდა. ნიჭიერმა და ომებში განაფულმა ქართველობამ ხონთქრის კარზე ადვილად გაიკაფა გზა და მათგან ფანატიკოსნი დედასაქართველოს დაუძინებელ მტრად მოევლინნენ. სამშობლოზე დამოკლეს მახვილივით იყო დაკიდებული ახალციხის საფაშო, სადაც გამაჰმადიანებული ქართველი ფაშა იჯდა და საქართველოს დასაღუპად ოსმალეთის მხარდაჭერით მოქმედებდა. შავი ზღვის მხრიდან ლაზეთი, აჭარა, აფხაზეთი თურქეთს ჰქონდა მითვისებული. ცეცხლითა და მახვილით დევნიდნენ იქ ქრისტიანობას, ე. ი. ქართველობას. მარტოოდენ იმერეთის სამეფო იყო ოაზისად დარჩენილი. იქაც აღზევებული თავადები გამეფებას ლამობდნენ, არც მეფეს ზოგავდნენ და არც ერთმანეთს. ჭაბუკმა მეფემ ყველაფერი იღონა თანამოძმეთა გადასარჩენად. მისი ერთადერთი საყრდენი ფიცის კაცები და მეფე ერეკლე იყვნენ, მეფე ერკლე, ისიც ლეკთა ურდოებსა და ირან-ოსმალეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებული.

1757 წელს ხონთქარმა სოლომონის სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. დიდი ჯარი გამოგზავნა, თან იმერეთის ირგვლივ შემოჯარულ საფაშოებს უბრძანა, თავ-თავიანთი ლაშქრით გამოსულიყვნენ სოლომონის წინააღმდეგ. მოღალატე ლევან აბაშიძე მტერს ახალციხეში შეეგება და წამოუძღვა. მეფემ მტერი ხრესილის ველზე (ტყიბულთან) შეიტყუა და გაანადგურა. გამცემი ლევან აბაშიძე დაიღუპა, ხოლო როსტომ რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს. მამაცობაში ფიცის კაცებს აფხაზები არ ჩამორჩნენ. ხრესილის ომი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, მაგრამ წარმოშობით თურქის სისხლი იქ ნაკლებად დაიღვარა, ქართველებმა ამოწყვიტეს ერთმანეთი. მათგან სამშობლოსათვის თავდადებულნი და მართალნი სასუფეველს, სამოთხის მარადისობას ეზიარნენ, მოღალატენი, გადაგვარებულნი, ხორციელ კეთილდღეობას, ფუფუნებას გადაყოლილნი ჯოჯოხეთში, კუპრის ზღვაში აღმოჩნდნენ. 1759 წელს სოლომონმა ეროვნული თვითშემეცნების ამაღლებისა და განმტკიცების მიზნით სასულიერო-საერო კრება მოიწვია. ყველა

ჯანსაღად მოაზროვნე და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველი შეკრიბა, ტყვეთა სყიდვა აკრძალა, ერთმანეთს გადაკიდებული მთავრები შეარიგა, მოსახლეობას გადასახადების შემსუბუქებით შვება მიანიჭა, სულიერება აღადგინა და დაკარგული იმედი ააღორძინა. საქართველო გადარჩა. როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს დავით აღმაშენებლური „დიდ-დიდნი საქმენი“ სოლომონმა ფიცის კაცების თანადგომით შეძლო. ფიცისკაცობა გვარების პატრიოტული მოძრაობა იყო და ამის გათვალისწინება დღესაც არ გვაწყენდა. გადაშენების საფრთხე, გადაგვარება და უბედურება დღესაც არ გვაკლია...

„გვარიანობას“, „ოჯახიშვილობას“ საქართველოში მიწყივ ჰქონდა ფასი და ძლიერი შინაგანი ძალა, რომელსაც გერონტი ქიქოძემ ეროვნული ენერგია უწოდა. სულმნათმა ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ ქართველობა კუთვნილ საცხოვრისში გვარების მიხედვით მკვიდრდებოდა და საგვარეულო ბუდე-სოფლები, მოსახლეობის XVIII ს-ის აღწერის მასალებით, ჯერ კიდევ მყარი იყო. განსახლების ეს უძველესი, მაგრამ უაღრესად დახვეწილი და სრულყოფილი, სისტემა ტრადიციული სოფლების სახით მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია და ჩვენი ქვეყნის მომავალი ამ სოფლების სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ყველამ იმ ადგილის დედას უნდა მივხედოთ, საიდანაც ვართ და როგორმე უნდა შევძლოთ, რომ თაობათა შორის კავშირი არ გაწყდეს, ქართული მიწა უქართველებოდ არ დარჩეს. ამისი საფრთხე კი მესამე ათასწლეულის კვირაძალზე რეალურად არსებობს. რაც თავის დროზე არაბებმა, მონღოლებმა, შაჰ-აბასმა, თემურ-ლენგმა და მისთანებმა ვერ შეძლეს, იმას დღეს „მოყვარე“ მტერი მიზანმიმართულად აკეთებს. სამწუხაროდ, საქართველოს განქართველება დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უფრო გამძაფრდა. როგორც ყოველთვის, ახლაც საკუთარმა თავმა უნდა გვიშველოს. უპირველეს ყოვლისა, გვარების მოძრაობას ეროვნულ-პატრიოტული მიმართულება უნდა მიეცეს. სწორედ ამიტომ ქართული ცხოვრების წესს უნდა დავუბრუნდეთ და სარწმუნოებრივი მრწამსით ვიცოცხლოთ და ვიმოქმედოთ. უკვე დროა მართლმადიდებლობა ჩვენი ყოველ-

დღიურობის მომწესრიგებელ რელიგიად გავიხადოთ და ქრისტიანულად ვიცხოვროთ, ისე როგორც საუკუნეთა მანძილზე ვცხოვრობდით. რელიგიურობა მხოლოდ ღმერთის ზერელე, თვალთმაქცური, მოჩვენებითი აღიარება როდია, ზოგიერთი მედროვე რომ ურცხვად პირჯვარს იწერს და საზოგადოებას არწმუნებს, ჭეშმარიტი მორწმუნე გავხდიო...

სხვა გზა არ არსებობს, საქართველო აგრარული კალენდრით მოწესრიგებულ ყოფას უნდა დაუბრუნდეს. საქმის დღეთა

და უქმეთა მონაცვლეობის აღსრულებით, მარხვა-ხსნილის შენახვით. აქ უკვე გამოიკვეთება საგვარეულო დღეობათა არსი და მნიშვნელობა. ეროვნულ-სარწმუნოებრივი კალენდრით, საქართველოს ყველა სოფელსა და დაბა-ქალაქს, ვერტიკალურ ზონალობაში განსახლებისა და შრომა-საქმიანობის გათვალისწინებით, თავ-თავისი დღესასწაული ჰქონდა. ამ დღეს თითოეული მკვიდრი სახლი (კომლი, ოჯახი) ვალდებული იყო საზეიმო სუფრა გაეშალა და სხვაგან წასულ სახლიკაცებს, მოგვარე-მოკეთეებს მასპინძლად დახვედროდა. სახლიკაცი - გვარიშვილი, სადაც უნდა ყოფილიყო, უსათუოდ თავის ნაფუძვარს უნდა დაბრუნებოდა, საგვარეულო სალოცავისთვის თაყვანი ეცა, ადგილის დედას მოფერებოდა, წინაპართა მიწაში დამარხვა ენატრა. ეს დიდებული ჩვეულება საქართველოში დღესაც სრულდება [ამ სტრიქონების ავტორი, როგორც ეთნოგრაფი, ხშირად გამხდარა დღესასწაულის ჟამს სხვადასხვა მხარეში გაფანტულ ჭეშმარიტ მამულიშვილთა საგვარეულო სოფლებსა და მშობლიურ სალოცავებში მოსვლის მოწმე]. ჩვენთან დღემდეა შემონახული ზედაშეს მიტანის ძველთაძველი წესი. რუსეთის ბატონობის დამყარებამდე საქართველო ძირითადად ქართველებით დასახლებული ქვეყანა იყო, მტრის გამუდმებული შემოსევებით აოხრებული, გაუკაცრიელებული ბარი თანმიმდევრულად ივსებოდა მოსახლეობის ნამატით. ეს პროცესი რელიგიურად იყო მოწესრიგებული და ღვთაებრიობის მადლით მიმდინარეობდა. მომრავლებული კომლი როცა გაიყრებოდა, თითოეულ განაყოფს კარ-მიდამო, ფუძე-საკომლო, საარსებო სივრცე უკვე შერჩეული ჰქონდა. ხშირად მამაპაპისეული სახლი, როგორც მოდგმის საგვარეულო სიწმინდე, ხელუხლებელი რჩებოდა და იქ მიდიოდნენ, ვითარცა ტაძარში. ამ სახლიდან წასული ყოველი სახლიშვილი ვალდებული იყო, წელიწადში ერთხელ მაინც მისულიყო საგვარეულო-სასოფლო დღეობაზე საკლავით, სანთელ-საკმევლით, ტაბლა-განატეხითა და ზედაშეთი, მოელოცა წინაპართა ფუძე-სახლი, გვარის, სოფლის ტაძარ-სალოცავი, საგვარეულო ნიში და სასაფლაო.

ზედაშე - ქართული სარწმუნოების საფუძველთა საფუძველი, ადამიანის შრომის ნაყოფის ღვთაებრიობის სიმბოლოა. უპირველესად, თავღვინო, ერბო და სულადი (ხორბლის პური). ქართლ-კახეთის ტრადიციულ ოჯახებს მარნებში დღესაც აქვთ საზედაშე ქვევრები (ერთი, სამი...), საგვარეულო სალოცავებისათვის განკუთვნილი, სადაც საუკეთესო თავღვინოს ასხამენ და დღესასწაულის დროს ზედაშედ მოიხმარენ. სალოცავში ზედაშეს მიტანა არამარტო წმინდა მოვალეობაა, არამედ იმის ნიშანიც, რომ კომლი ფეხზე დგას, ცოცხლობს, მოქმედებს, წარმოებას ეწევა, ღმერთისა და ქვეყნის სამსახური შეუძლია. და როცა მამულიშვილნი ამას ვერ შეძლებენ, მეურნეობა მოეშლებათ, აიყრებიან და სხვაგან ჰპოვებენ თავშესაფარს, მაშინ ვალდებულნი არიან, საზედაშე ქვევრები მოთხარონ და სალოცავზე მიიტანონ, თან ღმერთს შეევედრონ - ზედაშეთი ვეღარ გემსახურებით და გვაპატიე, ეს ქვევრები საუკუნოდ მოგართვით, გვწამს ჩვენი მოდგმა, თქვენი წყალობით, კვლავ მობრუნდება, მამაპაპურ მარანში ამ ქვევრებს ისევ ჩაფლავს და სამსახურს, ზედაშეს არ მოგაკლებსო. სამწუხაროა, ჯერჯერობით საქართველოს ეკლესიებთან (განსაკუთრებით შიდა ქართლში) მოთხრილი საზედაშე ქვევრები მრავლდება, სხვაგან კი ეს ჩვეულება თითქმის დავიწყებულია. დასკვნა ასეთია: ზედაშეს დამყენებელი კომლები თუ მოიშალნენ, მაშინ საქართველოს არსებობა ეჭვქვეშ დადგება...

ყოველივე ეს უნდა გააცნობიერონ გვარებმა, რომელთაც ღვთაებრივი ზეშთაგონებით, შინაგანად, სულიწმიდის მადლით, შეკრებისა და ერთმანეთის გვერდში დადგომის აუცილებლობა შეიგრძნეს. გვართა შეკრებ-

შეკავშირების საინიციატივო ჯგუფმა - გვარისკაცებმა - შემდეგი უნდა გაითვალისწინონ: შეკრიბონ და დააზუსტონ საგვარეულო ლეგენდა-გადმოცემები. არ არსებობს გვარი, რომელსაც თავის წარმოშობაზე რაიმე ცნობა (ზეპირი ან წერილობითი) არ გააჩნდეს. ამ მასალის მოგროვებასა და სისტემაში მოყვანას, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების გარდა, შემეცნებითი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე, თითოეულმა ოჯახმა უნდა შეადგინოს გენიალოგიური ნუსხა, რომელიც სახლში ძვირფას რელიკვიად შეინახება და თანდათან შეივსება. ზოგჯერ გენიალოგიურ ნუსხას მუხის ზრო-ვარჯითა და შტოებით სახლის ან მარნის კედლის თვალსაჩინო ადგილას ხატავდნენ, მინახავს ბუხრის კამარაზე ამოკვეთილი ანდა სპილენძის ფირფიტაზე ამოტვიფრულიც... საერთოდ, უნდა აღდგეს ძველი ტრადიცია და საქართველოში თითოეული გვარის მატიანე უნდა დაიწეროს. ჩვენამდე მოაღწია სუმბატ დავითის ძის თხზულებამ - „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა ჩუენ ქართუელთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანისა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“ (XI ს.) და გრიგოლ ბანდაისძის (XV ს-ის დასაწყისი) „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც მოგვითხრობს ცხრა ძმის (ცხრაზმის) ერისთავების, ქვენიფნეველთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიას ცხრაძმაში დამკვიდრებიდან XV ს-ის დასაწყისამდე. ცალკეული ფრაგმენტებია აგრეთვე გადარჩენილი მაჩაბელთა საგვარეულო მატიანიდან (გ. არახამია, ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბილისი, მეცნიერება, 1988). ვინც არ იცის, მეცნიერთა მეშვეობით უნდა დაადგინოს საკუთარი გვარის ბუდე-სოფელი (ნასოფლარი), საგვარეულო სალოცავი, წმინდანი და წლიური კალენდარული დღესასწაული. დღესასწაულის მიმდინარეობა მარტივია: სტუმრები და მასპინძლები ეკლესიაში წირვას მოისმენენ, მამა-პაპათა საფლავებს მოინახულებენ და მოუვლიან (თუ ეს აუცილებელი რიტუალი აღდგომის ჟამს არ შესრულდა). ბოლოს ყველა კომლი თავის სტუმარს გაუმასპინძლდება, შეიძლება საერთო ლხინიც გაიმართოს ეკლესიასთან - „საფერხისოზე“, „საჯვარეზე“, „საერობაზე“ და ა. შ. ეს სოფლის თაოსნობაზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ასეთი ლხინი („თემად დაჯდომა“, „თემობა“, „საღმრთოობა“ და ა. შ.) ღრეობა-ლოთობის ასპარეზად არ უნდა იქცეს. ეს უნდა იყოს დარბაისელთა შეკრება, ასევე ახალგაზრდობას და ნებისმიერს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი თავანკარა ხელოვნება ყველას აჩვენოს, დღეობის მიმდინარეობა და ტრადიციული სუფრის რიტუალი ისე უნდა წარმოჩნდეს, რომ იგი მოზარდი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურებოდეს. არ არის გამორიცხული, აქ სოფლის ავ-კარგი გაირჩეს და მტკივნეული საკითხები მოგვარდეს, თან თამადობა-მჭევრმეტყველება, ზმა და სიტყვაკაზმულობა, ცეკვა და სიმღერა წყაროსთვალივით უნდა მოჩქეფდეს.

სალოცავები, ჩვეულებრივ, ძნელად მისადგომ, მაღალ ბორცვებზე ან მწვერვალებზეა, ამიტომ ძველად ძირს ნიშებსა და სტელებს დგამდნენ, რომელთაც ჩუქურთმებითა და წარწერებით ამკობდნენ. ხშირად ცალკეულ გვარს თავისი ნიში (სტელა) ჰქონდა. ახალ საცხოვრისში გადასახლებული ოჯახი, როგორც კი თავშესაფარს გაიკეთებდა, მაშინვე სანიშე ადგილს შეარჩევდა და ეკლესიის ანდა სამლოცველოს აშენებამდე თავის მამა-პაპის სალოცავ ნიშ-სასანთლეს ჩადგამდა. რწმენის, სულიერების გარეშე ცხოვრება, მეტადრე ახალმოსახლეობა, საერთოდ წარმოუდგენელი იყო. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როდესაც ათეიზმს სახელმწიფო იდეოლოგიის მნიშვნელობა ჰქონდა, ზედაშესა და სალოცავ ნიშებზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ასეთი ქმედებისათვის მორწმუნეებს დევნიდნენ, მიუხედავად ამისა, მოსახლეობა მაინც

მამა-პაპის გეზს ადგა, საგვარეულო დღესასწაულებსა და სალოცავებს არ თმობდა. ახლა რელიგიური თავისუფლებაა და უცხო, ქართველთა ყოფისათვის მიუღებელი, სექტანტური ღვარძლის საპირისპიროდ ზედაშეს მიტანის უაღრესად აზრიანი, უწმიდესი წესი, წინაპართა სალოცავების მოლოცვა და ადგილის დედის მადლი უნდა აღვადგინოთ. ამაზე ერის სულიერმა მამებმა მეცნიერებთან ერთად უნდა იფიქრონ. მაშასადამე, საგვარეულო დღესასწაულები ქრისტიანთათვის ქრისტიანული მოძღვრებით უნდა გაცისკროვნდეს, ხოლო სხვა რელიგიის მიმდევარნი სოფლისა და გვარის დღეობას ისევე შეიწყნარებენ და პატივს მიაგებენ, როგორც ეს თავის დროზე ქრისტიანობამ გააკეთა. აქვე უნდა აღინიშნოს ქართველთა ძველთაძველი ჩვეულების, სახელდობრ, ყრმათა ხატში მიბარების, განათვლის შესახებ. ვფიქრობ, ნათლობის რიტუალი ამ წესს მოიცავს. თუ მსხვერპლშეწირვებს მოვაწესრიგებთ და ეროვნულ სიმბოლიკას მიზნობრივად გამოვიყენებთ, მაშინ ყველა საგვარეულო დღესასწაულს პიროვნებათა პატრიოტულ-ეროვნული თვალსაზრისით განათვლის, ანუ მიზანმიმართული ცხოვრების დაწყების მნიშვნელოვან ასპარეზად ვაქცევთ.

გარდა ამისა, საგვარეულო დღეობა-შეკრებებს ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება. მარტო გვარში გამოჩენილი ადამიანების მრავლისმეტყველი მაგალითები რად ღირს. არ არის გამორიცხული, ასეთ დროს გვარის შემარცხვენელთა მხილებაც მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, „დანამუსება“ მაინც. ბუნებრივია, ადგილი არ უნდა დაეთმოს დაუმსახურებელ ურთიერთშექებას, ხოტბას, მლიქვნელობასა და ქედის მოდრეკას. მართალი სიტყვა, პირუთვნელი განსჯა, მიმდინარე მოვლენების სწორი, ჯანსაღი შეფასება და სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრი საგვარეულო შეკრებათა მიზანი უნდა გახდეს. ასეთნაირად მოიაზრება ადგილის დედასთან დაბრუნება.



ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ რეალობას, რომ ნებისმიერი სოფლის მოქმედი სასიცოცხლო ძალა ამჟამად ქალაქში, ძირითადად, დედაქალაქშია თავმოყრილი. მათი გაერთიანება მეტ-ნაკლებად უკვე მომხდარია სამხარეო თუ სასოფლო საქველმოქმედო საზოგადოებების სახით, მაგრამ ამ საზოგადოებათა უმრავლესობა არ მუშაობს. დაფუძნების ენთუზიაზმი ჩანავლდა და ისინი მესიას ელოდებიან - გვიშველისო! წყალწაღებული კაცისა არ იყოს, ღმერთი მაშინ გვიშველის, თუ თითოეული ჩვენგანი ამოქმედდება. ბოლოს და ბოლოს, კუთხის, გვარის მეშვეობით ერთმანეთის გვერდით დავდგებით და არსებობის აზრად გავიხდით სამშობლოს გაერთიანებას, სრულ ეროვნულ თავისუფლებას, პატიოსანი შრომის უზენაესობასა და ზნეობრივად სრულქმნილ ცხოვრებას. აი, ამ იდეალებს უნდა ემსახურებოდეს საგვარეულო შეკრება-დღეობები, სოფლად გაიმართება ისინი თუ ქალაქად. მთავარი მაინც ადგილის დედასთან დაბრუნება და მისი გაცნობიერებაა.

წამებული

გიორგი ციციშვილი

ნიჭიერი ფეოდალი

გენერალი კოტე აფხაზი
მხატვარი გუდუ სირბილაძე

ქართველი თავადაზნაურობა, ამ სოციალური ფენის გენეზისიდან მოყოლებული, მთელი ორიათასწლოვანი ფორმირება-განვითარების ხანგრძლივი პროცესის განმავლობაში ასრულებდა ერის სამხედრო-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარება-აღორძინების ავანგარდისა და წინამძღოლის როლს. ამ ისტორიულად ხანგრძლივი ღვაწლის პროცესში თავადაზნაურობამ, იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ლოგიკის შესაბამისად, მოიპოვა და დაიმკვიდრა პოლიტიკურ-ქონებრივი პრივილეგიები. იგი ჩამოყალიბდა ქვეყნის მმართველი სოციალური ფენისა და წარმოების ძირითადი საშუალებების, მათ შორის, უმთავრესი ღირებულების, მიწისა და ქვეყნის მთავარ მესაკუთრედ. მისი ეს მდგომარეობა ქმნიდა სამშობლოს და საკუთრების მიმართ განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ, ეროვნული პატრიოტიზმის მასაზრდოებელ შეგნებას. ქართველი თავადაზნაურობა თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ტრადიციებით მთელი თავისი არსებობის მანძილზე წარმოადგენდა ქართული ეროვნული პატრიოტიზმის მასაზრდოებელ მთავარ ძალასა და ქართველი ერის პატრიოტიზმის გენერაციის უმთავრეს წყაროს. ქართველი თავადაზნაურობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის განხორციელებამდე არ არსებობდა ეროვნული ხასიათის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც გადამწყვეტი როლი არ შეესრულებინა ამ სოციალური ფენიდან გამოსულ წარმომადგენლობას.

თავადაზნაურული პრივილეგია, ისე როგორც ყველა ამქვეყნიური ადამიანის მიერ შექმნილი იერარქიული და ორგანიზებული მდგომარეობა, ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიქმნა მისივე წიაღში აღმოცენებული ცვლილება-განვითარების შინაგანი განახლების აუცილებლობიდან გამომდინარე.

XIX საუკუნის მსოფლიო ისტორიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ძვრებმა გარდაუვლად მოითხოვა საუკუნეობრივად ჩამოყალიბებული ძირითადი წარმოების საშუალებებზე და, მათ შორის, ადამიანებზე გავრცელებული მემამულურ-ბატონყმური ურთიერთობის ბურჟუაზიული საკუთრებითა და თავისუფალი შრომის დამკვიდრება-გამოყენებით ჩანაცვლების აუცილებლობა. ამ ისტორიულ პროცესს რუსეთის იმპერიისა, მათ შორის,

მის შემადგენლობაში შემავალ რეგიონებში და კონკრეტულად საქართველოში, სათავე დაუდო XIX საუკუნის 60-70-იან წლებში განხორციელებულმა საგლეხო რეფორმამ. იგი მთელი ქვეყნის მასშტაბით გატარდა რუსეთის თავადაზნაურობისა და მის სათავეში მყოფი ყველაზე დიდი მემამულის - იმპერატორის ინტერესების, რეფორმის აუცილებლობისა და თავადაზნაურული ნების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. მაშასადამე, რეფორმის სულისკვეთებას საფუძვლად დაედო ამ დროისათვის იმპერიის მასშტაბითა და ისტორიული რეალობის კანონზომიერების ტრადიციით გაბატონებული თავადაზნაურობის პრივილეგირებული მდგომარეობის ურყევად შენარჩუნებით, მისი ბურჟუაზიული ცხოვრების წესზე გადაყვანის ინტერესი. ამდენად, იგი მოგვევლინა, როგორც მონარქიულ-თავადაზნაურული რუსეთის იმპერიის, ბურჟუაზიულ მონარქისტულ-თავადაზნაურულ იმპერიად გარდაქმნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა. მისი მთავარი არსი იმ მოთხოვნაში აისახა, რომ გლეხობას მიეცა პირადი, იურიდიული თავისუფლება, მაგრამ მიწა, ძირითადად, კვლავ თავადაზნაურობის საკუთრებაში დარჩა. მაგრამ ამასთანავე ქვეყნისა და თავადაზნაურობისათვის მოსალოდნელი კატასტროფის, უმიწო გლეხობის მყისიერი პროლეტარიზაციისა და მისი ბუნებრივად თანმდევი, პროლეტარული აჯანყებებისა, თუ რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით, გლეხობას მიეცა მის სარგებლობაში არსებული მიწის ნაწილი („ნადელი“) და მისი კერძო საკუთრებით გამოსყიდვის უფლება. ამ გზით მიწის საკუთრებისა და გლეხობის ყმური მდგომარეობიდან თავისუფალ, დაქირავებულ შრომაზე გადაყვანას შეუქმნეს დროში გაჭიმვა-დამუხრუჭებისა და ერთგვარ ევოლუციურ პროცესად გარდაქმნის შესაძლებლობა:

საგლეხო რეფორმა გატარდა იმპერიული მასშტაბითა და თვითმპყრობელობის მიერ ნაკარნახევი რუსი თავადაზნაურობის საერთო მოთხოვნილების შესაბამისად, ეროვნული ერთეულების, მათ შორის საქართველოს თავისებურებათა, მხოლოდ უმნიშვნელო გათვალისწინებით. ქართველი თავადაზნაურობის კერძო მესაკუთრული ინტერესები რუსეთის მონარქიულ-თავადაზნაურული ინტერესების დანართს წარმოადგენდა და ქართველობას აგრარული რეფორმის გატარების საკითხებს, ფაქტობრივად, ურმის მეხუთე თვლის როლი ენიჭებოდა. საქართველოში საიმპერიო ხელისუფლების ადგილობრივმა წარმომადგენლობამ საგლეხო რეფორმის მოსამზადებელ კომისიას სათავეში ჩაუყენა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, თავადი დიმიტრი ყიფიანი. იმპერატორის მიერ დამტკიცებული საიმპერიო საგლეხო რეფორმის დებულების საფუძველზე, ისე როგორც მთლიანად რუსეთში, საქართველოშიც სოფლის ძირითადი მწარმოებელი კიდევ უფრო კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რეფორმამდე ქართველი ყმა-გლეხი საშუალოდ სარგებლობდა კომლზე 5,2 დესეტინა მიწით, რეფორმის შემდეგ დროებითი ვალდებულების საკუთრებაში გადადიოდა 3,4 დესეტინა. ამავე დროს მას ჩამოერთვა ადრე სათემო და საერთო სარგებლობაში არსებული საძოვრებითა და ტყით სარგებლობის უფლება, რომლის მესაკუთრედ თავადაზნაურობა დამკვიდრდა. მასვე მიეცა ყოფილი ყმა-გლეხის განთავისუფლების გამოსასყიდი, ხელისუფლებისაგან გაღებული თანხა, თითოეულ ყმაზე 25-50 მანეთის ოდენობით. ნიკო ნიკოლაძის მოსწრებული შეფასებით, ეს რეფორმა იყო „მძარცველობის და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება“. ასეთი იყო საგლეხო რეფორმის შეზღუდული კლასობრივი არსი, რომელიც რეაგირების გარეშე არ დარჩა.

ჯერ კიდევ რეფორმის მზადება-განხორციელების პროცესში ამოიცნო მისი არსი რუსეთისა და, კერძოდ, საქართველოს პროგრესულ-ჰუმანურ პოზიციებზე მდგარმა წარმომადგენლობამ, მათ შორის იყვნენ თავადაზნაურობის წრიდანაც. ჩვენში ილია ჭავჭავაძემ რეფორმის შემმუშავებელი საგლეხო კომიტეტის სხდომაზე დააყენა თანა-

მოაზრეთა გულის კარნახიდან გამომდინარე საკითხი, მოითხოვა გლეხობის მიწიანად გათავისუფლება და მიწის გადაცემა მის კერძო საკუთრებაში. მაგრამ ეს იყო ქართველი თავადაზნაურობის ერთი პროგრესული ნაწილის სულისკვეთების გახმოვანება, რომელსაც არსებული რეჟიმის პირობებში არ მიეცა განვითარების შესაძლებლობა. არადა, ქართული პატრონყმური ტრადიციების შემორჩენილი განწყობილება ნამდვილად იძლეოდა რეფორმის გაცილებით მნიშვნელოვანი ჰუმანურობით გატარების შესაძლებლობას. გლეხების ინტერესების დამცველ საიმპერიო ნაროდნიკულ მოძრაობაშიც არაერთმა ქართველმა, მათ შორის თავადაზნაურობის წარმომადგენელმა (ი. ჯაბადარმა, გ. ზდანოვიჩ-მაიაშვილმა, ა. ციციშვილმა, ა. ფურცელაძემ, ო. ყიფიანმა და სხვ.), მიიღო მონაწილეობა და აქტიურად დაუჭირა მხარი მიწის ხელახალი სამართლიანი გადანაწილებისათვის („პერედელისათვის“) ბრძოლას. ჟანდარმერიის მონაცემებით საქართველოს გლეხების ინტერესების დამცველთა, საიდუმლო ხალხოსნურ წრეებში 200-ზე მეტი პიროვნება იყო გაერთიანებული.

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში გლეხობისა და თავადაზნაურობის ინტერესთა დაცვის სამართლიანად მოგვარების მტკივნეულ პრობლემას თავს დასტრიალებდნენ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა პარტიულ-პოლიტიკური პროგრამის შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძე. 1917 წლიდან ფედერალისტ-რადიკალთა შემადგენლობის გადაჯგუფების საფუძველზე ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის მიმდევართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც ქართველი გლეხობისა და თავადაზნაურობის უფლებრივ-ქონებრივი თანაარსებობის მოგვარების საკითხებს დაუთმო განსაკუთრებული ყურადღება. ამ ორი პარტიის დამაარსებლებსა და

ხელმძღვანელ მონაწილე ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს შორის შერწყმული იყვნენ თავადაზნაურობის წრიდან გამოსული ცნობილი მოღვაწეები (ფედერალისტები: გ. ზდანოვიჩი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. მდივანი, ს. ფირცხალავა, ნ. ერისთავი, ვ. ყიფიანი, გ. ლასხიშვილი, ი. მაჭავარიანი, მუსხელიშვილი, ა. ჯაბადარი, კ. აბაშიძე, გ. მაჩაბელი, ა. ვახვახიშვილი, ს. ყიფიანი, კ. მაყაშვილი, მ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი, ა. ციციშვილი, ს. მაჭავარიანი, მ. წერეთელი, თ. ჩიჯავაძე, ი. ამირეჯიბი, ნ. თავდგირიძე, შ. ამირეჯიბი და სხვ. ეროვნულ- დემოკრატებში: მ. წერეთელი, მ. ჯავახიშვილი, რ. გაბაშვილი, შ. ამირეჯიბი, ი. ჯავახიშვილი, კ. აფხაზი, ს. ყიფიანი და სხვ. მათ შორის იყვნენ ქართული კონსტიტუციური მონარქიის მომხრე ეროვნულ-დემოკრატები: შ. ამირეჯიბი, გ. წინამძღვრიშვილი, რ. გაბაშვილი და სხვები, რომლებსაც თანაუგრძნობდნენ კ. აფხაზი, ქ. ჩოლოყაშვილი და სხვ.).

XX საუკუნის დასაწყისის, ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა მძლავრი აღორძინებისდროინდელ საქართველოში, ყველა ეროვნული მასშტაბის მოვლენის გენერაციის წყაროს ქმნიდა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც ამდროინდელი სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობის ნიადაგზე, თავისი ძირითადი ინტელექტუალური შემადგენლობით იყო უპირატესად თავადაზნაურული, ისევე როგორც XIX საუკუნეში. მათი მემკვიდრეობითი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის მიმართ განმსჭვალული იყო საერთო ეროვნულ ნიადაგზე დგომისა და საერთო ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით. ამიტომ იყო, რომ XX საუკუნის პირველი ათწლედების საქართველოში ყველა ეროვნული ინტერესებით წამოწყებულსა და განვითარებულ პროგრესულ მოძრაობაში რეალური ძალის მასაზრდოებელი და ტონის მიმცემები იყვნენ ქართველი თავადაზნაურობის ფენიდან გამოსული მოღვაწეები. მათ შორის ჩაისახა და განვითარდა სუვერენული სახელმწიფოს მოპოვების იდეა.

ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთ ზეკლასობრივ გლობალური მნიშვნელობის ღონისძიებებში, რომლებმაც განსაზღვრეს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვება. მათ შორის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მიღწევა, თბილისის ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება და საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნა-მოღვაწეობა. ქართველმა თავადაზნაურობამ ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ მომენტში, თავისი წინამძღოლის (კ. აფხაზის სახით) ეროვნულ ყრილობას გადასცა მისი ფუნქციონირებისათვის უკიდურესად აუცილებელი და არსებითი მნიშვნელობის მქონე, საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დაგროვილი ქონება, რომლის საბანკო ღირებულება ოქროთი 60 მილიონ რუბლს უტოლდებოდა. ქართველი თავადაზნაურობის ზეპარტიული ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება იმის ოპტიმისტურ შესაძლებლობას ქმნიდა, რომ არსებული რეალობის, ისტორიული სამართლიანობისა და ურთიერთმისაღები პირობების მაქსიმალური გათვალისწინებით მოგვარებულიყო აგრარული საკითხი, რომელიც მეფის რუსეთისა და რუსი თავადაზნაურობის საფუძველზე ჯერ კიდევ რჩებოდა უაღრესად მწვავე პრობლემად. ამასთანავე, თავიანთი მარქსისტულ-მენშევიკური და ბოლშევიკური პროგრამებიდან გამომდინარე, აგრარულ საკითხს საქართველოში უკიდურესად ამწვავებდნენ მისი ცალმხრივი პროლეტარული გაგების მიმდევრები. მათი პროგრამები ეფუძნებოდა მომავალი ქართული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის კლასობრივი ერთგვაროვნობიდან და თავადაზნაურობის პარაზიტებად შეფასებიდან გამომდინარე პოსტულატებს. ამ გაგებით იგნორირებული იყო მიწის ძირითადი მფლობელობის, თავადაზნაურობისა და ეკლესიის მსახურთა ინტერესები. მათ მიერ წარმოებისა და არსებობის ძირითადი საშუალება - მიწა გაგებული იყო მხოლოდ როგორც პოლიტიკური მიზნების განხ-

ორციელების საშუალება, რომლის დროსაც ძირითად მეთოდად მიღებულ იქნა მსხვილი მიწისმფლობელების წინააღმდეგ უმიწო და მცირემიწიანი გლეხების წაქეზება და ძალმომრეობის გზით თავადაზნაურობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

მაგრამ საქართველოში მიწათმფლობელი თავადაზნაურობისა და მიწის ძირითადი მწარმოებლის - გლეხობის ინტერესთა გათვალისწინებით აგრარული საკითხის მოგვარებას ჰქონდა რაციონალური გამოსავალიც. მის ერთ-ერთ პრაგმატულ გამოვლინებას წარმოადგენდა ქართველი ინტელიგენციის მიერ მოწყობილი „მიწათმოქმედების კომისიის“ საქმიანობა. მის შესახებ მოგვითხრობს ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი - რეზო გაბაშვილი: იმ დროს, როდესაც გლეხობა განიცდიდა მიწის უკიდურეს სიმცირეს, ქართველი თავადაზნაურობა ლამის ორიათასწლოვანი ტრადიციითა და რეალობის მიხედვით საკუთრების უფლებით ფლობდა, მსხვილი მემამულეების მაჩვენებლებით (დესეტინებში): გ. ამილახვარს - 14 000, მ. ერისთავს - 2 000 (12 დესეტინა ხილის ბაღი), ჯანდიერებს 20 დესეტინა ვენახი, ჯავახიშვილებს - 12 დესეტინა საუკეთესო ხილის ბაღი და ციციშვილებს - 74 000, ასევე ზოგს ასობით და ზოგს ათასობით. კახეთში მარტო ერთ ჯანდიერს ჰქონდა 20 დესეტინა ვენახი. დიდი ფართობების მფლობელები იყვნენ ვაჩნაძეები, ანდრონიკაშვილებიდა სხვ. მარტო დიმიტრი ჩოლოყაშვილი 50 დესეტინის სამეურნეო ერთეულის პატრონი იყო. მარტო ქართლში 50 ათას დესეტინამდე აღწევდა ბაღ-ვენახის ფართობი, კახეთში ამდენივე იყო ვენახისა და თამბაქოს კულტურა. ამ ვითარებაში პროგრესულად მოაზროვნეთა მიერ გამოსავალი ასეთი სახით გამოიძებნა: პირველ მსოფლიო ომამდე და ომის დასაწყისში საქართველოში აგრარული რეფორმა ტარდებოდა თავადაზნაურობის საკრებულოსთან მოწყობილი ე. წ. „მიწათ-მოქმედების“ მიერ, რომელმაც 15 000 მანეთის წლიურად გამოყოფილი სახსრებით 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა ბანკის, დაწესებულებისა და კერძო პირისაგან შეისყიდა და ქართველ გლეხობაზე საკუთრების უფლებით გაანაწილა 52 000 დესეტინა (1000 000 დღიური ანუ 150 000 ქცევა) მიწა. შემუშავებული იყო პროექტი, წლიური ბიუჯეტი 300 000-მდე

აეყვანათ და კახეთსა და ბორჩალოს მაზრებში შესყიდულ მიწებზე დაესახლებინათ დასავლეთ საქართველოს - სამეგრელოს და გურიის გაჭირვებული გლეხობა - მცირემიწიანი კონტინგენტი. ამ გზით დაგეგმილი იყო აღნიშნული ტერიტორიების ათვისება ქართველების მიერ. ამ მიზნით გათვალისწინებული იყო 100 ათას დესეტინამდე მიწა. ეს იქნებოდა აგრარული რეფორმა რეალური მდგომარეობის შესაბამისი სამართლიანობით.

მაგრამ სოციალ-დემოკრატი მენშევიკების საქართველოს ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლის და მათი მსოფლმხედველობის შესაბამისად აგრარული რეფორმის გატარება დაიწყო ძალმომრეობითა და ამ ვაიმარქსისტების მიერ სოფლის პარაზიტებად მიჩნეულ მიწათმფლობელ თავადაზნაურობაზე სისხლიანი ლაშქრობით. ამ მოვლენების **მომსწრე რეზო გაბაშვილი წერს: „საქართველოს თავადაზნაურობას, სამღვდელოებას, ინტელიგენციას ბრძოლა გამოუცხადეს და პირველებს ხოცავდნენ, მეორეს სდევნიდნენ, მესამეს არსად აჭაჭანებდნენ. შემდეგ კი ამტკიცებდნენ, რომ „თავადაზნაურობას ხალხი (?) ხოცავდა, რევოლუციის ექსცესები იყოო“. მე კი ვამტკიცებ, რომ ეს ხდებოდა განზრახ ზემოდან, - ტერორის შესაქმნელად და, თუ დავუკვირდებით, ამაში დავრწმუნდებით, რადგან არც ერთი ბოროტი თავადი ან აზნაური არ მოკლულა და ვეზირიშვილები (ცოლი და ქმარი), აფხაზები (ოჯახობით), ციციშვილები (ბავშვებიანად), სარაჯიშვილები (კახეთში), მ. მაღალაშვილი და სხვანი მრავალნი, შერჩევით ამოხოცეს, სწორედ როგორც ინტელიგენტები, გლეხობასთან საუკეთესო განწყობილებაში მყოფნი. თითქო მათი ბრალი ყოფილიყოს, რომ საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში ინტელიგენცია თავადაზნაურობიდან გამოდიოდა. დახოცილებში ერთს ვერ დაასახელებთ, თავისი მედიდურობით, სასტიკი მოპყრობით, თუ ექსპლუატაციით გლეხობის უკმაყოფილება დაემსახურებინოს. მკვლელობანი ყველა ხდებოდა სხვაგნიდან მოსულ „რუსეთის ბოლშევიკურ-მენშევიკურ“ ტერორისტების ხელით ან ჩაგონებით და არა ადგილობრივი ელემენტებისაგან“.**



რევაზ გაბაშვილი

ეს გაუვიდათ 1905 წელს, როცა მოკლეს გლეხებთან გლეხურად მომუშავე თარხნიშვილები და სხვანი; შერჩათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და 1917 წლის მკვლელობანი. „უბრალო“ გაგრძელება იყო იმავე ვერაგული რუსულ-თათრული სისტემისა“. ამ ტექსტის ავტორი ბრძანებს: „რამდენადაც ვიცი, კავკასიის სხვა ერთა შორის არაფერი ამის მსგავსი არა ყოფილა...“.

რეზო გაბაშვილის ცნობით: „მენშევიკებმა შემოიღეს 7 დესეტინა. თავადაზნაურობისაგან უფასოდ ჩამორთმეულ მიწების ერთ ნაწილს ყიდდნენ, მეორეს მოუვლელობის გამო ავერანებდნენ“. მ. ერისთავს სოფელ კარალეთში ჰქონდა ევროპულად მოწყობილი საუკეთესო ჯიშის ხილის ბაღები - 12 დესეტინა. მენშევიკური რეფორმით ჩამოერთვა ხუთი, რომელიც

ვერავის ჩააბარეს, შეიძლება არც არავინ მიიღო. ჩამორთმეული მუქთის დაპატრონებას გამრჯე გლეხი, სხვადასხვა მიზეზით, ერიდებოდა. 1920 წელს, როცა „გორის ერთობამ“ ეს მიწა ჩვენს ამხანაგობას გადმოსცა, აოხრებულ სანახირეს იყო დამსგავსებული, დაკორტნილი ხეები კი გადაგვარების გზაზედ იყო დამდგარი, მაშინ როცა წინათ გამრჯე თავადის ხელში სამოთხის ხილივით ხარობდა და სინდისიერი „დემოკრატის“ ხელში სამ ოჯახს მაინც შეინახავდა.

გორის მაზრაში განთქმული ისაია ფურცელაძის ბაღი, 30 დესეტინის ფართობის ჩამორთმეული ბაღი, როცა „ამხანაგობას“ მოგვიგდეს, წერს რ. გაბაშვილი, სანადირო ტყეს დამგვანებოდა. ჩამონაჭრების გამო გურჯაანში მ. ვაჩნაძისა და დ. ჩოლოყაშვილის მამულები გავერანდა. მენშევიკებმა საუფლისწულო სანიმუშოდ დამუშავებული ვენახები ერთაოზ რამიშვილს ჩააბარეს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ვაზისა და კიტრის ფოთლებს ვერ ასხვავებდა...

მიწის რეფორმა მენშევიკებმა მიანდეს თავიანთ სანდო, ერთგულ ჩინოვნიკებს, რომელთაც სათანადო ცოდნა, კვალიფიკაცია არ გააჩნდათ. იგი ამიტომ იმდენად უსამართლოდ გატარდა, რომ სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილო დარჩა. ამიტომაც იყო, რომ გლეხობის ერთი ნაწილი აჰყვა ანტიმენშევიკურ ბოლშევიკების პოლიტიკას და ეროვნული ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყებაში ჩაება. განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩნენ მსხვილი მიწათმფლობელები, რომელთაც მამულები წინაპართაგან მემკვიდრეობით გადმოეცათ, მაგრამ ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე უნამუსოდ გაიძარცვნენ.

3. ჯუღელი პეტერბურგში ილიას მკვლელობის შესახებ ამბობდა: «Лес рубят, щепки летят». კოწია გვარჯალაძეს ჯერ კიდევ „ეროვნულ საბჭოში“ უთქვამს: „თავადაზნაურობა სულ უნდა ამოგვეჟლიტაო“, ვალიკო ჯუღელი პარიზიდან თბილისში გამოგზავნილ წერილში იწერებოდა: „...სხვას თუ ვერაფერს მივაღწიეთ, თავადაზნაურობა ხომ გავანადგურეთო“, ნოე ჟორდანია პარიზის რუსულ გაზეთში ქებათა ქებას გამოთქვამდა აგრარული ტერორის გამო.

მენშევიკური უმრავლესობის მიერ ნამართავი საქართველოს სოფლის ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის შალვა ამირეჯიბი. იგი წერს:

„ეს იყო 1918 წელს ქართლში, კახეთში, იმერეთის ზოგიერთ ნაწილებში სოფლის ტერორი დაიწყო. ხოცავდნენ თავადაზნაურობას. ტერორმა განსაკუთრებით ქართლში მიიღო უდიერი... უღვთო ხასიათი. ხოცავდნენ მამაკაცებს, ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. ჟლეტდნენ მთელ ოჯახებს. ქარელში ამოწყვიტეს მთელი ოჯახი თავადი ციციშვილებისა კაციან-ქალიანად. სახლში, სადაც დახოცილი გვამები ეყარა, ძაღლები შერეკეს და კარები გამოუკეტეს. ასე გაატარეს ძაღლებმა მკვდრებს შორის რამდენიმე დღე, მაგრამ თავიანთი ყოფილი პატრონების ხორცს პირი არ დააკარეს... მთელ ამ ტერორს საზოგადოებრივი აზრი მენშევიკურ აგიტატორებს აბრალებდა“.

ამ ამბის გამო გაზეთ „საქართველოში“ პატარა წერილი გამოვაქვეყნე, რომელშიც ვწერდი: „თუ ადამიანები არ გეცოდებათ, ძაღლები მაინც შეიცოდეთ“. მეორე დღეს ასობით ნაცნობი ხელს მართმევდა.

ამ ამბის გამო კონსტანტინე აფხაზმა პარლამენტში შეკითხვა შეიტანა: „თუ თავადაზნაურობას დამოუკიდებელ საქართველოში აღარ გვეცხოვრება, მთავრობამ ეს აშკარად გვითხრას. ჩვენ მაშინ ავიყრებით საქართველოდგანო“.

დეპუტატთაგან კოტე გვარჯალაძე წამოდგა და ტრიბუნიდან წარმოსთქვა: „ყოველივე ეს არის შურისძიება იმ დანაშაულისათვის, რომელიც მიუძღვის ისტორიულად როგორც დახოცილების, ისე საზოგადოდ თავად-აზნაურების წინაპრებს „გლეხობის“ წინაშეო!“

პარლამენტში, რომლის 130 წევრიდან 120

სოციალისტი იყო, ამ ცინიკურ განცხადებას აღშფოთება არ გამოუწვევია. ხმაურობდა მხოლოდ ათი ნაციონალისტი დეპუტატი. თავად აფხაზმა კი ამის შემდეგ ხელი აიღო პარლამენტის წევრობაზედ და კრებაზედ აღარ დადიოდა.

ე. წ. „მენშევიკების ბატონობის“ ხანა საქართველოსათვის, საპატიო და არასაპატიო მიზეზთა ერთობლიობის გამო უნუგეშო იყო. ამის გამო რეზო გაბაშვილი წერს: „მართალი გამოდგა ის ურია, რომელმაც დამოუკიდებლობის დროსვე გვითხრა: „ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარღვნა მოიყვანა, თქვენ ოთხი ნოე გყავთ და კარგი რა დაგემართებათო“.

რ. გაბაშვილის მოგონებებში სასტიკად არის გაკრიტიკებული მენშევიკების საკადრო პოლიტიკა და მხილებულია მისი უამრავი კურიოზული გამოვლინება. ქვეყნის მართლწესრიგში დაშვებული განუკითხაობა და დანაშაულობათა გამო სერგეი ერისთავს შინაგან საქმეთა მინისტრის, ევგენი გეგეჭკორისთვის, უთქვამს: „ყველა ყაჩაღებმა სასახლეში მოიყარეთ თავი და კათალიკოზი ხომ არ დაგეცემათ, ამდენი შეიარაღებული გვარდიელი დაგიყენებიათ სადარაჯოდაო?“

მენშევიკების მიერ საქართველოს დიდი პარტიულ-პოლიტიკური უმრავლესობით მართვის სამწლიან პირობებში აგრარული საკითხი ვერ მოგვარდა, ერთი მხრივ, მათი პროგრამის უტოპიური მიზანდასახულობის, ხოლო, მეორე მხრივ, უამრავი რთული სახელმწიფოებრივი პრობლემების მოგვარებისათვის საჭირო დროის სიმცირის გამო. მაგრამ იგი კიდევ უფრო გამწვავდა ბოლშევიკურ-მარქსისტული რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით.

თეიგიზ ჭიაბრიშვილი

ერთი ოჯახის შვილიშვილები

(ჭიაბრიშვილები)

ჭიაბრიშვილების წარმოშობა, უკავშირდება უძველეს ქართულ გვარს — თორელებს. თორელები მიეკუთვნებოდნენ თავადაზნაურთა მესხეთის მკვიდრთ, რომლებიც გამოირჩეოდნენ სიმამაცით, სამშობლოსათვის თავდადებით, მხედრული საქმის კარგი ცოდნით, მეფის ერთგულებით. ისტორიამ შემოგვინახა გმირების — ძმები შალვა და ივანე ახალციხელების სახელები. შალვა ახალციხელი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხილი.

მრავალი ქართული გვარი დასაბამს იღებს თორელებისაგან. ასეთ გვარს მიეკუთვნებიან ჭიაბრიშვილებიც, რომლის ფუძემდებლად ითვლება ჭიაბერ მანდატურთუხუცესი.

სიმონ ჭიაბრიშვილი

გამრეკელ-თორელები პირველად წერილობით წყაროებში გამოჩნდნენ XI ს-ში დავით III კურაპალატის მიერ ადაბარდაგანისათვის გამართულ ბრძოლაში 998 წელს. სახელოვან ძმებს გამრეკელ-თორელებს განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი. შემდგომში ისინი სპასალარების რანგში აიყვანეს.

გადამწყვეტი როლი ,, დემნა უფლისწულის განდგომილების“ პერიოდში შეუსრულებია კახა გამრეკელ-თორელს, რომელიც პირველი გადავიდა გიორგი III -ის მხარეზე, და გამარჯვების სასწორი გიორგი III-ის და თამარ მეფის მხარეზე გადახარა.

კახა გამრეკელ-თორელის მეუღლე ყოფილა თამარ მეფის სეფექალი კრავაი ჯაყელი.

ჟინვალ-ქალაქი თამარ მეფეს ჩემი წინაპრებისთვის უბოძებია და სწორედ ამ ქალაქში შეჩერდა დრო, დადგა ისტორიული, ღვთაებრივი წამი, დიდმა მეფემ თამარმა საჩუქრად შოთა რუსთაველის და ქართული ერის უდიდესი განძი — „ვეფხისტყაოსანი“ მიიღო. ჟინვალის მფლობელი ყოფილა ჭიაბერ მანდატურთუხუცესი — თორელი, ასე იწყება დასაბამი ჭიაბრიშვილების გვარისა. ანალოგიურ დასკვნას აკეთებს შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი მკვლევარი სარგის კაკაბაძე.

ამჟამად ჭიაბერაშვილები ცხოვრობენ დუშეთის რაიონის სოფელ ქერანაულში. სიმონ ჭიაბერაშვილის მამა — იაგორა ჭიაბერაშვილი სოფ. ქერანაულშია დაკრძალული.

სიმონ ჭიაბერაშვილი იყო ეროვნულ-დემოკრატი და დიდი მამულიშვილის კოტე აფხაზის პარტიის წევრი, თავდადებული მამულიშვილი. იგი 1922 წელს მონაწილეობდა მთიელთა აჯანყებაში, უფროს ვაჟთან — ნიკოლოზთან ერთად ილია ჭავჭავაძის მკვლელს, გიორგი ჭიაბერაშვილს ეძებდა მოსაკლავად. მამაცი, პირდაპირი, გულანთებული სიმონ ჭიაბერაშვილი გახლდათ დუშეთის ბოლო

ხევისბერი, მოსახლეობის ნდობითა და სიყვარულით სარგებლობდა.

მამაჩემის უფროსი ძმა ნიკოლოზ ჭიაბერაშვილი, მთაში ძალ-ღონითა და ვაჟკაცობით გამორჩეული კაცი ყოფილა. 18 წლიდან უკვე ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში იბრძოდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ქაქუცა თავის შეფიცულებთან ერთად საქართველოს ტოვებდა, თურქერთ-საქართველოს საზღვართან, ბოლშევიკებს რაზმში შეუგზავნიათ აგენტი მის მოსაკლავად. ნიკოლოზს დაუნახავს, რომ ერთ-ერთი რაზმელი ქაქუცას უმიზნებდა თოფს, გადამხტარა და აჰფარებია ქაქუცას. თოფი გავარდნილა, ბიძაჩემი დაიჭრა, ქაქუცას რაზმს სასწრაფოდ დაუტოვებია საქართველო. ბიძაჩემი ნიკოლოზი კი მიუბარებიათ სანდო ქართული, ოჯახისთვის სამკურნალოდ. გამოჯანმრთელების შემდეგ ის წასულა ირანში, გიორგი ბერბიჭაშვილის მოსაკლავად, რადგან ჰქონია ინფორმაცია, რომ ბოლშევიკები ბერბიჭაშვილს ირანში მალავდნენ.

ბოლშევიკებს ბერბიჭაშვილი საკმაოდ საიმედოდ გადაემალათ, იგი დაბრუნდა სამშობლოში და რადგან ძებნილი იყო, დერბენდში არალეგალურად ცხოვრობდა. დერბენდშივე ჩააბარა სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტზე, დაუმთავრებია მეტყევე — ინჟინრის დიპლომით. მალევე „ჩეკას“ აგენტებს მისი ვინაობა გამოუაშკარავებიათ და გამოასალმეს სიცოცხლეს. ნიკოლოზ ჭიაბრიშვილის მსგავსად შეუდრეკელი, გულანთებული პატრიოტი იყო მისი მომდევნო ძმა — გიორგი ჭიაბრიშვილი, რომელიც სრულიად ახალგაზრდა ჩაება მამულიშვილთა გაერთიანებაში, რამეთუ მიზნად ჰქონდათ სამშობლოს დახსნა ბოლშევიკური ტირანიისგან.

გიორგი ბერბიჭაშვილი აურჩევიათ ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრად. გერმანიასთან ომის დაწყების წინა პერიოდში, მისი მოღვაწეობა ცნობილი გამხდარა „КГБ“-სთვის. დააპირეს მისი დაპატიმრება, მაგრამ მან დაასწრო და მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომის დამთავრების შემდეგ, ჩამოვიდა თუ არა, მრავალ ღირსეულ ქართველ მამულიშვილთან ერთად გადაასახლეს ქ. ვორკუტაში. მასთან გადასახლებაში იმყოფებოდნენ ცნობილი მწერალი ლევან გოთუა, უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგე — პროფესორი ზურაბ მიქელაძე, ცნობილი პედიატრი დავით კვიტაიშვილი, თბილისის კომპარტიის კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი ალექსანდრე პაპავა და სხვა ცნობილი ეროვნული მოღვაწენი.

1956 წელს ზაფხულში ნ. ხრუშჩოვის გამოცხადებული ამნისტიის შედეგად, ცოცხლად დარჩენილი რეპრესირებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში. დაახლოებით 25 ვორკუტელი ქართველი, მამაჩემმა — შალვა ჭიაბერაშვილმა, კოჯორში ამოიყვანა საქეიფოდ. ასეთ ღირსეულ ქართველთა თავყრილობა მე აღარ მინახავს. წარმოიდგინეთ ჩემი, 17 წლის ახალგაზრდა ქართველის, სიხარული. თამადად ერთხმად აირჩიეს ვორკუტელ ქართველთა ერთ-ერთი ლიდერი — ბიძაჩემი გიორგი ჭიაბრიშვილი. სამწუხაროდ მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად ემოქმედა გადასახლებას და იგი მალევე გარდაიცვალა. აღაპის თამადა გახლდათ მწერალი ლევან გოთუა. მისი საინტერესო განცხადება დღესაც კარგად მახსოვს „გმირთა ვარამი“ გოგიმ მაიძულა დამეწერა ვორკუტაშიო.

გოგი ჭიაბრიშვილთან ბოლომდე ინახებოდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ბეჭედი.

შალვა ჭიაბრიშვილი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სოფ. კოჯორში. ჩვენ თბილისში ცხოვრების უფლება არ გვქონდა. იმ პერიოდში კოჯორში მრავალი ცნობილი რეპრესირებული გვარის ნათესავები და ახლობლები ცხოვრობდნენ: ქაქუცა ჩოლოყაშვილის და ელენე ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზ სულხანიშვილის-ქაქუცას თანამებრძოლის, დედა და და, და მრავალი სხვა. 50-იან წლებამდე მამაჩემს იბარებდნენ რეგულარულად „КГБ“-ში დაკითხვაზე: ეკითხებოდნენ ვის ხვდებოდა, რის შესახებ საუბრობდნენ და ა.შ. ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი გრძელდებოდა...

დეკანოზი ალექსანდრე (ჩახვაშვილი)
წმ. მიხეილ ტვერელის ეკლესიის წინამძღვარი

20 მაისი – ტრაგიკული თარიღი

„და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოანეს საპყრობილესა შინა, და მოართვეს თავი მისი ლაკნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თვისსა“.

ქრისტეს დაბადებიდან 32-ე წელს, ჰეროდე მეფის ბრძანებით, თავი მოჰკვეთეს იოანე ნათლისმცემელს და ლანგარზე დადებული მიართვეს იოანესგან მრუშობასა და სიცრუეში მხილებულ დედოფალ ჰეროდეას. მრისხანებით გადარეულმა დედოფალმა ნემსით დაჩხვლიტა ნათლისმცემლის ენა, შემდეგ კი მისი მოკვეთილი წმიდა თავი წვირში - უწმინდურ ადგილას დააფვლევინა („წმიდათა ცხოვრება“).

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთიდან და შეურაცხყოფიდან გავიდა, დაახლოებით, 20 საუკუნე... და 1923 წლის 20 მაისს, ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებში, წითელმა „მეხრმლეებმა“ - ბოლშევიკებმა სასტიკი წამების შემდეგ დახვრიტეს სამშობლოსათვის თავდადებული 15 მამულიშვილი, ხოლო მიწაზე, სადაც დაიღვარა ამ ვაჟკაცთა მართალი სისხლი, აღმართეს საპირფარეშო, ანუ წვირი.

თავად-აზნაურთა საკრებულოს წინამძღოლი, 1913-18 წლებში კოტე აფხაზის მემკვიდრე, 1995 წ. თავადი კოტე ჩოლოყაშვილი ყვებოდა: „1922 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს მამაჩემი და მრავალი გამოჩენილი ადამიანი, ხოლო ერთი წლის შემდეგ - 1923 წლის 20 მაისს **გენერალი კონსტანტინე (კოტე) აფხაზი (55 წლის); გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი (51 წ.); გენერალი**

პორუჩიკი თავადი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი

პოლკოვნიკი აზნაური ელიზბარ გულისაშვილი

ვარდენ წულუკიძე (57 წ.); პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი (31 წ.); პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი (35 წ.); მიხეილ ზანდუკელი (39 წ.); ოფიცერი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი (27 წ.); იასონ კერესელიძე (32 წ.); ივანე ქუთათელაძე (40 წ.); სიმონ (ნასყიდა) ჭიაბრიშვილი (42 წ.); პოლკოვნიკი ალექსანდრე მაჭავარიანი (41 წ.); პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი (32 წ.) ლევან კლიმიაშვილი (26 წ.); ოფიცერი დიმიტრი ჩრდილელი (29 წ.); ფარნაოზ ყარალაშვილი (50 წ.) სატვირთო მანქანით გაიყვანეს სასაკლაოზე, იქ, სადაც ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტი მდებარეობს. სწორედ იქ ჩასაფრებული ყოფილა მცირე რაზმით ქაქუცა ჩოლოყაშვილი მათ გასათავისუფლებლად. როდესაც სატვირთო მანქანა მიუახლოვდა ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებს, ხელებდაბორკილმა პოლკოვნიკმა, გიორგი ხიმშიაშვილმა, აიხსნა და გადმოხტა მანქანიდან; უთანასწორო ბრძოლა გაუმართა მოძალადეებს... მკვლელებმა თხუთმეტივე პატრიოტი იქვე წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს“. მათი დახვრეტის

ადგილზე, გარდა საპირფარეშოსი, აღმართულია კვიპაროსების ორრიგი მწკრივი, რომლებიც მალულად დარგეს ჭირისუფლებმა. ხეებად ატყორცნილი ეს მწვანე სანთლები მდუმარედ ელოდებოდნენ, თუ როდის აინთებოდა თავდადებულთა წამების ადგილზე საეკლესიო სანთლები მათი სულების საოხად...

...და 1996 წლიდან ყოველი წლის 20 მაისს, თავად-აზნაურთა საკრებულოს თაოსნობით, აღესრულება საეკლესიო პანაშვიდები, აღიმართა ჯვარი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა წმ. ილია მართლის სახელობის ეკლესიის პროექტი. ეკლესიის პროექტი წარმოადგენს კომპლექსს: ოთხკონქიან, ჯვარ-გუმბათოვან ტაძარს; სამრევლო სკოლას; ბაპტისტერიუმს; სატრაპეზოს და სხვა დამხმარე სათავსოებს.

გულმხურვალედ აღვავლენთ ლოცვებს ყოვლადწმიდა სამებისადმი, რათა კეთილად დაგვირგვინდეს ეს საოცარი საქმე და ღმერთმა მომადლოს მონაწილეთა და გულშემატკივართ გვირგვინი ცხოვრებისა.

„ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ იქმნეს და მიიღოს გჳრგჳნი ცხოვრებისაჲ, რომელ აღუთქვა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (იაკობ. 1,12).

2016 წლის 20 მაისი. სამგლოვიარო მიტინგი და პანაშვიდი დახვრეტილი გმირების სულების საოხად

ედიშერ გიორგაძე

საქართველოს ერთგული ეჯგუნი

ივანე ყარანგოზიშვილი და
სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი

1924 წლის ამბოხების გმირთა ბიოგრაფიების ძიებისას ხელში ჩამივარდა მომცრო ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახული იყო ჩოხა-ახალუხითა და იარაღში ჩამჯდარი, იშვიათი იერის ქართველი ვაჟკაცი. ამ ჭეშმარიტი მამულიშვილის გვარს ნახავთ 1923 წელს დახვრეტილ მეამბოხეთა „სამხედრო ცენტრის“ სიაში, თავადაზნაურობის მარშალ კონსტანტინე აფხაზის, გენერალ ვარდენ წულუკიძის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის, პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის და სხვა ხელმძღვანელთა გვერდით. ის ყოფილა იმდენად ღირსეული და ხიბლიანი პიროვნება, რომ რუსი ჩეკისტი, ვინც იგი რუსეთიდან ჩამოიყვანა ბადრაგით, ეახლა მის მეუღლეს, ქ-ნ ნინოს, და განუცხადა: „მაგ დალოცვილის დახვრეტაზე უარესი ცოდვა რაღა იქნება. გაქცევა შევთავაზე, მაგრამ სასტიკ უარზე დადგა. ასე მომიგო, ჩემს ნაცვლად რომ უბედურება შეგხვდეს, რად მინდა თავი ცოცხალიო“. ეს იყო 27 წლის პორუჩიკი — სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, მეტსახელად „ორბი“.

ასეთ კაცს ფიც-ვერცხლი მქონდა ნაჭამი ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილთან. ძმადნაფიცთან ერთად გადაღებულ სურათს მათივე ხელით მიწერილი აქვს: „ჩვენ ერთად ვღვრიდით სისხლს და ერთად ვსვამდით ღვინოს“.

აღსანიშნავია, რომ უჩა ჯაფარიძეს, სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელიც არ გამორჩენია მხედველობიდან და დაუხატავს მისი სურათიც, რომელიც რაღაც სასწაულით შემორჩა დღემდე.

როცა მე უკვე სარეცელს მიჯაჭვულ ბატონ უჩას ვუჩვენე ეს ფოტოსურათები, დიდად გაიხარა, გაიოცა და მითხრა: „როგორ მიაგენი ამ სურათებს, რომ იცოდე რა ვაჟკაცები იყვნენ, მე ხომ ვერა და ვერ შევძელ მათი შინაგანი და გარეგნული ეშხისა და ლაზათის ჯეროვნად გადმოცემაო“. ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილის სიკვდილის ამბავიც შემოგვრჩა. მას გახსნია ძველი ჭრილობა თავის არეში, შეუძლოდ გამხდარა და უსაფრთხო ადგილას გადაყვანის დროს ჩასაფრებულ კომუნისტებს მოუკლავთ რაზმელ ლუკა კვალიაშვილთან ერთად.

მაგრამ არსებობს ამ ამბის მეორე ვერსიაც. ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი გადასახლებაში მოხვედრილა ქართული სიტყვის დიდოსტატ, ჭეშმარიტ პატრიოტ კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად. იქ ქართველ პოლიტიკურ პატიმრებს შიმშილობა გამოუცხადებიათ უკანონობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნიკოლოზ ყარანგოზიშვილი მეუღლესთან ერთად

მარიამ ყარანგოზიშვილი

დედაჩემის, ელენე ჯანდიერის, ნათესავების, რუსიშვილი-ყორჩიაშების ოჯახში 1950-იან წლებში თავს იყრიდნენ ქართველ თავად-აზნაურთა უკანასკნელი მოჰიკანები: მაყაშვილები, ამირეჯიბები, ხუციშვილები და სხვანი კეთილშობილნი, რომელთა შორის უმეტესობა მანდილოსნები იყვნენ, რადგანაც მათ მამებს, ძმებსა თუ მეუღლეებს არ ასცდენოდათ ბოლშევიკური რეჟიმის მსახვრალი ხელი. ამ უმშვენიერეს ქალბატონთა შორისაც გამოირჩეოდა ძველბერძნული ქანდაკების დარი ისია ნაზარიშვილი. როდესაც პურობისას ამ ბანოვანის სადღეგრძელოს შესვამდნენ, აუცილებლად მოიხსენიებდნენ მის მეუღლეს, ვანიჩკა ყარანგოზიშვილს, და დასძენდნენ, რომ ის იყო ქართული ჯიშის სრულქმნილი გამოვლენა. რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ რეალისტი მხატვარი უჩა ჯაფარიძე ქართველი ტიპების გალერეის შექმნისას, ერთ-ერთ პირველთაგანს სწორედ ვანიჩკა ყარანგოზიშვილს ხატავს (საბედნიეროდ, შემორჩენილია ეს ნახატიც). მე მოგახსენებთ ამ პიროვნების გარეგნულ იერზე, სულიერების მხრივ, ამ ადამიანის ყველა მეტ-ნაკლებად მცნობელი სახავდა მას უკეთილშობილეს, უებრო რაინდად.

პირველ მსოფლიო ომში გამოჩენილი სიმამაცისათვის თავადიშვილ ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილს აჯილდოებენ წმინდა გიორგის ჯვრით.

ასე იხსენებს ორ მეგობარს ისია ნაზარიშვილმა ნინო ბაგრატიონ-მუხრანელისთვის მიძღვნილ (რუსეთში აღზრდა-განათლებამიღებულ თავადიშვილთა ჩვევისამებრ რუსულად დაწერილ) ლექსში.

„Взвились смелые орлята,
В неравный бой вступили.
И жизнь была их смята,
Обоих их убили.
Скрутили крылья одному,
Свинцом горячим поразили,
Другой взлетел, но на лету
Враги настигли и убили.
И были братьями они
У них своя была дорога,
Остались мы с тобой одни,
Ушли б погибли оба“.

ივანე (ვანიჩკა) ყარანგოზიშვილი ძალზე ღირსეულად არის მოხსენიებული ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“. „ვანიჩკას გულითადი მეგობრობა აკავშირებდა არა მარტო ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, არამედ ჩემთანაც“; „ვანიჩკას ისე ვენდობოდით, როგორც საკუთარ თავს“ და ა. შ.

იქ ნახავთ ასეთი რაინდული სცენის აღწერილობასაც: „ჩეჩნეთში გამგზავრების წინ შეფიცულებმა მწვადები შეგვიწვეს, პატარა გასაცილებელი სუფრა გაგვიშალეს, გზა დაგვილოცეს, ცხენები შეგვიკაზმეს და ერთმანეთთან დამშვიდობების ჟამიც დადგა. ამ დროს წამოდგა ვანიჩკა ყარანგოზიშვილი, წელიდან შემოიხსნა მშვენიერი, ოქროს ზარნიშით შემკული, თეთრტარიანი ხანჯალი და ამ სიტყვებით გადმომიწოდა: შენი ფეშქაში იყოსო. იმწამს გამახსენდა შოთას ნათქვამი:

„მეფეთა შიგან სიუხვე
ვით ედემს, ალვა რგულია!“

მაგრამ ისიც გამეგონა, ჩუქებას ჩუქება უყვარსო და არც მე დავრჩენილვარ ვალში.“

ერთი ლირიკული გადახვევაც. ერთხელ ჩემთან ყოფნისას ქართული ეროვნული მოძრაობის სიამაყესა და მშვენებას, მერაბ კოსტავას, თვალში მოხვდა კედელზე გაკრული ამ უბადლო რაინდის ფოტოსურათი და ყურადღებით დააცქერდა მას. რაკიღა დაინტერესება შევატყვე, განვუმარტე მისი ვინაობა, ვაჩუქე ფოტოსურათი (თქვენ ერთი ჯიშისა და მოდგმისა ხართ-მეთქი, დავძინე) და იგი დიდხანს ამშვენებდა მერაბის სამყოფელს.

ივანე ყარანგოზიშვილი, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი. ორი რაინდი, ორი გმირი — სილამაზის, სიმტკიცის, ქართველობის, თავდადების ეტალონები იყვნენ. ისინი უკვდავებაში გადავიდნენ ...

თამარ ჯინჭველაძე-ყარანგოზიშვილისა

თამარ ყარანგოზიშვილი

8 ივნისს, 6 საათზე ლიტერატურის მუზეუმში გაიმართაა. ა.ი.პ. „იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოების“ პრეზენტაცია.

საღამოს ესწრებოდნენ იმერეთის მეფეთა შთამომავლები და მოწვეული სტუმრები.

შეკრებას სიტყვით მიმართა საზოგადოების წინამძღოლმა ირაკლი ბაგრატიონმა, რომელმაც სტუმრებს მადლობა მოუხადა მობრძანებისათვის, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლმა, დავით თარხან-მოურავმა.

ისტორიკოსმა ქალბატონმა მანანა ხომერიკმა, რომელმაც ისაუბრა ბაგრატიონთა იმერეთის შტოს ისტორიის შესახებ,

ქალბატონმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა მუხრანელი ბაგრატიონების სახელით მოულოცა იმერეთის მეფეთა შთამომავალთა საზოგადოებას დაფუძნება და ისაუბრა ამ ორი სახლის მჭიდრო ისტორიულ ურთიერთობებსა და კეთილგანწყობაზე, „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა ბატონმა გაიოზ მამალაძემ აუწყა საზოგადებას, რომ ირაკლი ბაგრატიონი არჩეულია საქართველოს სამეფო კლუბის საპატიო დინასტიურ წევრად, როგორც სამეფო წარმომავლობის ბატონიშვილი.

კომპოზიტორმა ბატონმა ვაჟა აზარაშვილმა წარმატება უსურვა ახლადშექმნილ საზოგადოებას და თავისი შემოქმედებიდან რამდენიმე სიმღერაც შეასრულა.

26 მაისი – რწმენის და დამოუკიდებლობის დღე

ოთხლოლ ლირსს მყავ ჩემი ერისთვის
ერს შევეწყო ხვეულრის ნიმძიმეს,
ეჭ გამოვლილი ცხცონჯვილისთვის
იჯაფს ცონჯვს ნუ შემიმცირებ.

მერაბ კოსტავა

რა შვებსა, რა ზარია,
ერსდგა ომერთი ცოლმნათი,
ლელამიწ'ს ცეძარია,
ზეცა მაცი გუმზათი...

ზვიად გამსახურდია

მეცნიერება

მანანა გაბაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

„ოცნებისა და ბრძოლის ნაყოფი“...

(ქართული მეცნიერების ნგრევის 20 წელი)

(დასასრული)

ცნობილია, რომ გამომგონებლობამ და რაციონალიზაციამ უდიდესი იმპულსი მისცეს ინგლისში ტექნიკურ რევოლუციას, აშშ-ის აღორძინებას და, ზოგადად, თანამედროვე ცივილიზაციას. ამიტომ ისეთი მიდგომა, რომელიც ნიჭიერსა და შემოქმედ ადამიანს საქართველოდან წასვლას აიძულებს, ეწინააღმდეგება ჩვენს წინაპართა იმ მიზნებს და ძალისხმევას, რომლებიც მათ ფუნდამენტურ მეცნიერებაში ჩადეს.

ძალადობა და სიცრუე (ყველა სფეროს და ციხეებსაც რომ შეეხო) არ დაწყებულა 2003 წელს „ვარდების რევოლუციით“. მიუხედავად ამ რევოლუციის განათლების მინისტრთა ცნობილი გამონათქვამებისა: „წელში გავტეხ ქართულ მეცნიერებას“ (ალექსანდრე ლომაია), „სკოლის დირექტორების სისხლს დავლევ“ (დიმიტრი შაშკინი, ამჟამად აშშ-ში გაქცეული), „,თქვე ნაძირალებო, სულს ამოგხდით“ („ვარდების რევოლუციის“ გივი თარგამაძე), „ვბრძანებ ადგილზე ლიკვიდაციას“ (ჯაბა იოსელიანი), „მადლობა ინტელიგენციას, ხელში იარაღის აღების გამო“ (ედუარდ შევარდნაძე), ანუ მადლობა იმ ხელისუფლების დამხობისათვის, რომელმაც ამდენი თაობის ბრძოლის, თავგანწირვის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეძლო.

მსგავსი რიტორიკა ენაა იმ სისტემისა, რომელიც 1991-92 წლებიდან საქართველოს მოარგეს. თუმცა ეს სისტემა გაცილებით დიდ

პერიოდს მოიცავს და საქართველოს დაპყრობისთანავე იღებს სათავეს. ის სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, სხვადასხვა სახით თუ ფორმით გვევლინებოდა, 1992 წლიდან კი უკვე დემოკრატიის სახელით შეინიღბა. ეს სისტემა, ენის გარდა, ფლობს სიცრუის, მოქმედების სპეციფიკურ მეთოდებსა და მორალს, საზოგადოების დანაშაულში ჩათრევის იმ მექანიზმებს, რომლებსაც 1992 წლიდან ქვეყნის კრიმინალიზაციის ფონზე იყენებენ და უამრავი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდები, იმსხვერპლეს.

ახალგაზრდობის თემა ბოლო ოცი წლის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა (ისტორიკოსებმა, ფსიქოლოგებმა და სხვ.) ის საგანგებოდ და სხვადასხვა კუთხით უნდა შეისწავლონ. ახალგაზრდების ერთ ნაწილს მართვად ქაოსში ჯერ იარაღი დაურიგდათ, ამის შემდეგ კი (2003 წ.), ურთულეს დროსა და ურთულეს რეგიონში ხელისუფლება გადაეცათ (დაუსჯელობისა და ხელისუფლების დიდი ხნით ჩაბარების ილუზიების შექმნით). თუმცა მათ საამისოდ არც ცოდნა და არც გამოცდილება არ გააჩნდათ და, ფაქტობრივად, იმ სისტემის მძევლებად აქციეს, რომლის ნიშანდობლივი თვისება ვერაგობაა და რომელშიც ყველა პოტენციური მსხვერპლია. ამიტომაც დღეს საქართველო პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზეა ევროპაში.

ამის მიზეზი ისიც არის, რომ სისტემამ (ეროვნულ ხელისუფლებაზე რევანშის აღების შემდეგ) მკვეთრად შეცვალა მორალური კრიტერიუმები და ორიენტირები. დამნაშავე პატრიოტად გამოაცხადა და პატრიოტი - დამნაშავედ, დაიწყო დევნა.

მართვად ქაოსს, სახლებში შევარდნასა და ჩხრეკას (რასაც ჩემი ოჯახიც ვერ გადაურჩა), დაპატიმრებებს, მიტინგებსა და ქუჩებში დახვრეტებს მეცნიერებიც შეეწირნენ. მათ შორის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია - ჯერ დევნილი, მერე მოკლული.

როდესაც დიდი ხნის თვალთვალისა და დევნის შედეგად დამაპატიმრეს (1994 წ. იანვარი) და დასაკითხად პოლიციაში წამიყვანეს (საიდანაც უკვე უშიშროებას გადამცეს), ვხედავდი თითქმის უწყვეტ ნაკადად როგორ მოჰყავდათ დაჭერილები, ახალგაზრდები თუ ხანშიშესულები. მათი ერთადერთი დანაშაული სამშობლოს სიყვარული გახლდათ. ეს იყო დაჭერების, სატელევიზიო სასამართლოების, ტელევიზიებით ნაცემ-ნაგვემი ხალხის ჩვენების, ქართველთა დამცირებისა და შეურაცხყოფის დასაწყისი, რაც წლები გაგრძელდება და აუწიოკებელი ოჯახი საქართველოში თითქმის არ დარჩება. სამწუხაროა, ქართველების ერთ ნაწილს დღესაც ვერ გაუცნობიერებია, 1991-92 წლის სახელმწიფო გადატრიალება ყველა ქართველის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული და ეს მათ სხვადასხვა სახით თუ ფორმით (ადრე თუ გვიან), შეეხებოდათ. ესეც ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც „ვარდების რევოლუციის“ (2003 წ.) სწორი პროგნოზი ვერ გაკეთდა.

XX საუკუნეში უკვე მეორედ, გარეშე ძალთა მხარდაჭერითა და წახალისებით (ფულს რომ არ დაზოგავენ ღალატის დასაფინანსებლად), უსწორდებოდნენ დამოუკიდებლობის გამომცხადებელ ხელისუფლებასა და მის მხარდამჭერთ.

მიზანი საქართველოს დაშლა, ქართული ტერიტორიების მიტაცება და ქართველებისაგან საქართველოს დაცლა იყო.

უკვე მაშინ პოლიციაში იმ ხალხისაგან, ავტომატებით თავს რომ გვადგა, დაკავებულებს შეურაცხყოფდა, ლაზღანდარობდა და საქართველოს პირველ პრეზიდენტს უშვერი სიტყვებით აგინებდა, გავიგონე თამარ მეფის ლანძღვა და მის ზნეობაზე ქილიკი. ეს მრავლისმეტყველი ნიშანი იყო.

საუკუნეთა მანძილზე თამარი სიმბოლო იყო საქართველოსი და მასთან ბრძოლა საქართ-

ველოსთან ბრძოლასაც ნიშნავდა. ამიტომაც 1801 წლამდე, დამოუკიდებლობის დაკარგვამდე, თუკი რუსეთი განადიდებდა თამარს (მაგ., XVI-XVIII სს. რუსული თქმულება დინარაზე, 1552 წ. ყაზანის აღების წინ ივანე მრისხანეს გამამხნევებელი მიმართვა ჯარისადმი, თამარის სპარსეთზე ძლევამოსილი გამარჯვების თაობაზე და სხვ.), საქართველოს დაპყრობის შემდეგ თამარის დისკრედიტაციის მცდელობა დაიწყო.

დაპატიმრებულთა შორის ის მეცნიერებიც იყვნენ, საშიშ დროსა და ქაოსში, უშუქობაში, უტრანსპორტობასა და ზამთრის ყინვებშიც ფეხით კილომეტრობით მანძილს რომ გადიოდნენ გაყინულ აუდიტორიებში ლექციების წასაკითხად. ამაში ისინი მხოლოდ სიმბოლურ ხელფასს იღებდნენ. ეს იყო გმირობის ტოლფასი თავდადება. ამ ადამიანთა უმრავლესობას (რეფორმების სახელით) უცერემონიოდ, სამსახურებიდან დაითხოვენ.

ასე უსწორდებოდნენ ქართველი ხალხის ნებასა და თავისუფლების წყურვილს, რის თაობაზეც ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რიჩარდ პაიპსი, საქართველოში საგანგებოდ ჩამოსული 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე დასასაწრებად, სამშობლოში დაბრუნებული „ვაშინგტონ პოსტში“ (1991 წ. 9 ივნისი) დაწერს: ,,ქართველი ხალხი განიცდის ისეთ პატრიოტულ აღმაფრენას, რომლის გადმოცემაც კი ძნელია. მაგონდება ისრაელი მისი ჩამოყალიბების პერიოდში“.

რიჩარდ პაიპსი, რომელსაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდა 1921 წ. ქართულ ემიგრაციასთან, კარგად იცნობდა ქართულ პრობლემებს (დიდი ამაგი მიუძღვის 1918-21 წწ. დამოუკიდებელი საქართველოს არქივზე), ამავე სტატიაში იმასაც აღნიშნავდა, რომ „საქართველოში სიმშვიდე და წესრიგია, ესე იგი სტაბილიზაციაა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ დასავლეთმა კონტაქტი დაამყაროს საქართველოსთან. თავისი ბუნებით საქართველო დემოკრატიულია“.

ამერიკელის ეს შეფასება რადიკალურად განსხვავდებოდა იმ ინფორმაციებისგან (დიქტატურა, ქსენოფობია, ანტიდემოკრატიულობა და სხვ.), მაშინდელი ოპოზიცია დასავლეთს რომ აწვდიდა. ამ ინფორმაციებმაც (რასაც ილიამ, თავის დროზე, „სამშობლოს ბეზღობა“ უწოდა) საქართველოს ახალ ოკუპაციას, უკვე დემოკრატიის სახელით, იდეოლოგიური წანამძღვრები მოუმზადა.

საბჭოთა მეცნიერის იარლიყი მოხერხებული ფანდი აღმოჩნდება ქართული მეცნიერების დასანგრევად და დიდი ტრადიციების მქონე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დონის დასაწევად. ეს მოხდა შეგნებული ჰიპერბოლიზაციით იმ მანკიერი მხარეებისა, კერძოდ კორუფციისა, რომლის პრეცედენტებიც არსებობდა და რომლის გამოსწორებაც შეიძლებოდა, მაგრამ არა უარყოფითზე, არამედ დადებითზე აქცენტით, უნივერსიტეტის იმ ღირსებათა და მხარეების წინ წამოწევით, რომელმაც საქართველოს გამოჩენილი, მათ შორის, მსოფლიო დონის მეცნიერებიც მისცა. სწორედ ამ მეცნიერებმა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, შეძლეს იმპერიის საზღვრების გარღვევა და ქართული მეცნიერება მსოფლიო მეცნიერების ნაწილად აქციეს. დღეს, როგორც ევროპელ, ისე რუს მეცნიერებს, უკვირთ და ვერ აუხსნიათ, თუ რატომ ანგრევენ მსოფლიო სახელის მქონე ქართულ სამეცნიერო სკოლებს, რომლებსაც არასდროს გაუწყვეტიათ კლასიკურ დასავლეთთან, მის მთავარ ღირებულებებთან, მეცნიერებასა და კულტურასთან კავშირი.

ქართული მეცნიერების ისტორიის ობიექტური, მიუკერძოებული შესწავლა, უკვე დღევანდელი გადასახედიდან, აუცილებელია, როგორც საბჭოთა პერიოდამდე, ისე საბჭოთა პერიოდის და ასევე 1992 წლიდან დღემდე,

თანაც (მეცნიერების პოლიტიკასთან და ისტორიასთან კავშირის გათვალისწინებით) შესაბამის პოლიტიკურ ვითარებათა ფონზე. ამაში ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდთა სიღრმისეულ კვლევას ვგულისხმობთ, რაც, თავის მხრივ, მეცნიერებისადმი დამოკიდებულებაშიც (რაც ქართული მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია) გაგვარკვევდა. კერძოდ, რამ განაპირობა, ეროვნული ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებათა - განათლება და მეცნიერება (ინტელექტუალურ კაპიტალზე ორიენტაციით), 1991-92 წწ. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ისეთი პრიორიტეტებით შეცვლა, როგორებიცაა: სამომხმარებლო სფეროები, ტურიზმი, და სხვ.

ანდა რატომ არის, რომ იმ ქვეყნის (თავს დამოუკიდებელს რომ უწოდებს) მოსახლეობის დიდ ნაწილს და ახალგაზრდებს ზერელე, დამახინჯებული, ანდა საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა ხელისუფლებაზე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, როგორც გარანტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ამ თვალსაზრისით XX საუკუნის ყველაზე დიდ დოკუმენტზე. ყაზბეგში, ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინის მონაწილეობით, ცხინვალთან დაკავშირებით მიღებულ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტზე, რის საფუძველზეც, მოსკოვის თანხმობით, გაუქმდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“, ხოლო ოს სეპარატისტთა ქმედება (მოსკოვის თანხმობითვე) საქართველოს შინაურ საქმედ და ოს სეპარატისტთა მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად შეფასდა, ანდა როგორ ააცილა ზ. გამსახურდიამ მოკოვის სამხედრო აგრესია და სისხლისღვრა საქართველოს 1991 წლის მოსკოვის პუტჩის დროს და სხვ.

(დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ 013 წ. 25 იანვარი, 8 თებერვალი)

მუსიკა

ГУЛБАТ ТОРАДЗЕ
Профессор Тбилисской консерватории,
Доктор искусствоведения

ФУНДАМЕНТАЛЬНОЕ ИЗДАНИЕ, С ОДНИМ ДОСАДНЫМ «НО»

Недавно довелось познакомиться с новейшим фундаментальным изданием – энциклопедическим словарем «Музыка XX века», автором которого является музыковед Л. О. Акопян.

Громадная по объему книга отличается исключительным богатством и новизной материала и, безусловно, станет помощником и подспорьем для специалистов, работающих в этой области, а также всех, интересующихся музыкой прошлого столетия.

Я же, со своей стороны, разрешу себе отметить лишь одно, правда очень досадное для меня, как, наверное, и для любого объективного читателя, обстоятельство: во всём этом капитальнейшем издании грузинской музыкальной культуре XX века посвящена лишь одна статья – о композиторе Гие Канчели, тогда как, например, армянской музыкальной культуре и ее представителям – десять статей!

Перечислим их в алфавитной последовательности: 1. К. Берберян, 2. «Гаяне» - балет А. Хачатуряна, 3. Долуханова, 4. Комитас, 5. Т. Мансурян, 6. А. Мелик-Пашаев, 7. «Спартак» - балет А. Хачатуряна, 8. А. Тертерян, 9. А. Хачатурян, 10. А. Хованесс.

Итак, десять статей против одной. Такая, вот, удивительная пропорция!

Безусловно, что все перечисленные выше выдающиеся личности и их произведения заслуживают статей в энциклопедии «Музыка XX века». Конечно же, речь идет не об этом, а лишь о том, что того же заслуживают и замечательные грузинские музыканты (композиторы и их произведения, испольнители), о которых поговорим теперь – в сопоставлении с их армянскими коллегами:

К. Берберян и З. Долуханова – бесспорно, выдающиеся певицы (кстати, не оперные), но неужели Л. Акопян ничего не слыхал о великолепных грузинских вокалистах, начиная с «грузинского соловья» В. Сараджишвили (1879-1924), с блестящим успехом выступавшего не только в Грузии, но и в Италии, и в Петербурге, где соперничал со знаменитым А. Мазини. И о котором в книге, посвященной выдающемуся дирижеру А. Ш. Мелик-Пашаеву (М.: «Музыка», 1983. Автор А. А. Мелик-Пашаев),

читаем: «Вано Сараджишвили обладал тенором волнующей красоты, утонченной музыкальностью и сценическим обаянием настолько неотразимым, что даже в конце жизни, повидав немало артистов мирового масштаба, отец затруднялся поставить кого-либо рядом с ним...» (!).

Неужели, опять-таки, ничего не слышал автор о двух замечательных Зурабах – Анджапаридзе и Соткилава, составивших целую эпоху в творческой жизни Большого театра СССР?

И, наконец, также отсутствующий в энциклопедии Паата Бурчуладзе, которого еще в 80-е годы Г. фон Караян назвал «басом №1» в мировом оперном искусстве!

Добавлю к ним, получивших мировое признание пианистов Э. Вирсаладзе и А. Торадзе и скрипачку Л. Исакадзе. Весь этот список можно продолжить.

«Гаяне» и «Спартак» А. Хачатуряна. Кто может иметь что-либо против этих замечательных творений великого композитора (я сам, как-то, посвятил журнальную статью балету «Спартак»).

Но ведь еще раньше – дважды – в 1939 и 1946 годах на сцене Большого театра СССР в Москве, а также в Ленинграде, Киеве, Харькове, Саарбрюккене (ФРГ), Лодзи (Польша) была поставлена великая опера Захария Палиашвили «Абесалом и Этери», а во многих театрах страны (в том числе в Ереване в 1985 году), как неоднократно и за рубежом, ставилась вторая его замечательная опера «Даиси». И обо всем этом в книге ни слова!

Отмечу, что З. Палиашвили и его опере «Абесалом и Этери», а также О. Тактакишвили и его опере «Миндия» отводится большое место в известной музыкально-театральной энциклопедии PipersEnzyklopädiedesMusik-theaters, Band 4,6 (München, Zürich. 1991).

Считаю, что специальная статья должна была быть посвящена и известному балету «Отелло» (1957) А. Мачавариани, имевшему исключительный в истории советской музыки успех: балет был триумфально представлен в Москве на II Декаде грузинского искусства и литературы (1958), а затем поставлен в Ленинграде (1960), Одессе (1961), Куйбышеве (1962), Москве (1991 !), за рубежом – в Токио (1962), Хельсинки (1974), Бухаресте (1976)!

Считаю также, что в энциклопедии «Музыка XX века» должны быть представлены, как минимум, еще два выдающихся грузинских композитора – О. Тактакишвили и С. Цинцадзе. Первый – лауреат Ленинской премии(большая редкость!), опера которого «Похищение луны» ставилась в Большом театре СССР (1977), а опера «Миндия» - в городах Советского союза: Тбилиси (впервые в 1961), Ереване (1970!), Минске (1973), Тарту (1973), Риге (1974), Кутаиси (1975) и за рубежом – Саарбрюккене (ФРГ), Оломоуце (Чехословакия), Мейнингене (ГДР).

Международное признание получило замечательное квартетное творчество С. Цинцадзе – лауреата многих (в том числе зарубежных) конкурсов, фестивалей и т. д.

Приведу также два примера сокрытия «грузинского следа» в статьях о пианисте Н. Магалове и С. Прокофьеве. В первой из них не указано, что Магалов (Магалашвили) был грузином по происхождению, а во второй –

полностью игнорирован (как будто бы его и не было) период длительного пребывания Прокофьева в Тбилиси (с 3.XI.1941 по 26.VI.1942), где он завершил работу над клавиром оперы «Война и мир», написал 7-ю фортепианную сонату и музыку к кинофильму «Лермонтов», выступал с клавирабендами, дирижировал своими сочинениями и т. д.

Думаю, что все это лишний раз выдает крайнюю тенденциозность автора.

К числу выдающихся музыковедов, имена которых не попали на страницы этого издания, также относятся И. Соллертинский, Л. Мазель, Р. Грубер, И. Нестьев, М. Арановский (автор-составитель замечательного издания «Русская музыка и XX век»), многих других, а также о композиторе – лауреате Ленинской премии (!) О. Тактакишвили, вычеркнутом из списка лауреатов (С. 437).

А теперь, чтобы не прослыть «арменофобом», приведу список своих очерков и статей, посвященных армянской музыкальной культуре: «Арам Хачатурян и грузинская музыкальная культура» (напечатано вкниге А. Хачатурян и музыка XX века», Ереван, 2003), на ту же тему – статьи в тбилисских газетах «Свободная Грузия» (06. VI.2003), «Вечерний Тбилиси» (03.VI.2003), и «Сакартвелос республика» (08.VI.2003), «Героический спектакль» (балет Хачатуряна в Ленинградском театре оперы и балета) – в Журнале «Сабчота хеловнеба» («Советское искусство». 1957. №6).

Продолжу далее в хронологической последовательности: «Успех армянского искусства» (оперные гастроли, газ. «Заря Востока», 11.VII.1987), «Праздник армянского искусства» (журн. «Сабчота хеловнеба». 1987. №9), «Культурные связы народа Закавказья» («Заря Востока», 26.III.1988), «Музыка славит дружбу» (дни культуры Армении. Газ. «Свободная Грузия». 05.VIII.1995), «Первоклассный коллектив» (Армянский камерный оркестр», газ. «Кавказский акцент». 2003. №20), «Я прочел книгу» (книга М. Рухкян об А. Тертеряне. «Свободная Грузия». 14.VIII.2003). Кстати, А. Тертеряну и А. Сарьяну посвящена часть статьи «Богатый спектр музыки». «Заря Востока» (25.X.1981), «Встреча с Михаилом Таривердиевым» («Вечерний Тбилиси». 14.X.2008), «Александру Арутюняну – 90 лет!» (грузинский Журнал «Мусика». 2010. №2), «Выдающийся композитор, друг грузинской музыки – Эдвард Мирзоян» («Вечерний Тбилиси». 13.VII.2011). Я неоднократно печатался также в тбилисской армянской газете «Советакан Врастан».

Надеемся, многие сделают из всего вышеизложенного соответствующие выводы.

Москва, «Музыкальная академия», 2014, №3.

თეატრი

ვაჟა ძიგუა-როგაქიძე

ქართული დრამატურგიის კრიზისი

დრამატურგია თეატრალური ხელოვნების, თუ უფრო დავკონკრეტდებით, სპექტაკლის საფუძველია. პიესის (ინსცენირების) გარეშე თეატრი ტოტებჩამოლეწილ ხეს დაემსგავსება. მისი სიცოცხლისუნარიანობა ჯანსაღ ლიტერატურულ ორგანიზმზეა დამოკიდებული. ისე ვსაუბრობ, თითქოს ცოცხალი არსება იყოს. დიახაც — იგი ხომ ადამიანის სულიერი ცხოვრების ნაყოფია.

ნებისმიერი თეატრის წარმატება, პირველ ყოვლისა, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდება ხოლმე. ეს აქსიომაა. ასე იყო ოდითგანვე, ასეა დღესაც. კარგია (ვიტყოდი აუცილებელიც) მსოფლიო დრამატურგიის შედევრებთან მუდმივი შეხება. ამ გზით მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა მოადუნოს ფიქრი და ზრუნვა მშობლიური თეატრის (მისი მასაზრდოებელი წყარო კი ეროვნული დრამატურგიაა) მუდმივი განახლებისაკენ.

როგორი ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქართველოში? დამაფიქრებელი, თუ საგანგაშო არა. მოდი, პირდაპირ ვთქვათ — დღეს ქართული დრამატურგიის აწმყო და შესაბამისად, მომავალი არავის აინტერესებს. ზოგიერთი შემომედავება და იტყვის — რატომ ვხატავ სურათს ასეთ მუქ ფერებში? პერიოდულად ხომ იმართება კონკურსები ახალი დრამატურგიული ნაწარმოებების შექმნაზე, საუკეთესო თარგმანზე, ინსცენირებაზე. ორიოდე წლის წინ ჩვენთან, ქართულ-ავსტრიული პროექტის ფარგლებში, ჩატარდა დრამატურგიის კონკურსი, რომლის დებულება ითვალისწინებდა გამარჯვებული პიესების უცხოეთში დადგმას და კიდევ შეიძლება რამდენიმე ცალკეული ინიციატივა გავიხსენოთ... მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია იმ გლობალური პრობლემის გადასაჭრელად, რასაც ქართული დრამატურგიის კრიზისიდან გამოყვანა ჰქვია.

უმთავრესი გახლავთ ის, რომ ლიტერატურის ეს სრულყოფილი ჟანრი სავსებით იგნორირებულია, ანუ სახელმწიფოებრივი ყურადღების მიღმაა დარჩენილი. თუ გადავხედავთ პროფესიული თეატრის ჩასახვის პერიოდის რეპერტუარს, როდესაც ქართული დრამის ერთადერთი თეატრი არსებობდა (რომელსაც შემდეგ შოთა რუსთაველის სახელი მიანიჭეს), დავინახავთ, რომ იმ დროს მოღვაწე რეჟისორთა (ა. წუწუნავა, ა. ფაღავა, კ. ანდრონიკაშვილი, მ. ქორელი) მთელი გულისყური ქართული დრამატურგიისკენ იყო მიმართული: აკაკი წერეთლის, გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, დავით კლდიაშვილის, შალვა დადიანის გვერდით დგამდნენ იმ დროისთვის სრულიად უცნობი — ნინო ნაკაშიძის, სანდრო შანშიაშვილის, გიორგი შატბერაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის პირველ ნაბიჯებთან დაკავშირე-

ბულ ნაწარმოებებს. ამ ავტორებმა შემდგომ რა წარმატებებსაც მიაღწიეს, ყვლასათვის ცნობილია.

ცალკე საუბრის თემაა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის დამოკიდებულება ეროვნული დრამატურგიის მიმართ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ბუმბერაზი რეჟისორების მოქმედების ანალიზი წარმოუდგენელია იმ შედეგრთა გარეშე, როდესაც ქართველ დრამატურგთა პიესების მიხედვით განხორციელებულ სპეკტაქლებზე ვსაუბრობთ.პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ტოტალური რეჟიმის პირობებში ქართულმა თეატრმა არნახულ წარმატებებს მიაღწია. იდეოლოგიური წნეხის მიუხედავად, იგი მუდამ ახერხებდა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებას. გაიხსნა სახელმწიფო თეატრების უპრეცედენტო რაოდენობა მთელ საქართველოში. ფლაგმანის ფუნქციებს, რა თქმა უნდა, ინარჩუნებდნენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრები. სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, მთელი ამ წლების მანძილზე (თანამედროვე საქართველოს დამოუკიდებლობამდე) ქართული დრამატურგიის ხვედრითი წონა განუზომლად დიდი იყო. ასე მაგალითად: 1929-30 წლების სეზონში, მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული შვიდი სპექტაკლიდან ექვსი ქართველ ავტორთა ნაწარმოებების მიხედვით იყო დადგმული: დ. ჩიანელის „ბაილი"და შენგელაიას „თეთრები", ა. ქუთათელის „შუაღამემ გადაიარა" , გ. ბუხნიკაშვილის „კი, მაგრამ...", კ. კალაძის „ხატიჯე", თ. ვახვახიშვილის პანტონიმა „ხანძარი", ყველა დადგმა კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნოდა. ანალოგიური ვითარება იყო რუსთაველის თეატრში. კონკრეტული მაგალითებით ამ მოსაზრების გამყარება შორს წაგვიყვანს, რისი შესაძლებლობაც, შეზღუდული ფორმატის გამო, ალმანახს არ გააჩნია. დაინტერესებულ მკითხველს მარტივად შეუძლია მოიძიოს მასალები.

რა მოხდა შემდეგ, როდესაც მოვიპოვეთ ნანატრი თავისუფლება? ხელისუფლებამ ზურგი შეაქცია თეატრებს, ჯერ შეუმცირა დაფინანსება, ზოგიერთ მათგანს საერთოდ შეუწყვიტა, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. განსაკუთრებით საბავშვო და თოჯინების თეატრები აღმოჩნდნენ გამოუვალ მდგომარეობაში. ამაზე სხვა დროს. ახლა კი კვლავ დრამატურგიას მივუბრუნდეთ.

ავბედით საბჭოთა პერიოდში, საქართველოს კულტურის სამინისტროში ფუნქციონირებდა სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია, რომელსაც დიდი ეროვნული მისია ეკისრებოდა: იძენდა ახალ პიესებს, სისტემატურად მართავდა კონკურსებს საუკეთესო დრამატურგიული და მუსიკალური ნაწარმოებების გამოსავლენად, უკვეთავდა თარგმანებს როგორც უცხო ენებიდან ქართულ ენაზე, ასევე ქართული პიესების სხავადასხვა ენებზე თარგმანს მათი პოპულარიზაციის მიზნით. ამ სამუშაოებისთვის მიზერული თანხა იყო გამოყოფილი (წელიწადში სულ რაღაც 50 000 მანეთი), მაგრამ კოლეგია ახერხებდა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ფუნქციის შესრულებას. თანდათანობით ძველი პარტიული ნომენკლატურული მუშაკებით დაკომპლექტდა სამინისტროს ხელმძღვანელობა და მათი ძალისხმევით, სრულიად უდრტვინველად, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებლად (ვინაიდან სპეციფიკასთან მწყრალად იყვნენ), გაუქმდა ქართული დრამატურგიის ერთადერთი მასულდგმულებელი ბერკეტი, რამაც გამოიწვია თეატრებისთვის სასიცოცხლო პულსის შეჩერება განუსაზღვრელი დროით. ამჟამად თეატრები, რომლებსაც უკვე თავად „მიჰყავთ პარადი" , ცდილობენ იოლად გამოძვრნენ სიტუაციიდან, ხშირ შემთხვევაში (მწირი თანხების გამო) ენანებათ დრამატურგიისათვის ფულის გადახდა და საკუთარი ძალებით ქმნიან ინსცენირებებს, თარგმანებს, სხავდასხვა

სახის გაუგებარ, მდარე კომპოზიციებს, რაც მხატვრულ ხარისხზე თვალნათლივ აისახება და რისი მოწმენიც არაერთხელ ვყოფილვართ. დღეს, როდესაც ყველა კვლევების მიხედვით, საქართველოში უმთავრეს პრობლემად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა მიჩნეული, განა თეატრების სასიცოცხლო „მაჯა“ ამ კონტექსტში არ უნდა განვიხილოთ?ვერ დამისახელებთ მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნის ვერცერთ თეატრს, რომელსაც სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე წარმატებისთვის მიეღწოს. მარტივად რომ ვთქვა, ფულის, ანუ სახსრების, გარეშე თეატრების მომავალი განწირულია. ამ თვალსაზრისით, რაოდენ სარკასტულად და უაღრესად თანამედროვედ ჟღერს ქართული დრამატურგიის კლასიკოსის გიორგი ერისთავის „გაყრის“ ერთ-ერთი პერსონაჟის ვაჭარ მიკირტუმ გასპარიჩის ,,ფილოსოფიური“ შეგონება: ,, ეს სოფელმა სულ ფული, ფული, სხვა ყველამ ტყუილია“.

დღეს საქართელოს თეატრები საკუთარ წვენში იხარშებიან. თუ მოიხელთებენ ახალ ქართულ პიესას, დრამატურგის „გულუხვობის“ იმედად არიან - რაც შეიძლება ნაკლები თანხის გადახდაზე შეთანხმდნენ (განა გაემტყუნებათ?!) ამიტომაც ახალი სცენური ნაწარმოების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში ერთჯერადი ხასიათისაა.

მრავალ სიკეთესთან ერთად სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია მის მიერ შეძენილ ან კონკურსებში გამარჯვებულ პიესებს იმდენ ეგზემპლარად ამრავლებდა, რამდენი თეატრიცაა საქართველოში და მათ გასაცნობად უგზავნიდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ თეატრები ხელგაწვდილი არ დადიოდნენ რეპერტუარის გასამდიდრებლად, ჟარგონს თუ მოვიშველიებთ ,,თავი ქუდში ჰქონდათ“. მარტო იმ ფაქტის აღნიშვნა რად ღირს, როდესაც სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის ინიციატივითა და ხელმძღვალელობით ყოველწლიურად იმართებოდა ახალგაზრდა დრამატურგთა შეკრება — სემინარები (ვიდრე აფხაზეთი, როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო, საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა), შემდეგ ამ სემინარებმა ქობულეთში გადაინაცვლა. სემინარიის მონაწილე ავტორებს ჩამოჰქონდათ მომავალი პიესების სიუჟეტური ქარგა და იქ ყოფნის პერიოდში (ორი-სამი კვირის მანძილზე) თეატრისმცოდნეებთან და რეჟისორებთან ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში, ჯანსაღი დისკუსიის ფონზე, ფაქტიურად ადგილზევე ქმნიდნენ ახალ პიესებს. თურმე რა ოქროს ხანაში გვიცხოვრია და ჩვენდა სამარცხვინოდ, დამოუკიდებელ საქართველოში ყველაფერი ეს ტკბილი სიზმარივით გაქრა...

სერეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის არსებობამ განაპირობა ახალგაზრდა, დღეს უკვე საშუალო და ზოგიც ძველი თაობის მთელი პლეადის მოსვლა ქართულ დრამატურგიაში: თამაზ მეტრეველი, თემურ აბულაშვილი, ირაკლი სამსონაძე, შადიმან შამანაძე, ზურაბ ლავრელაშვილი, თამაზ ბაძაღუა, დავით ჩაჩიბაია, ბასა ჯანიკაშვილი... ნუ მიწყენენ, თუ ვინმე უნებლიეთ გამომრჩა. შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდი“ და „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში“ თითქმის ყველა პროფესიულ თეატრში (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა) დაიდგა. ეს რეკორდიც კი მრავლისმეტყველია.

წერილს ეპილოგის სახით მინდა დავურთო თამაზ ჭილაძის სიტყვები: „თავისუფლებას ქმნის კულტურა, ხოლო სანამ კულტურას უარვყოფთ, თავისუფლების ფასიც არ გვეცოდინება“.

ლიტერატურა, პოეზია

გთავაზობთ ჩვენი საკრებულოს წევრის, ნანა ანდრონიკაშვილი, პრინცესა ფონ საქსენ-ალტენბურგის სამ ლექსს, რომელიც სამ სხვადასხვა ქვეყანაში დაიწერა. ინგლისურად დაწერილ ლექსში, მან ვაშინგტონში პრიზი მიიღო და წლის საუკეთესო პოეტის ნომინაციაში პირველ ათეულში მოხვდა. წლის ბოლოს იგი აპირებს გამოსცეს წიგნი, სადაც ქართულ. რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენაზე გვეტყვის თავის სათქმელს. სწორედ ამ კრებულიდან გთავაზობთ ექსკლუზიურად მის სამ ლექსს.

ნანა ანდრონიკაშვილი,
პრინცესა ფონ საქსენ-ალტენბურგი

LET'S TRY...

War and Peace, two simple words . . .
But in life, two difficult ones.
In war you feel what is peace,
In peace you do not care about this.
Life is a game of "war" and "peace".

Life is a game of ''war'' and ''peace''
But sometimes you think,
why do we play games?
Who taught us? God? No! Then who?
Power hunger men make
the world dangerous. . .

But may be they forgot, nobody
has power forever!
We are actors on the stage for
very little time . . .
Let us play at life, but add nothing
artificial,
Let us live the way God has
created the world.

Spring, summer, autumn and winter.
Birth, childhood, marriage, children, death!
Natural death and natural birth!
Let us try, may be this is the correct way
To God . . . Let us try, just one more time! . . .

2003, Dallas, TX

ნეკრესი

გზა, სიცხე, აგვისტო, იქ კი ნეკრისია. . .
ხრიოკი. . . წყურვილი. . . გამშრალი ყელი,
ყოველი ნაბიჯი, ქვებზე ბორძიკია,
მიდიხარ მაღლა, გზა კი არ მთავრდება.
შემდეგი ნაბიჯი წინანდელზე
უფრო მძიმეა,
ეძებ ჩრდილს ამაოდ, დასიცხულ
თვალებით,
ცდილობ არ დაეცე, იქ კი ნეკრისია . . .
ყოველ მოსახვევს მაღლა აჰყევხარ,
სიცხე გონებას გიბინდავს და
იკარგები უფრო,
იქნებ ნეკრისი ეს გზაა დაუსრულებელი?
იქნებ მოვბრუნდე? ამ დროს ხმა მომესმა:
,,სამი ნაბიჯია, ამ მოსახვევში
უკვე ნეკრისია,,
მივბრუნდი, მართლაც ეს კი ნეკრისია.
ვზივარ, ვუყურებ გარინდებული . . .
ის კი ამაყია, უბრალო, ცივი და მკაცრი.
არც არის გასაკვირი, მეოთხე
საუკუნიდან დგას,
მან უკვე გაუძლო ჩვიდმეტ საუკუნეს!
და ხვდები თუ რას ეუბნება მასთან
მისულ მგზავრს!
ხვდები, ეს გზა არაფერია,
გამოცდის ერთი წამია . . .
ის ჩვიდმეტი საუკუნეა
უძლებს ყველაფერს,
რატომ? ვისთვის? . . .
საქართველოსთვის.
არ მახსოვს როგორ ჩამოვირბინე
უკანა გზა,
გახარებული ვბრუნდები სახლში,
კიდევ ერთი გამოცდა ჩავაბარე,
ჩემი ცხოვრების გასავლელ გზაზე.

10.08. 2005. თბილისი

ჰაემანი ნოიშვანშტაინში

ზამთარი, თოვლი . . .
თოვს საუკუნეა თითქოს.
გადაათეთრა, გაასუფთავა
შენი სამეფო . . .
შენი თეთრი ნოიშვანშტაინი.
მეფევ ბავარიის, მისტერიულო,
თუ შეშლილო ლუდვიგ.
დღეს მე გესტუმრე, ვდგავარ,
ვუყურებ შენი ოცნების სასახლეს.
მაღლა, სულ მაღლა მთაზე,
თეთრი ზღაპრული სასახლე,
თან ნამდვილია და თან ზღაპრული.
შევდივარ შიგნით, ავდივარ მაღლა,
ერთი სული მაქვს ვნახო
შენი შექმნილი სამყარო,
რიჩარდ ვაგნერი და პოეზია,
ტრისტანი, ლომები და . . .
შენი გედი, კიდევ გედი.
არც ქალი, არც კაცი, მხოლოდ—
გედები, სულ გედები.
ნეტავი იმწამს რას ფიქრობდი,
როცა დაამთავრე შენი გედის სიმღერა,
შტანბერგეს ტბაზე . . .
რატომ მაღელვებ შეშლილო ლუდვიგ,
რატომ მიზიდავს შენი სასახლე,
თავშესაფარი და ციხე შენი.
იმიტომ, რომ იდუმალი ხარ,
მისტერიაა შენი ცხოვრება,
შენი სასახლე ზღაპრულია,
და თან არარეალურია
ისე როგორც შენი ცხოვრება.
და მაინც გეძებ, გეძებ რომ შეგხვდე.
შენთვის მეც უცნობი ქალი ვარ,
იდუმალი და მისტერიული,
ასეთები კი ერთმანეთს უგებენ,
თუმც არ იმჩნევენ.
ასე რომ დღეს შენ მიმიღებ
ლუდვიგ, კარსაც გამიღებ . . .
ჰოდა მეც ვეძებ შენს
გაღებულ კარს,
შენს ციხეკოშკში—
ნოიშვანშტაინში!

20.01.2009

ფოტოები გადაღებულია პრინც ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგის მიერ

გთავაზობთ ჩვენი საკრებულოს წევრის, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორის, ვენერა ანდრონიკაშვილის მინიატურას. იგი ცოტა ხნის წინ გამოგვაკლდა.

ვენერა ანდრონიკაშვილი

ქარვისფერი ულაჯეკი

არის წუთები, აგეკვიატება რაღაცა ფარული დარდი, მელოდია, კითხვა, რომელსაც დიდიხანია გაურბიხარ, ბოლოს მაინც გიხელთებს, არ მოგეშვება და მაშინ გინდა სადღაც გაიქცე შენი თავიდან.

დღეს დილიდან ყველაფერი მაღიზიანებს. რაღაცამ დაწყვიტა ჩემი სულის ჰარმონია. მცხეთაში უნდა გამესწრო, მაგრამ ნათესავი მოვიდა და აჰა, ოთხი საათიც გახდა. ნელა მივყვები რუსთაველის გამზირს. ხეები უცნაურ ჩრდილებს ხატავენ. არავისი ნახვა არ მინდა. სიონში ჩავალ, საღამოს ლოცვებს მოვისმენ. სამხატვრო გალერიასთან აფიშა შევნიშნე. საშემოდგომო გამოფენა. გამიხარდა, მაინც რაღაც ახალს ვნახავ. კარგ ნახატს შეუძლია სული დაგიწყნაროს. სხვა სამყაროში გადაგიყვანოს. ვათვალიერებ. ნაცნობი გვარების გვერდით, ბევრი ახალი გვარიცაა. მაგრამ თითქმის არაფერი განსაკუთრებული, ან ისეთი რამ, რაც ჩემ შინაგან მდგომარეობას შეესიტყვებოდეს. ვერ ვხედავ ნახატს მიღმა შემომქმედის სულს, რაღაც ტკივილით შეპყრობილს, რომელიც ცდილობს, ვიღაცას ელაპარაკოს ამ ტკივილზე. არ არის აღსარება, რომელიც შეგძრავს, დაგაფიქრებს. კუთხეში პატარა ნატურმორტმა მიიპყრო ჩემი ყურადღება შეიძლება არც არის ნატატურმორტი. საოცრად ლამაზი ფერთა გამაა, მოყავისფრო.მერხი. მერხში ყვითელი გულაბები აწყვია. გვერდით გოგონა დგას დაახლოებით ათი-თერთმეტი წლის იქნება, ხელში წიგნები უჭირავს,უფრო სწორედ გულზე აქვს მიკრული. გოგონას მუქი ყავისფერი კაბა აცვია, მწვანე ფერის წიგნების გარეკანზე მოყვითალო ფერის ლამაზი წარწერაა: „მშობლიური ლიტერატურა". რამ მიმიზიდა? მერხი ჩვეულებრივია, მაგრამ უჩვეულოა მერხში გულაბები? დიდხანს ვერ ვაცილებ თვალს, რაღაც ნაცნობი, ახლობელი გახდა ეს სამყარო. ისეთი გამჭვირვალე და ცოცხალია მსხალი, გინდა ხელი მოკიდო. ასოციაციამ შორს წამიყვანა და აიკინძა ფიქრები დაფანტული მძივებივით და ჩემს წინ ჩემი ბავშვობის მივიწყებულმა ფრაგმენტმა გაიელვა.

ეს იყო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, როდესაც მამა ჯარში წაიყვანეს და ჩვენი ოჯახი დროებით სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. სოფელი ღონიერია, ნათესავები დაგეხმარებიანო. ასე აღმოვჩნდი სოფლის სკოლაში. დიდხანს ვერ შევეგუე სკოლას, ჩემი ფიქრები ისევ თბილისის სკოლას დასტრიალებდნენ. მე იმ პატარა ბარტყს ვგავდი, შეჩვეულ ბუდეს რომ ააგლიჯეს და სხვა ჯურის ფრინველებს, რომ მოჰგვარეს გასაზრდელად. ვზივარ გაკვეთილზე და არაფერი არ მესმის. მინდა ვუსმინო მასწავლებელს, მაგრამ ყურადღებას ვერ ვიკრეფ. მასწავლებელი ჭაღარა თმიანი, სათნო სახის ქალბატონი, გატაცებით ყვება რაღაცას, მთელი კლასი სულგანაბული უსმენს, მე კი ჩემი სკოლის კლასის დამრიგებლის ბაბალე მირიანაშვილის ხმა მესმის, ვხედავ მის საოცარი შუქით ანთებულ თვალებს. იმ დღიდან ვიგრძენი, რომ ჩემში ვიღაც ჩასახლდა. უფრო სწორად ჩემი მეორე მე. ყოველდღიურად უფრო აქტიური ხდებოდა ეს ხმა. მეკამათება, მეჩხუბება. მაინცა და მაინც გაკვეთილის დროს, რატომ მეკამათება? ერთ დღესაც შუა გაკვეთილზე, თითქოს ვიღაცამ თმებზე დამქაჩა, მომესმა ხმა: „რას უზიხარ მანდ? ომია? ჩვენ ყველანი აქა ვართ, შენ სად გაიქეცი? ეს ჩემი თანაკლასელის ხმაა... თუ ჩემი. მახსოვს, როგორ წამოვხტი მერხიდან, რაღაც უჩვეულო ძალამ წამომაგდო. თვალები და საფეთქლები მიხურს, თავბრუ მესხმის. მინდა გავიქცე და ადგილიდან კი ვერ ვიძვრი.

რატომ ადექი, გინდა რაიმე? რა გაწუხებს, — მეკითხება მასწავლებელი. მთელი კლასი მე მიყურებს. ვიღაცამ წაიფხუკუნა. მერხზე დავ-

ეშვი. ერთი თვე გავიდა და ვერ ვეგუები თანაკლასელებს. თუმცა ისინი განსაკუთრებული ყურადღებით მექცევიან,

მახსოვს, ორი კვირის მოსული ვიყავი, მერხში ორი წითელი ვაშლი დავინახე, მერე თითქმის ყოველდღე მხვდებოდა მერხში ან ვაშლი, ან ყურძენი, ან მსხალი. არ ვიცოდი ვისთვის მეთქვა მადლობა. თუმცა ეს არც ისე ძნელი იყო, გავხედავდი კლასს და ნობათის პატრონის თვალებში ჩამდგარი ღიმილით ვცნობდი. ნობათი სახლში მიმქონდა და ჩემი პატარა ძამიკო გემრიელად მიირთმევდა. მახსოვს, მაშინაც მერხიდან, რომ წამოვხტი და ზოგიერთებმა ქილიკი რომ დაიწყეს, მისი მზერა დავიჭირე ღიმილიანი თანაგრძნობით, რომ მიყურებდა, მერე სახლამდე მიმაცილა და სასაცილო ანიგდოტებს მიყვებოდა, თურმე ჩემი მეზობელი ყოფილა. მეორე დღეს, პირველსავე შესვენებაზევე ავიღე მსახალი და ჭამა დავიწყე, მოპირდაპირე მერხზე ბიჭმა ისეთივე მსხალი ამოაძვრინა ჯიბიდან და გემრიელად ჩაკბიჩა. იცინოდა და თვალებიდან ოქროს ფერი სხივები სცვიოდა. თაფლივით ტკბილი წვენი ხელებზე გვეწუწებოდა. მერე მოვიდა, ხელი მომკიდა და გარეთ სირბილით გამიყვანა, წყლის ნაკადთან მიმიყვანა. ვიბანდით ხელებს და თან გულიანად გვეცინებოდა. სახლში რომ დავბრუნდი, პატარა ძმამ ჩანთა გამიქექა გაკვირვებით შემომხედა, დღეს არაფერი მოგართვეს? გამეცინა. მომიტანეს, მაგრამ შემომეჭამა. მაგრამ ჩვენმა ნაცნობობამ დიდხანს არ გასტანა. ჩემი მეორე მე ინტენსიურად მეკამათებოდა და ბოლოს ჩემი გავიტანე, დედას შევეცოდე და წამიყვანა თბილისში. სული და გული ჩააყოლა მეზობლებს, მიმიხედეთ და მეც ხშირად ჩამოვაკითხავო. მერე ომიც გათავდა. მერე ყველაფერი სხვაგვარად წავიდა. ახლა ვუყურებ ამ ნატურმორტს და ასე მგონია ჩვენ ისევ შევხვდით. წარწერას ვაკვირდები გ. აბესაძე დაბ 1932წ. გია ერქვა ნამდვილად, გვარი კი აღარ მახსოვს. ოცდაათი წელი გავიდა მას მერე. იქნება ის არის? იქნება წარმოსახვის სამყაროში ბრუნდებიან ჩვენი აუხდენელი ოცნებები? შთაბეჭდილებათა წიგნს ვფურცლავ, და თავად არ ვიცი, საიდან მოვიდა ეს სიტყვები. “ არ ვიცი ვინა ხარ, ისა ხარ თუ არა. უდიდესი მადლობა იმ დიდი სიხარულისათვის, ახლა რომ მომანიჭე. ჩემი ბავშვობის ულამაზეს დღეს რომ შემახვედრე, მე ახლაც მახსოვს ის ქარვისფერი გულაბები, ბავშვობასავით თბილი და სურნელოვანი. გმადლობთ. მთელი ღამე არ მეძინა. ათასი ფიქრი ამეკვიატა, როგორია ახლა? როგორ გამოიყურება? ან როგორი იქნება ჩვენი შეხვედრა? შეიძლება სულაც არ არის ის.

მეორე დღეს სამსახურის მერე ისევ წავედი გალერეაში. თან ვხატავდი შეხვედრის სცენებს. თუ თბილისში ცხოვრობს, რატომ არსად შევხვდი?

შთაბეჭდილების წიგნთან ქალბატონი იდგა ასე თითქმის ჩემი ტოლი, შეიძლება ცოტათი უმცროსი. ვეკითხები, — მხატვრის ნახვა მინდა, ხომ არ შეიძლება მითხრათ როდის მოვა, ქალმა ყურადღებით შემომხედა: აა, ეს თქვენ ჩაწერეთ გუშინ? და მან გადაფურცლა ალბომი, ზუსტად იქ, მე რომ ჩავწერე. იცით, მე თქვენ გიცანით, თქვენ მარინე ხართ არა, რუხაძე? დიახ, მე ვარ. თქვენ საიდან მიცნობთ? ქალს სახეზე მწუხარე ღიმილმა გაუქროლა, მე მისი და ვარ. თქვენ, რა თქმა უნდა, აღარ გახსოვართ, ჩვენ კი მე და ჩემი საბრალო ძმა ხშირად გიგონებდით. არ მესმის რას ნიშნავს მიგონებდით? ჰო, ის აღარ არის ცოცხალი. გულში რაღაც ჩამწყდა.

დიდი ხანია?

უკვე მეხუთე წელია.

ოჯახი ჰქონდა? ვიკითხე და თავად გამიკვირდა რატომ ვიკითხე.

კი ჰყავდა. აი, ეს მისი ქალიშვილია, მასაც მარინე ქვია. ახლაღა შევამჩნიე იქვე ახლოს გოგონა იდგა, ასე ოცი წლის იქნებოდა, მასაც მწიფე გულაბისფერი თვალები ჰქონდა და ყურადღებით გვისმენდა, ხელი ჩამოვართვი. მშვენიერი გოგონაა, ვთქვი და დუმილი ჩამოვარდა, მერე გაუღიმე ორივეს.- ვწუხვარ, მაპატიეთ, მე წავალ, ვთქვი და სწრაფად წამოვედი, ღმერთო, ნეტა სულ არ შევსულიყავი გუშინ ამ გალერეაში, არაფერი მეცოდინებოდა. არც ეს ამბავი მეცოდინებოდა, მაგრამ ხომ არაფერი არ ხდება ცის ქვეშეთში განგების გარეშე. ალბად ასე ინება უფალმა. და ახლა ტკივილიანი სინანული მისერავს გულს, რატომ ერთხელაც არ გამახსენდა ჩემი ბავშვობის ლამაზი ფურცელი. მას კი არ დავწყნია თავისი ბავშვობის ხილვები და ამ სურათში ჩადო თავისი სულის ულამაზესი განცდები, ის ლამაზი წუთები აქცია შემოქმედებად და სიკვდილის მერეც მომანიჭა სიხარული, მე კი ვის უთხრა მადლობა, იმ გაუსაძლოს წლებში, მშვენიერი წუთები რომ მაჩუქა. მართალს ბრძანებს კონსტანტინე: „ხელოვნება თავად უკვდავებაა, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი.“

დებიუტი

საბა ხიმშიაშვილი, X კლასი,
ნიკო გაგრატიონის სახელობის
თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

იყიდება საქართველო

დიდი ქართველი ნოველისტი, ფილოსოფოსი, პატრიოტი ნიკო ლორთქიფანიძე XIX საუკუნეში გულისტკივილით წერდა, რომ საქართველოს ვკარგავდით, რომ საქართველო იყიდებოდა და, სამწუხაროდ, ორი საუკუნის შემდეგაც გვიწევს ამ ტრაგიკული ფრაზის გამეორება. იყიდება ის, რასაც ადრე საქართველო ერქვა, იყიდება ჩვენი და ჩვენი წინაპრების სისხლით გაჟღენთილი ჩვენი სამშობლო. დღეს, მსოფლიოს სივრცეში, მხოლოდ ჩვენ ვიყიდებით. პატრიოტიზმი, პატივისცემა, სიყვარული რატომღაც ვაჭრობაში, გამყიდველობაში, პირფერობაში გადაიზარდა, შემცირდნენ სამშობლოზე გულით შეყვარებული, პატრიოტული სისხლით ანთებული ადამიანები. ახლა მოდაში გამყიდველობა შემოვიდა და როგორც კარგი ვაჭარი ასაღებს თავის საქონელს მყიდველზე, ისე ასაღებენ ქართველები თავის მშობლიურ მიწა-წყალს, ჰყიდიან უსინდისოდ და, ამავდროულად, „პროფესიონალურად." ჰყიდიან სამშობლოს დათოვლილი მწვერვალებით, მთის მდინარეებით, ოქროს და მადნის საბადოებით, მცენარეთა და ცხოველთა უნიკალური ენდემური ჯიშებით, უძველესი ფოლკლორითა და ლეგენდებით, არქეოლოგიური ძეგლებით, წარსულით, აწმყოთი, მომავლით... ჰყიდიან ყველაფერს: სინდისს, პატიოსნებას, სიყვარულს, ღირსებას. სამაგიეროდ, ყიდულობენ ხმებს, სკამებს, სამთავრობო პორტფელებს და შემდეგ გაყიდულს იკანონებენ. ყიდვა-გაყიდვის მტაცებლურ პროცესში იკარგება მიწა-წყალი, იკარგება ერის ინტელექტი, იჭრება ფესვი, ხმება ყლორტი და ქართველი ხალხიც, როგორც ტრადიციული ბრბო, ერთი მმართველისგან მეორესთან გადადის, მთავრობის მესვეურები მშვიდად და კმაყოფილად ყიდიან სამშობლოს, ყიდიან სულს, ყიდიან ქართველობას, ყიდიან იმას, რაც ერთადერთი ნათელი სხივი იყო ჩვენს არსებაში, ყიდიან თავისუფლებას და ხალხიც ბრმად იყიდება, იყიდება ისე, როგორც კარგად შესუქებული ღორი, იყიდება, იყიდება მისი სული... მაგრამ ბრბო ამ დინებას მშვიდად მიჰყვება, მიჰყვება და მაინც იყიდება... ჩვენი სამშობლოს დაცვა არ გამოგვდის და ყველა ყიდის, ცალკე უქონელი ყიდის, ცალკე მდიდარი, ცალკე მთავრობის წევრი, ცალკე ის, ვისაც გაყიდვის უფლებაც კი არ აქვს, საბოლოოდ, ყიდის ყველა: დიდიც და პატარაც და რატომღაც ვერავინ ვერ ხვდება — საქართველო იყიდება, საქართველო იყიდებოდა სულ, ყოველდღე, ყოველწამს, იყიდებოდა კრწანისში, აფხაზეთში, ცხინვალში... იყიდებოდა ჩვენ თვალწინ, ჩვენ კი, ვითომდა ბრმები, აქეთ-იქით ვაცეცებდით თვალებს, ვაცეცებდით, სანამ ჩვენი ჯერიც არ მოვიდა — გავყიდეთ... სამწუხაროდ, გავიყიდეთ...



იქნებ დროა, ხმა ამოვიღოთ, იქნებ დროა, რაღაც შევცვალოთ, იქნებ დროა, ჩვენს მიწა-წყალს მთელი არსებით ჩავებღაუჭოთ. დავიცვათ ისე, როგორც საკუთარ შვილებს დავიცავდით, დავიცვათ ისე, როგორც საკუთარ სიცოცხლეს დავიცავდით. დავიცვათ ისე, რომ ვერავინ გაეკაროს ავი თვალით, ავი გულითა და უწმინდური ხელებით. საქართველო საბედისწერო ნახტომისათვის უნდა მოემზადოს და დაძლიოს უფსკრული, ვეფხვის მოქნილობით, ჯიხვის სისწრაფით, ამირანის სიძლიერით და გადაირჩინოს მომავალი.

პედაგოგი ირმა შიშინაშვილი

გულში მზესავით მინთია

გურამ არძენაძე (არსენაძე) მაღალმთიანი აჭარისმადლიანი ბუნების წიაღიდან აღმოცენებული, სამშობლოს წარსულის და აწმყოს გმირობის და თავდადების მომღერალი, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია, მისი მხატვრული შემოქმედების ძირითადი ლაიტმოტივი უფლისადმი მარადიული თაყვანისცემა და სამშობლოსადმი უწმინდესი გრძნობით გაჟღენთილი სიყვარულია.

ფართო წრეში დიდი ინტერესი გამოიწვიეს და განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურეს პოემებმა: ,,საუფლო მარადისობის“ და ,,კინტრიშის საბრძანებელში“, რომლებიც ბრძნული აზრებით არიან სეზავებული.

ჯემალ ჯაყელი
პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი და ლიტერატურის მკვლევარი,
საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

აჭარელი ვარ ქართველი

გულში მზესავით მინთია
ქრისტეს მოძღვრების ნათელი,
ჩემი სამშობლო დიდია,
აჭარელი ვარ- ქართველი.

მალაღებს ჩემი მამული,
ცა-სულის ღია სარკმელი,
ვაზის ჯვრით, ასომთავრულით,
აჭარელი ვარ- ქართველი!

სიკეთის მთესველ-მომკელი
ნაბრძოლი, ღამენათევი,
უძლეველ ციხე-კოშკებით
აჭარელი ვარ- ქართველი!

ჩემში მკვიდრობენ ნეტარი
ნინოწმინდელი, ხანცდელი,
ჩემი ცხოვრების მხედარი,
აჭარელი ვარ- ქართველი!

მზეა, ბურუსში მივალი
ტბელი, ვარსკვლავთა მმართველი,
მე მისი შთამომავალი
აჭარელი ვარ- ქართველი!

ხიხანი, ცამდე აწვდილი,
მხარ-ბეჭზე ფირუზნაფენი,
ნენეს ძუძუთი გაზრდილი
აჭარელი ვარ-ქართველი!

ხატს ლოცვით ვეფერებოდი,
უბეში მედო სანთელი,
გულში ამაყად ვმღეროდი,
აჭარელი ვარ-ქართველი!

ზღვისპირელს უყვარს ზღვისპირი,
სხალტას ამშვენებს სხალთელი,
ძმობით სიმტკიცე ქვითკირის
აჭარელი ვარ-ქართველი!

ლოდზე ჩუქურთმის ამგები
ტაძრისთვის ქვქთა გამთლელი,
შვილთა სიმრავლით ნაქები
აჭარელი ვარ-ქართველი!

სისხლი მიყივის მესხური,
მივყვები აწმყოს ქვქფენილს,
მზის საუფლოში შესული,
აჭარელი ვარ- ქართველი!

ბათუმი.

რელიგია

ცივილიზაციის გზაჯვარედინზე

„სიამაყე წინ უსწრებს დაცემას“

კალიფორნიის შტატის რივერსაიდის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის მართლმადიდებელი ტაძრის მოძღვრის ჯოზაია თრენჰემის სიტყვა მე-10 მსოფლიო საოჯახო კონგრესზე

2016 წლის 15-17 მაისს საქართველომ უმასპინძლა ოჯახის სიმტკიცისა და ტრადიციების დაცვისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ღონისძიებას, რიგით მე10 მსოფლიოს საოჯახო კონგრესს. საქართველოში კონგრესის პარტნიორია „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XX1“.

მსოფლიოს საოჯახო კონგრესი 1997 წელს დაფუძნდა აშშ-ში. ის უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციაა და აერთიანებს 80 ქვეყნის 200-ზე მეტ ოჯახური ღირებულებების დამცველ ორგანიზაციას და ასოციაციას. სულ მოიცავს 50 მილიონამდე ადამიანს. 1997 წლიდან დღემდე ორგანიზაციამ ცხრა საერთაშორისო კონგრესი ჩაატარა – პრაღაში (1997), ჟენევაში (1999), მეხიკოში (2004), ვარშავაში (2007), ამსტერდამში (2009), მადრიდში (2012), სიდნეიში (2013), სოლტ ლეიქ სითიში (იუტას შტატი, აშშ, 2015); მეათე კონგრესი კი თბილისში ჩატარდა.

16 მაისს თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიო მეათე საოჯახო კონგრესის მთავარი პლენარული სხდომა: „ცივილიზაციის გზაჯვარედინზე: ოჯახი – თავისუფლების და ზოგადსაკაციობრიო ღირებულებების ბასტიონი“.

გთავაზობთ კალიფორნიელი მოძღვრის, მამა ჯოზაია თრენჰემის სიტყვას, რომელიც მოგვიწოდებს, შევინარჩუნოთ მართლმადიდებელი რელიგია და კულტურული თვითმყოფადობა. საგულისხმოა, რომ მამა ჯოზაია ათი შვილის მამა გახლავთ.

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისათა სულისათა. ამინ!

მე, მამაჩემისა და ბაბუაჩემის მსგავსად, ლოს-ანჯელესში დავიბადე, ქალაქში, სადაც ლგბტ რევოლუცია წარმოიშვა. მას სოდომის ცენტრიც შეგვიძლია ვუწოდოთ. ლოს-ანჯელესი ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისა და აქტივობის საერთაშორისო ცენტრია. ლოს-ანჯელესში, მსოფლიოს სხვა ადგილებთან შედარებით, ყველაზე მეტი ჰომოსექსუალთა ინსტიტუტი შეიქმნა. იმუნოდეფიციტური ვირუსიც პირველად სწორედ აქ, სედარსინაის ჰოსპიტალში აღმოაჩინეს, რამაც გეების სექსუალური თავისუფლების, ე. წ. „გეების ოქროს

ხანა“, გაანადგურა. მიუხედავად ამისა, ჰომოსექსუალებმა შექმნეს ალტერნატიული რეალობა და ეს დაავადება ყველა ადამიანისთვის დამახასიათებლად წამოაჩინეს.

1960 წლების დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლივუდი სექსუალური ანარქიის კორუფციაში უკვე ღრმად იყო ჩაფლული, სასულიერო პირებს მაინც ეგზავნებოდათ სცენარები მორალური შეფასებისთვის. იმ დროისათვის ამერიკული ოჯახების 75 პროცენტი ქალისა და მამაკაცის წყვილისგან შედგებოდა. ბავშვების უმეტესობა დედისა და მამის მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა. შტატების უმეტესობაში მოქმედებდა ანტისოდომურიკ ანონი. კალიფორნიის კანონმდებლობა ჰომოსექსუალიზმს ღვთისა და ხალხის წინაშე ჩადენილ სამარცხვინო დანაშაულად მიიჩნევდა. ახლა კი სირცხვილად ჰომოსექსუალიზმის მსგავს კონტექსტში განხილვა ითვლება. ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჰომოსექსუალიზმი გაუკუღმართებულ, არაჯანსაღ კავშირად მიაჩნდა. დღეს კალიფორნია შეიცვალა. ახლა იქ „ცისარტყელის რევოლუციის“ კულტურული აღზევება და მისი პარადიგმული სწავლება მიმდინარეობს. XX საუკუნის შუა ხანებში ლგბტ აქტივისტები ჰომოსექსუალიზმის ლეგიტიმაციის პროცესში სამ ძირითად წინააღმდეგობას წააწყდნენ: კანონს, „მენტალური ჯანმრთელობის სპეციალისტებს“ და ეკლესიას. ამ წინააღმდეგობების დასაძლევად მათ მთელი ძალისხმევა მიმართეს. მათი მოძრაობა მეტად აგრესიული, ორგანიზებული, პარტიზანული ბრძოლის მსგავსი იყო. ისინი მოქმედებდნენ დადგმული სცენარით – საჯარო ადგილებში ერთმანეთს კოცნიდნენ, შლიდნენ წირვალოცვებს ეკლესიებში, ფსიქოლოგების პროფესიულ კონფერენციებს. მათმა აქტივობამ შედეგი გამოიღო – 1979 წელს ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი პათოლოგიათა სიიდან ამოშალა. 1975 წელს კალიფორნიაში ყველა კანონი ჰომოსექსუალთა ქმედებების წინააღმდეგ გაუქმდა. მას შემდეგ, რაც კანონი და ფსიქოლოგია შეცვალეს, მათ წინააღმდეგობად მხოლდ ეკლესიასთან დაპირისპირება დარჩათ. სწორედ ეს არის ლგბტ მოძრაობის მთავარი დაბრკოლება.

რომის კათოლიკური ეკლესია, ევანგელისტები, მართლმადიდებელი ქრისტიანები და მორმონები, რომლებიც აშშში რელიგიურ უმრავლესობას წარმოადგენენ, დღემდე ეწინააღმდეგებიან სოდომური ცოდვის ლეგიტიმაციას და მხარს უჭერენ ტრადიციული ოჯახის სახეს. დარწმუნდნენ რა, რომ მორწ-

მუნეებთან ვერაფერს გახდებოდნენ, ლგბტ მოძრაობამ აქტიურად დაიწყო ამერიკული ტრადიციული რელიგიის წარმომადგენელთა მარგინალიზაცია. პიროვნების უგულებელყოფა და მისი სოციალური განკვეთა, ამერიკაში დღემდე არსებული ყველაზე არატოლერანტული მოძრაობის საკვანძო ტაქტიკაა. 1960იან წლებში, როდესაც ლგბტ მოძრაობა სცენაზე გამოჩნდა, მათი მთავარი მოთხოვნა სოციალური შემწყნარებლობა იყო. თუმცა ლგბტ მოძრაობის, მათი ცხოვრების სტილის, ლიტერატურის თუ აღლუმების ნებისმიერი გონიერი დამკვირვებელი დაასკვნის, რომ ჰომოსექსუალთა მოთხოვნა შემწყნარებლობაზე – არაგულწრფელია. გეების ნებისმიერი საინფორმაციო წყარო ათობით წლის განმავლობაში ტრადიციულ ოჯახს უწოდებს პატრიარქალურს, სექსუალური ძალადობისა და რელიგიური ფანატიზმის სახეს. ისინი არ ითხოვენ შემწყნარებლობას, ოჯახისა და კანონის ტრადიციული, რელიგიური და ცივილური ფორმის სრულ დამსხვრევას ცდილობენ. გეიაღლუმები იძლევა საუკეთესო საშუალებას, ამოვიცნოთ ლგბტ მოძრაობის წადილი. ისინი მსვლელობას მხოლდ პოლიტიკოსების წინაშე არ აწყობენ, იჭრებიან ტაძრებში, შლიან ლიტურგიებს, შეურაცხყოფენ წმინდა ნივთებს და ერთობლივად ჩადიან მკრეხელობას. არის ეს თქვენთვის შემწყნარებლობის ზეიმი? ეს ექსტრემისტული პროვოკაციებია და სხვა არაფერი. 1976წელს ლოსანჯელესში ოფიციალურად დაარსდა ლგბტ სიამაყის აღლუმი, რაც მათთვის უკვე ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. მოძრაობას აქვს ასევე საკუთარი „ხატები“. კალიფორნიის საჯარო სკოლის მაღალ კლასებში ყოველ 22 მაისს ჰარვეის რძის დღეს აღნიშნავენ ჰომოსექსუალი აქტივისტების პატივსაცემად. ამას გარდა, ლგბტ აქტივისტებმა მაღალ კლასებში ლგბტ და ტრადიციულ ორიენტაციის მქონეთა ალიანსები დააარსეს. მათი მიზანია, დაამხონ ტრადიციული ქორწინება, ოჯახი და მოახდინონ ამ ფასეულობებზე დაფუძნებული ტრადიციული საზოგადოების გარდასახვა. მედიაში, სამედიცინო და ფსიქიატრიულ სფეროში, ასევე სასამართლოებსა და სეკულარულ კომპოსებში მიღწეული წარმატების შემდეგ ლგბტ ლობისტები მთელი ძალით ცდილობენ, ჩაახშონ ტრადიციული ფასეულობების მხარდამჭერთა აზრი. ახლა ამორალურობა დაკანონებულია და მისი ყველა მოწინააღმდეგე უნდა გაჩუმდეს. გეებისა და ტრადიციული ორიენტაციის მქონე პირების ალიანსი ყველა საჯარო სკოლაში დაშვებულია ახლახან კალიფორნიის შტატში დებატები გაიმართა, რომლის თანახმად, ქრისტიანული კოლეჯები და უნივერსიტეტები ვერ მიიღებენ სახელმწიფო დაფინანსებას, სანამ ისინი ოფიციალურად არ აღიარებენ ერთსქესიანთა ქორწინებას. ბევრი კალიფორნიელი შეეწინააღმდეგა საკუთარი შტატის სოდომიზაციას. კალიფორნიის შტატის მეექვსე, მერვე და ოცდამეორე კანონები ტრადიციული ოჯახის დაცვის მიზნით არის შექმნილი. იმის გამო, რომ მათ დემოკრატიას საყვედური ვერ გამოუცხადეს, ლგბტ საზოგადოებამ ოლიგარქების მხარდაჭერას მიმართა – 2015 წელს გაუქმდა ყველა კანონი, რომლებიც ერთსქესიანთა ქორწინებას კრძალავდა. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებს „სოდომის პროპაგანდის ეროვნული ელჩი ჰყავს“ ყველა იმ ქვეყანაში, რომელსაც ტერორიზმთან ბრძოლაში სამხედრო (ასევე ჰუმანიტარული)

დახმარება სჭირდება. მათთან მიმართებით ლაკმუსის ქაღალდად ლგბტ დღის წესრიგს იყენებს. ჰომოსექსუალისტების პოლიტიკური დღის წესრიგით ავისი შინაარსით ანტირელიგიური და ანტიცივილურია. ისტორიაში არ არსებობს პრეცედენტი, რომელიმე რელიგიას ან ცივილიზაციას ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის ქორწინება დაეკანონებინოს.

დოგმების მსგავსი უხეში დარღვევა ყველა კლასიკურ, რელიგიურ და პოლიტიკურ ფილოსოფიას ეწინააღმდეგება და უფრო მეტიც – თავს ყველა ძველ რელიგიაზე წინ აყენებს. ის იუდაიზმს, ქრისტიანობას, ბუდიზმს და ისლამს უარყოფს. ეს რელიგიები ერთსქესიანთა კავშირებს კრძალავენ. წინაქრისტიანული, ბერძნულრომაული საზოგადოებაც კი არ ეგუებოდა სოდომიას, სოკრატეს სძულდა ეს... ქორწინების ნორმატიული განსაზღვრება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი, ბერძნულრომაულ საზოგადოებას ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია. ასე რომ, ეს არის ადგილი,ს ადაც ჩვენ უნდა შევჩერდეთდა მტკიცედ დავდგეთ. ეს არის წყალგამყოფი. ლგბტ ყველა ტრადიციული რელიგიის წინააღმდეგია. ის უარყოფს მათ კლასიკურ სიბრძნეს... თითქოს მათ არც არასდროს უარსებიათ და ეს სწავლებები მსოფლიოს მოსახლეობის უმრავლესობას არ სწამდეს. მათ სურთ, რომ მთელი ცივილიზაცია მათზე ორიენტირდეს. მათ სურთ, რომ კაცობრიობამ ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილი ცოდნა დაივიწყოს... რათა შემდგომ სოდომის სრული ლეგიტიმაცია მოახდინონ და ეს ქორწინების სახელით ჩაიდინონ. მსგავსი კულტურული რედეფინაცია დამღუპველია! დღევანდელი პოლიტიკოსები ყველა რელიგიური მრწამსის წარმომადგენელს, ვინც ჰომოსექსუალიზმსა და მათ ქორწინებას ეწინააღმდეგება, საკუთარი დოგმის შეცვლისკენ მოუწოდებენ. წარმოგიდგენიათ?! – პოლიტიკოსები თეოლოგები აღმოჩნდნენ! თითქოს რელიგიური შეხედულებები ისევე მარტივად იცვლებოდეს, როგორც პოლიტიკოსების შეხედულებები ან მათი მორალური მრწამსი. ეს არის ამპარტავნობის მწვერვალი. ამჯერადაც, ისე, როგორც ყოველთვის, ამართლებს ანდაზების სიბრძნე, კერძოდ კი: „სიამაყე წინ უსწრებს დაცემას“.

მე ლგბტ რევოლუციის ეპიცენტრში ვიცხოვრე და საკუთარით თვალით ვიხილე ჩემი ერის სირცხვილი და დაცემა ღვთისა და კაცის წინაშე. ეს არის ჩემი მიმართვა ქართველი ხალხის, აღმოსავლეთ ევროპის, აფრიკისა და აზიის იმ ხალხების მიმართ, რომლებსაც ჰომოსექსუალების „ხატმებრძოლეობა“ მიემართება. მტკიცედ დადექით თქვენს რწმენაში ლგბტ რევოლუციის წინააღმდეგ!!! არ დანებდეთ!!! გადაეცით ლგბტ შემწყნარებლობის ტირანებს, ჰომოსექსუალურ მაფიას, ჰომოფაშისტებს, ცისარტყელის რადიკალებს, რომ თქვენ არ მიიღებთ მათ ანტირელიგიურ და ანტიცივილურ პროპაგანდას თქვენს ქვეყანაში. მოგმართავთ ყველას! დაე, ღმერთმა დაიცვას თქვენი ქვეყნები ამ დაცემისაგან! ამინ!“

თბილისი და თბილისელები

დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის „ვერცხლის ქორწილი“

1905 წლის 10 სექტემბერს დავით სარაჯიშვილის და ეკატერინე ფორაქიშვილის ქორწინების 25 წლისთავი — ვერცხლის ქორწილი: საკუთარი სახლის ეზოში (ამჟამად მწერალთა სახლი მაჩაბლის ქუჩაზე) შეკრებილ სტუმართა შორის არიან:

ეს შესანიშნავი მეუღლენი მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდნენ იდეას — მამულიშვილობა და მოქალაქეობა. ისინი თავის ქვეყანასთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ეროვნული პრინციპებით გამოირჩეოდნენ.

მათი ქორწილი გაიმართა 1880 წლის 10 სექტემბერს: 32 წლის უკვე ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ქიმიურ და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორმა დავით სარაჯიშვილმა ჯვარი დაიწერა 18 წლის ეკატერინე ივანეს ასულ ფორაქიშვილზე.

სარაჯიშვილების და ფორაქიშვილების გვარის წარმომადგენლები უძველესი დროიდან თბილისელი მოქალაქეები იყვნენ და ქართული ოჯახის ადათ-წესებს მტკიცედ იცავდნენ.

დავით სარაჯიშვილმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. ფილოსოფიის და ქიმიის დოქტორის ხარისხის მოპოვებით ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში იგი არ კმაყოფილდება, შეისწავლა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება და შემდგომ საფრანგეთში მეღვინეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით კონიაკის წარმოება. ის იყო საქართველოში კონიაკის სამრეწველო წარმოების პირველი დამფუძნებელი, სამრეწველო კაპიტალის ფუძემდებელი.

ეკატერინე ფორაქიშვილი შეძლებული ოჯახის ქალიშვილი იყო და საუცხოო განათლება მიიღო. ზედმიწევნით კარგად იცოდა მშობლიური ენა, რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული. იგი იყო არა მარტო ფრიად განათლებული, არამედ მეტად ზრდილი და ბუნებით მაღალგონიერი, სათნო, შრომისმოყვარე, ლმობიერი, ქართული კულტურის დიდი მოამაგე.

სწორედ ამ გარემოებამ და ეკატერინეს ფიზიკურმა სრულყოფამ განაპირობა მათი შეუღლება. ილია ჭავჭავაძემ თავისი პორტრეტი მიართვა წარწერით:

ამ ლექსს გიწერ ჩემს სახსოვრად,
შიგ გაგიხვევ მე ჩემს გულსა,
საც ვინახავ, ვით მარგალიტს
შენსა დაძმურ სიყვარულსა.

სახლის გახსნის ზეიმზე 1905 წელს აკაკი წერეთელმა ექსპრომტად ლექსი წაუკითხა შესანიშნავ ცოლ-ქმარს:

განგებამ მოგცათ სუყველაფერი!
ნუ სწუხართ იმას, რომ
ხართ უშვილო,
ნუთუ არ კმარა შვილად
და ძირად
თქვენთვის სამშობლო
და საქართველო!

მართალია, მათ საკუთარი შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ დ. სარაჯიშვილი მეუღლეს ანუგეშებდა: „განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწვრთნელი და განსწავლული, ჩვენი შვილები არ არიან?!“ მათი სტიპენდიანტები იყვნენ ქართველი ერის საამაყო შვილები: დ. არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხვერაშვილი, მოსე თოიძე, გიგო გაბაშვილი, გრიგოლ მესხი, იაკობ ნიკოლაძე, ვანო სარაჯიშვილი, ვალერიან ქაშაკაშვილი, სოლომონ ჩოლოყაშვილი, მიხეილ შალამბერიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სარგის კაკაბაძე, მოსე ჯანაშვილი, არჩილ ქართველიშვილი, კათოლიკოსი კალისტრატე ცინცაძე და ბევრი სხვა.

საქართველოში არ ყოფილა დიდი თუ პატარა საზოგადოებრივი წამოწყება, რომ სარაჯიშვილების ოჯახს მასში არ მიეღო აქტიური მონაწილეობა. საცხოვრებელი სახლი ნამდვილ ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა, მათთვის უმთავრესი იყო ნიჭი, შრომისმოყვარეობა, საქმის ერთგულება, სამშობლოს სიყვარული.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წლის 20 ივნისს თბილისში, საკუთარ სახლში. თავისი ქონება დაუტოვა ქართველ ერს, რომელმაც დიდი გულისტკივილით დაიტირა უდიდესი მოღვაწე. „მთელ საქართველოში კიდით კიდემდე ზარის ხმად გაისმის დათიკოს სიკვდილი“, — წერდა აკაკი წერეთელი.

მსოფლიოს მრავალი კუთხიდან უამრავი დეპეშა და გვირგვინი, მათ შორის 30 ვერცხლის, მოვიდა.

დავითის სიკვდილმა დიდად დაამწუხრა ეკატერინე. „ჩემი გულიც მასთან დაიკრძალაო“, — უთქვამს მას.

ქმრის გარდაცვალების შემდეგ მთელი მისი საქმიანობა, როგორც მეურნეობის გაძღოლა, ისე საქველმოქმედო საქმეები, ოჯახის მოვლა და სხვა მთლიანად ტვირთად დააწვა ეკატერინე ივანეს ასულ ფორაქიშვილს. 50 წელს მიღწეულმა მან დიდი სიმხნევე გამოიჩინა და ხუთი წლის განმავლობაში შესანიშნავად უძღვებოდა მთელ საქმიანობას. ეკატერინე არ ჩამოუვარდებოდა თავის მეუღლეს ქვრივ-ობოლთა შემწეობის საქმეში, იყო ნიჭიერი ახალგაზრდების მფარველი და იმედი, აფინანსებდა საზღვარგარეთ მათ სწავლას, ისევ აწყობდა თავის სახლში შეხვედრებს, ის დღე მიაჩნდა ბედნიერ დღედ, როცა კეთილ საქმეს მოაგვარებდა და პატრიოტულ საქმეს გააკეთებდა.

ეკატერინე გარდაიცვალა 1916 წლის 5 აგვისტოს თავისი ძმის ადამ ფორაქიშვილის ხელში.

ეკატერინე ფორაქიშვილი დიდი ცერემონიალით დაკრძალეს განსვენებული მეუღლის გვერდით დიდუბის პანთეონში.

დავით სარაჯიშვილის მსგავსად, ეკატერინემ თავისი ქონება უანდერძა ქართველ ერს.

ამ შესანიშნავმა წყვილმა შექმნა ოჯახი, რომელიც დღემდე ქართულ სინამდვილეში არნახული მამულიშვილობის და ქველმოქმედების მაგალითია. მათი ცხოვრება ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შეგტკიოდეს გული მისი უკეთესი მერმისისათვის.

ფორაქიშვილების ისტორიული დარბაზი მდებარეობს ჩეხოვის ქუჩის 1-კში. დღეს ის უკვე გადაკეთებულია, მაგრამ წარმოადგენს ერთადერთ ნიმუშს თბილისში ოდესღაც ფართოდ გავრცელებული საცხოვრებელი სახლის დარბაზული ტიპისა.

სწორედ ფორაქიშვილის გვარის, რომლის გენეალოგია არაერთ საუკუნეს ითვლის, დამსახურებაა დღემდე შემონახული ეს უნიკალური თბილისური დარბაზი.

მისი პირვანდელი სახე გადმოცემულია გერ-





მანელი ბერლინელი ხუროთმოძღვრის და მხატვრის კარლოს ცაარის მიერ 1903 წლის 30 სექტემბერს შესრულებულ ნახატზე. კარლოს ცაარი სტუმრად იმყოფებოდა დავით სარაჯიშვილთან, რომლის მეუღლემ ეკატერინე ფორაქიშვილმა აუცილებლად ჩათვალა ეჩვენებინათ მისთვის ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციების მატარებელი ძეგლი — ფორაქიშვილების დარბაზი. კარლოს ცაარის ნახატი საშუალებას გვაძლევს ზუსტად აღვიდგინოთ თბილისური დარბაზების ამ უნიკალური ნიმუშის თავდაპირველი სახე. ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის აუცილებელი და ნიშანდობლივი ელემენტის ხის გვირგვინი ზემოთ დატანებული სანათურით. უმრავლესად გვირგვინი ოთხ ან რვაწახნაგოვანია. ფორაქიშვილების დარბაზი — თორმეტწახნაგოვანია და ამით არის უნიკალური.

ფორაქიშვილების დარბაზი ორბოძიანია და ქართული დედაბოძების ნაკლებ გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს; დარბაზი კუთხური წყობისაა — „მერცხლბუდურა“ 12-წახნაგოვანი გვირგვინით და შუაში გადახურული ერდო სარკმლით.

საქართველოში, ფორაქიშვილების თბილისური დარბაზის მსგავსად, 12-წახნაგოვანი გვირგვინით ცნობილია მხოლოდ ყარაგაჯის დარბაზი წითელქალაქში. ამ ორი მაგალითის გარდა, 12-წახნაგოვანი გვირგვინული გადახურვით, ჯერჯერობით არ არსებობს სხვა მაგალითი დარბაზების გავრცელების ფართო ზონაში — კორეიდან — ეგეოსის ზღვის ნაპირამდე.

ფორაქიშვილების ისტორიული დარბაზი ქართული საყოფაცხოვრებო სახლების ხუროთმოძღვრების ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

სურათზე: I რიგი: 1. გენერალი თომა ჯომარგიძე 2. მიხეილ ჯომარგიძე 3. კანტორის თანამშრომელი 4. აკაკი წერეთელი 5. მარიამ ჩოლოყაშვილი 6. ნიკოლოზ ტარსაიძე 7. მიხეილ ტარსაიძე 8. ალექსანდრე ტარსაიძე 9. ალექსანდრე სარაჯიშვილი 10. ფორაქიშვილი 11. გავრილოვი (კანტორის თანამშრომელი); II რიგი: 1. ტრეგულოვა — მოსწავლე 2. ფორაქიშვილის ასული 3. ადამ ფორაქიშვილი 4. ელისაბედ ტარსაიძე 5. დავით ერისთავი 6. ელენე მაჩაბელი; III რიგი: 1. ალექსანდრე რატიშვილი 2. ივლიტა ვაჩნაძე-ფორაქიშვილისა 3. თინათინ ვაჩნაძე-ფორაქიშვილისა 4. ნინო რატიშვილი 5. ანასტასია მაჩაბელი 6. ნიკოლოზ მაჩაბელი 7. ალექსანდრე რატიშვილი; IV რიგი: 1. პოლკოვნიკი გ. ქართველიშვილი 2. გენერალი ნიკოლოზ ერისთავი 3. ეკატერინე სარაჯიშვილი-ერისთავისა 4. დავით სარაჯიშვილი 5. ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა 6. მარიამ მდივანი 7. ელისაბედ თარხნიშვილი 8. მელიქიშვილი 9. ბათიკო თავაძე 10. სოფიო გაბაშვილი-სარაჯიშვილისა; V რიგი: 1. უცნობი 2. უცნობი 3. მარიამ ფორაქიშვილი-ქართველიშვილისა. 4. მელიქიშვილი 5. ... 6. ... 7. არტურ ლაისტი 8. ალექსანდრე ირბელიანი 9. ვალერიან გუნია 10. მარიამ სარაჯიშვილი-ერისთავისა 11. ნინო საგინაშვილი-მდივანისა 12. ელისაბედ სობოდევსკაია-მდივანი 13. ალექსანდრე ცაგარელი 14. რუსუდან ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა 15. ანასტასია ერისთავისა;

VI რიგი: 1. ალექსანდრე სარაჯიშვილი 2. ასლან მდივანი 3. ... 4. ნატო გაბუნია-ცაგარელი 5. ნიკოლოზ საგინაშვილი 6. ჩოლოყაშვილი 7. ნიკოლოზ ტარსაიძე (მოსამართლე) 8. გენერალი ივანე საგინაშვილი 9. დავით ფორაქიშვილი 10. გიგო გაბაშვილი

სურათზე აღბეჭდილ პერსონალიებზე ინფორმაცია მოგვაწოდა ქ-ნმა ნინო საგინაშვილმა

საქართველო უპირველეს ყოვლისა...

შალვა აბაშიძე

სამშობლოს ერთიანობის დამცველი

ერიან ადამიანები, რომელთა სახელებიც დავიწყებას არ მიეცემიან. ასეთ ადამიანთა რიგებს მიეკუთვნება რასიყ სულეიმანის ძე ბერიძე – ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი.

რასიყ ბერიძე დაიბადა 1868 წელს ქედის რაიონის დანდალოს თემის სოფელ გორგივლში. მისი შვილიშვილის, ნოდარ ბერიძის ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძის მამა სულეიმანი ადრე გარდაცვლილა. მამის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ დედა გათხოვილა და მცირეწლოვანი რასიყიც თან წაუყვანია. მამინაცვალი მეტად კეთილი ადამიანი ყოფილა. ერთხელ სოფლის ცენტრში, სადაც მუდამ ხალხმრავლობა იყო, სოფლის მოლას ხალხთან საუბრისას უთქვამს, რომ ეს პატარა ბიჭი მეტად გონიერია, ეს რომ ობოლი არ იყოს და ღვიძლი მამა რომ ჰყავდეს, მისგან კაცი გამოვიდოდაო. როცა რასიყის მამინაცვალს მოლის ნათქვამი უთხრეს, სწყენია და გადაუწყვეტია, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, რასიყისთვის კარგი განათლება მიეცა. მამინაცვალს გაუყიდია პირუტყვი. საკმაო რაოდენობის ფული შეუგროვებია და 16 წლის რასიყი სტამბოლს გაუგზავნია. სწავლა დაუწყია სასულიერო სასწავლებელში. ბინად კი მასწავლებელთან გაჩერებულა. როცა სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, მას სწავლა გაუგრძელებია სამართალმცოდნეობისა და ფილოსოფიის სპეციალობაზე. სწავლის დამთავრების შემდეგ სტამბოლში დაუწყია ადვოკატად მუშაობა.

რასიყს სტამბოლში 16 წელი უმუშავია და იქ სწავლის დროს რასიყი დაინტერესებულა მუჰაჯირთა ცხოვრების პირობებით და ხშირად მოგზაურობდა ქართველებით დასახლებულ ქალაქებსა და სოფლებში, იწერდა ქართველებით დასახლებული ადგილების ტოპონიმებს, მათ გვარ-სახელებს, ინტერესდებოდა მათი ყოფა-ცხოვრებით, ათვალიერებდა უძველეს ქართულ ეკლესიებსა და ნაეკლესიარებს, ციხეებს, რომლებიც თურქების მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე იყო. ყველა ამ ჩანაწერს თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნებასთან დაკავშირებით რასიყი მალულად ინახავდა, რომლებიც შემდგომ გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ 1945 წლის 28 დეკემბერს და გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ 1945 წლის 30 დეკემბერს.

რასიყ ბერიძე 1900 წელს სამშობლოში დაბრუნდა და დაოჯახდა. ცოლად შეირთო დიასამიძის ქალი, რომელთანაც 74 წელი გაატარა. მათ შეეძინათ ხუთი შვილი. რასიყმა მშობლიურ მხარეში სასულიერო საქმიანობა დაიწყო – მუშაობდა ქედისა და ხულოს რაიონების სხვადასხვა სოფელში, ხოლო მოგვიანებით – აჭარის ყადის თანამდებობაზე. არჩეული იყო „ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს“ წევრად.

რასიყ ბერიძეს სასულიერო საქმიანობისას ჰქონდა სერიოზული უთანხმოება იმ დროისათვის მოქმედ მეჩეთში მოღვაწე ხოჯა-მოლებთან, რომლებსაც უნდოდათ მისი – პროგრესულად მოაზროვნე ხელმძღვანელის თავიდან მოცილება. მთავრობა ყოველთვის აკვირდებოდა სასულიერო პირების მუშაობას. „რწმუნებულის 1951 წლის ერთ-ერთი ანგარიშიდან ჩანს, რომ რასიყ ბერიძე ორი თვის განმავლობაში არ გამოცხადებულა სამსახურში ავადმყოფობის მიზეზებით, რეალურად კი მეჩეთის მმართველებს შორის არსებული უთანხმოების გამო რასიყ ბერიძეს გადად-



გომაც გადაუწყვეტია და ბაქოში შეიხ ისლამთან განცხადების დაწერასაც აპირებდა ამასთან დაკავშირებით“.

რასიყ ბერიძე „წინააღმდეგობებს მორიდებია და წერილი აღარ გაუგზავნია“. სამაგიეროდ, ბაქოში წერილის გაგზავნა დაუსწრიათ მის მოწინააღმდეგეებს – მოეზინ მიქელაძეს და მოლარე დიასამიძეს, რის საპასუხოდაც ბაქოდან რასიყ ბერიძეს სთხოვეს ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტებით ბარათში ჩანს რასიყ ბერიძის დამოკიდებულება რელიგიური აღმსარებლობის ცალკეული საკითხებისადმი. ჩანს, რომ იგი სავალდებულოდ არ მიიჩნევს რამაზნის მთვარეში მარხვას, რადგან „მუშამ რომ იმარხოს, სამუშაოს დააკლდებაო, ამიტომ „რამაზნის მთვარეში“ მორწმუნეებს უფლება აქვთ ჭამონ, ანუ სეფერი ქნან და სამაგიეროდ სხვა დროს იმარხონ“ (ასს. ცსა. ფ. ი. 97, ან 1,23. ფურც. 27).

რასიყ ბერიძე აგრეთვე გამოდის ჩადრის ტარების წინააღმდეგაც. მისი აზრით, ქალების 90 პროცენტი ჩადრს ატარებს, რასაც მუსლიმანური საზოგადოება არ ითვალისწინებს და ის ძველი ხოჯების მოგონილიაო, ამიტომაც გადაწყვიტა „ლექტორობა: აგიტაცია ჩადრის ტარების წინააღმდეგ“. რასიყ ბერიძე ანგარიშს უწევს დროის მოთხოვნებს და ცდილობს რეალობასთან ადაპტაციას. ამიტომაც ყოფს ხოჯებს „ძველებად“ და „ახლებად“ და ცდილობს „მორწმუნეებში შეგნების შეტანას“. სწორედ ამიტომ ზოგიერთი ფანატიკოსი ხოჯა და მოლა განუდგა რასიყ ბერიძეს და იგი „უღმერთოს სახელით მონათლეს“. ზოგიერთების მოლები რამდენადაც გაართულებდნენ რელიგიური რიტუალების შესრულებას, ეგონათ, რომ მეტი სახელი ექნებოდათ საზოგადოებაში. მათ საკმაო რელიგიური განათლება არ ჰქონდათ, რასიყ ბერიძეს კი საკმაოდ ღრმა განათლება ჰქონდა მიღებული.

რასიყ ბერიძე სავალდებულოდ არ მიიჩნევდა წინადაცვეთას. იგი მორწმუნეებს განუმარტავდა, რომ „ბავშვის დასუნნეთვა სავალდებულო არ არის“. არც მუსლიმანური სახელის ქართული სახელით შეცვლას მიიჩნევს ცოდვად. რასიყ ბერიძე ყველაფერს აკეთებდა ქართული ცნობიერების გაძლიერებისათვის.

ამ ფაქტების გამო იზრდებოდა ბათუმის მეჩეთში წინააღმდეგობა რასიყ ბერიძესა და დანარჩენ რელიგიის მსახურთა შორის. წინააღმდეგობა იქამდე მივიდა, რომ რასიყ ბერიძეს ხელფასი 350 მანეთიდან 100 მანეთამდე შეუმცირეს. ისინი რასიყს ბრალს სდებდნენ „მუსლიმანობის გაადვილებაში“. მათი სურვილი იყო „ურწმუნო ხოჯის რასიყ ბერიძის“ თავიდან მოცილება, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე დიასამიძე, რომელიც მეჩეთის მოლად მუშაობდა, 1948 წლიდან გადაიყვანეს სხვაგან სამუშაოდ.

რასიყ ბერიძე სასულიერო საქმიანობას მოხერხებულად უხამებდა საზოგადოებრივს. მას მრავალი წერილი გამოუქვეყნებია გაზეთებში აქტიური ცხოვრების საკითხებზე. ის აქვეყნებდა წერილებს თურქეთში მცხოვრები ქა-

რთველების ტრადიციებსა და ყოფა-ცხოვრებაზე, ახალი წლის რიტუალებზე (მჭადზე ჯვრის დასმა, კვერცხის წითლად შეღებვა), ქართული ენის შენარჩუნების, ქართული მიწების დაბრუნების საკითხებზე. შვილიშვილის, ნოდარ ბერიძის, გადმოცემით, მისი ნაწერები სტალინსაც კი გამოუყენებია. რასიყს მეორე მსოფლიო ომის დროს იოსებ სტალინისგან მიუღია წერილი – „ილოცეთ ჩვენი გამარჯვებისათვის“.

რასიყ ბერიძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქვეყნოდ ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან ზაქარია ჭიჭინაძესთან, აკადემიკოსებთან სიმონ ჯანაშიასთან და ნიკო ბერძენიშვილთან.

საოჯახო ჩანაწერების მიხედვით, ნოდარ ბერიძის გადმოცემით, იოსებ სტალინს თურქი მწერლის ნაზიმ ჰიქმეთისათვის შეუთავაზებია ომის შემდგომი დემოკრატიული თურქეთის პრეზიდენტობა იმ შემთხვევაში, თუ თურქეთის ქართველებს მიეცემოდათ ავტონომია და რეფერენდუმის საფუძველზე ისტორიული ქართული მიწები დაუბრუნდებოდა დედა-სამშობლოს. ასეთი პოლიტიკა უნდა გატარებულიყო აზერბაიჯანშიც საინგილოს დაბრუნების მიზნით. ჩანაწერების მიხედვით, რასიყ ბერიძე წყევლით მოიხსენიებდა ნ. ხრუშჩოვს, რომელმაც ოფიციალურად თქვა უარი თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. იგი ხრუშჩოვს „უზნეობის ზენიტს“ უწოდებდა.

შვილიშვილების გადმოცემით, რასიყ ბერიძე იყო მეტად მკაცრი, მაგრამ კაცთმოყვარე და სამართლიანი. მას ეჯავრებოდა ბოროტი, ტყუილის მთქმელი. ის ყოველთვის ეხმარებოდა ქვრივ-ობლებს და ღარიბებს. მან ითავა სოფლის ობოლ ბავშვთა მეურვეობა. სოფელ დანდალოში ხოჯის მოვალეობის შესრულებისას შეამცირა შესაწირავის რაოდენობა სოფლის მეჩეთისათვის. სოფლის ბეგებს და ხოჯებს არ მოსწონდათ რასიყ ბერიძის ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება მოსახლეობისადმი. ამის გამო იყო, რომ ერთ საღამოს, როცა სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა, სასიკვდილოდ გაიმეტეს და ესროლეს, მაგრამ იგი ღმერთმა არ გასწირა – ფეხში დაიჭრა და გადარჩა.

რასიყ ბერიძე 1974 წელს გარდაიცვალა 106 წლის ასაკში. სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე. მათ დარჩათ დიდი შთამომავლობა.

რასიყ ბერიძეს არ აუსრულდა მისი სანატრელი ოცნება ქართული მიწების დაბრუნების თაობაზე, რის შესახებაც 1945 წლის 28 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა წერილი „თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი“. მკითხველს ვთავაზობთ აღნიშნული წერილის ამონარიდს:

„... ქართველი ხალხი თავისი ისტორიის მანძილზე მამაცურად იგერიებდა ყველა სახის უცხოელ ურჩხულთ, ანადგურებდა მათ სამართლიანობისათვის ბრძოლაში, არ ზოგავდა თავის ძალ-ღონეს, რათა უზრუნველეყო თავისი ქვეყნის ეთრობა, მაგრამ ჩვენი სამშობლოს – საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XV საუკუნეში. ეს იყო დრო, როდესაც საქართველოს მეზობლად შექმნილმა თურქეთის სახელმწიფომ თავის დამპყრობლური სურვილების განხორციელების მიზნით უშუალოდ დაიწყო ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა.

ოსმალო-თურქებმა ბიზანტიის დაპყრობისა და მისი დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ იერიში მოიტანეს სამხრეთ საქართველოზე და ქართველთა ტომებს ლაზ-ჭანებს და სხვებს შეუქმნეს სასიკვდილო საფრთხე. 1462 წელს თურქებმა აიღეს ლაზთა ქალაქი ტრაპიზონი და ისწრაფოდნენ ხელში ჩაეგდოთ მთელი სამხრეთი საქართველო. ქართველები თურქების წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდნენ თავისი საკუთარი მიწა-წყლისთვის, მაგრამ რიცხვით მეტ ძალებს ვერ გაუმკლავდნენ. თურქებმა დიდი მსხვერპლის ფასად ჩვენი მხარე საქართველოს მოსწყვიტეს და დაამყარეს აქ თავიანთი სახელმწიფო ადათები. მაგრამ ჩვენი ხალხი ამ უცხო წესებს ვერ ურიგდებოდა და მუდამ იყო სისხლისღვრა და ბრძოლა. ამას ადასტურებს ისტორია.

ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი სამხრეთი საქართველო, თავის წიგნში მოჰყავს მუფტი ხოჯის, ახმედ ეფენდი ხალილაშვილის ნაამბობი: „ძველად ხოჯა ხერხეულიძე ასე იტყოდა, რომ ნახევარი ზეგანი ფოცხოვისა და ქვაბლიანისკენ გაწყდა ბრძოლაში, რადგანაც არ თათრდებოდნენ. დანდალომ ზეგანს მიბაძა და ამიტომ გაწყდნენ ისინიც ბრძოლაში. დანდალოს აჭარამ მიჰბაძა და აჭარაშიც დიდი სისხლი დაიღვარა“.

ოსმალების მიერ ჩვენი ტერიტორიისა და ქართველი ხალხის ნაწილის დაპყრობის შემდეგ გავრცელებულ მუსლიმანურ სარწმუნოებას – ისლამს არ გამოუწვევია ქართული სისხლის შეცვლა და ეროვნული განადგურება.

ქართველი მუსლიმანნი და ქართველი ქრისტიანები ძმები არიან, მიუხედვად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებენ.

დიდ საბჭოთა კავშირში მრავალ სხვა სარწმუნოების ხალხებთან ერთად არიან ისლამის სარწმუნოების მიმდევრებიც, რომელნიც თავისუფლად ასრულებენ მუსლიმანურ წესებს ყურანის შესაბამისად. ჩვენთან, აჭარაში არსებულ ჯამეებში მორწმუნენი ასრულებენ თავიანთ ლოცვებს და კითხვებს. ჩვენ არ ვგრძნობთ არავითარ შევიწროებას. ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, თავის სარწმუნოების წესების შესრულება ყველას შეუძლია. ჩვენ ჩავატარეთ მუსლიმანთა ყრილობა და კრებები, მოვუწოდეთ ყველა მუსლიმანს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ერთად ქართველი მუსლიმანები მხურვალედ ეხმარებოდნენ ფრონტს საერთო მტრის გასანადგურებლად. ქართველმა მუსლიმანებმა ყველგან იციან, რომ ისინი ნამდვილი ქართველები არიან და ეროვნებით ერთ ერს – ქართველ ერს ეკუთვნიან, რომ სარწმუნოებით განსხვავება მათ ეროვნულ გათიშვას ვერ გამოიწვევდა და ვერც ვერასოდეს გამოიწვევს. თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი მუსლიმანები, ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. მათთვის კარგად ცნობილია, რომ ქართული ეროვნების ეს მოსახლეობა თურქებმა მოსწყვიტეს დედა-სამშობლოს.

ქართველებმა საკუთარი სამშობლოს

დაცვისათვის დაღვრილი სისხლის შედეგად შეინარჩუნეს თავისი არსებობა, კულტურა და სახელმწიფოებრიობა.

ქართველი მუსლიმანების საგრძნობი ნაწილი, რომელსაც ცხოვრება უხდება თურქეთის მიერ საქართველოსაგან ძალით მოწყვეტილ ტერიტორიაზე, სრულიად მოკლებულია მშობლიურ ენაზე ლაპარაკსაც კი. ეს ქართველი მუსლიმანები დიდი ხანია გულის ფანცქალით მოელიან საკუთარი სამშობლოს მთლიანობის აღდგენას, რადგან, როგორც გვიწერია ჰედისში, „სამშობლოს სიყვარული ყველა მუსლიმანის აუცილებელი მოვალეობაა“. ქართველი მუსლიმანები, რომელნიც მოქცეულნი არიან თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს ტერიტორიაზე, დიდი სიხარულით შეხვდებიან მათი სამშობლო ადგილების საქართველოსთვის დაბრუნებას.

ყველასათვის და თვით თურქეთისთვისაც ცნობილია, რომ საქართველოს მიწა-წყალი სცილდება ტრაპიზონს, გიუმიშხანეს, ბასიანის მიდამოებს, ჭოროხ-ტრაპიზონის კოლხეთს, რომელსაც შერჩენილი აქვს დასავლეთ კოლხეთის სახელწოდება. თვით კონსტანტინოპოლის თურქებიც კი ტრაპიზონს „ლაზთა საბრძანებლოს“ უწოდებდნენ.

ქართველ მუსლიმანთა ეროვნული ნიშნების მოსპობის მიზნით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გატარებული მრავალი ღონისძიების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში ქართველი მოსახლეობის თურქეთის შორეულ რაიონებში გადასახლების ეროვნული დამცირებისა და ამ ადგილებში ქართულ სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, აქ მაინც შერჩენილია უამრავი ქართული სახელწოდება. მაგალითად, ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ჯანიქ-სანჯაყი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ეს ადგილი ჭანებისა, ე. ი. ლაზებისაა. იმერხევი, მიქელეთი, ნოღეთი, მარიშ სკირი, ოფუტე, ოხვამე და სხვა მრავალი ქართული სახელწოდება ახლაც არის ხმარებაში. აღსანიშნავია აგრეთვე ქართული ქრისტიანული ჩვევების არსებობა, როგორიცაა: ახალი წლის შეხვედრა, კვერცხის შეღებვა და სხვა.

ამრიგად, სამხრეთმა საქართველომ, მიუხედავად თურქეთის ბატონობისა, უკანასკნელ ხანებამდე ქართულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებთან ერთად შეინარჩუნა ქართული ენა და ადათ-ჩვევებიც.

ქართველ ხალხს, პირველ რიგში, ქართველ მუსლიმანებს, არასოდეს არ დაავიწყდებათ თურქეთის ვერაგული თავდასხმა საქართველოზე 1920-21 წლებში, როცა მათ მოახდინეს არტაანის, ართვინის ოლქებისა და ბათუმის ოლქის ნაწილის ოკუპაცია. მრავალი მუსლიმანი ქართველი გაჟლიტეს მაშინ თურქებმა, მრავალი მათგანი აყარეს და შორეულ რაიონებში გადაასახლეს.

ქართველი ხალხის, მათ შორის ქართველი მუსლიმანების ნება-სურვილია გამოთქმული ჩვენი მეცნიერების:, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილში, რომელიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. თურქმა მოძალადეებმა უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მიწა-წყალი: არტაანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმიშხანეს რაიონები და აღმოსავლეთი ლაზისტანი ტრაპიზონისა და გირესუნის რაიონების ჩათვლით.

ქართველო მუსლიმანებო! ვთხოვოთ დიდ ღმერთს, რომ ჩვენი საუკუნეობრივი სურვილი შესრულდეს და სამუსლიმანო საქართველო მთლიანად შეუერთდეს თავის დედა-სამშობლოს – საქართველოს და გახდეს მონაწილე თავისი ძმების ერთიანი ოჯახისა, ამინ!

რასიყ სულეიმანის ძე ბერიძე,
ამიერკავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წევრი,
აჭარის ყადი.
„კომუნისტი“, 28/XII, 1945 წ.

იუბილე

რაინდი



დიდ შემოქმედს, გამოჩენილ მსახიობს, რომელმაც მრავალი დაუვიწყარი სახე შექმნა ქართულ კინოხელოვნებაში, ბატონ ელგუჯა (გუჯა) ბურდულს საიუბილეო თარიღს მთელი საქართველო ულოცავდა. მან გაიარა დიდი და საინტერესო ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა, შექმნა სამაგალითო ოჯახი, გაზარდა სამი ხელოვანი – რეჟისორი, მუსიკოსები, სწავლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, იყო მაშვები თბილისის ზღვაზე, საქართველოს სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი... 1984 წლიდან კი „ქართული ფილმის“ მსახიობია.

ე.ბურდულის კინოროლები ფილმებში: „ბეღურების გადაფრენა“, „ანთიმოზ ივერიელი“, „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“, „უძინართა მზე“... სამსახიობო ხელოვნების მარგალიტებია. მისი გმირების გალერეა – ქარველი კაცის – რაინდის, მეცნიერის, მისიონერის, სპორტსმენის, რომანტიკოსის გამოვლინებაა, ემოციის, სიბრძნის, უშუალობის, ნიჭის სრულყოფილი შერწყმაა.

ბატონ ელგუჯა ბურდულის საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში ქართული საზოგადოების ზეიმად იქცა. მსახიობმა გააერთიანა წარსული და აწმყო, მთა და ბარი, მასთან მოვიდა მთელი საქართველო.



ვერნისაჟი

სულის ძიებანი

2016 წლის 20 იანვარს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა დეკანოზ ალექსანდრე ჩახვაშვილისა და ბუდუ სირბილაძის უჩვეულო გამოფენა. შალვა ამირანაშვილის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში მასპინძლობდნენ თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებული მხატვართა გაერთიანებას „სამეფო პალიტრას“, რომლის მუდმივი ხელმძვანელია ცნობილი ფერმწერი, პორტრეტისტი ბუდუ სირბილაძე.

ქართველ მეფეთა, გმირთა, წმინდანთა, საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები, მაღალი ოსტატობა პროფესიონალიზმი, დახვეწილობა, ორიგინალური ხედვა, ტრადიციებისა და ნოვაციების შერწყმა ქართულ ხატწერაში მრავალი თაყვანისმცემლის, კოლეგების, შეგირდების, კრიტიკოსების, მწერლების ყურადღება მიიპყრო.

მამა ალექსანდრე და ბუდუ სირბილაზე

მამა ალექსანდერემ (წმ. მიხეილ ტვერელის წინამძღვარმა) და ბუდუ სირბილაძემ გადაგვიშალეს სულის ძიებანი, ამაღლებული გულისთქმა, სილამაზის, თავგანწირვის, გმირობის, თვადადების ხოტბაში, ქვეყნის მხატვრული ენციკლოპედიის შექმნაში.

ეს გამოფენა იქცა ქართველი კაცის, საქართველოს აპოთეოზად, შემოქმედების, ფერწერის ზეიმად, სიყვარულის ჰიმნად.

დავით თარხან-მოურავი, თემო გოცაძე

მამა ზაქარია, სამღვდელოება საგამოფენო დარგაზში

საკრებულოს ქრონიკა

„... ვართ ჯარისკაცები რწმენისა“

2016 წლის 3 იანვარს საქართველოს საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრით საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი, ნიკო ბაგრატიონის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმის დირექტორი, ჟურნალისტი ია ბაგრატიონ-მუხრანელი და დალოცა თავად-აზნაურთა საკრებულოს წევრები, რომლებიც მზად არიან ჯარისკაცებივით დაიცვან რწმენა და პატრიარქი.

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს ვაჟეეოჯის ვანცხადება

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს გამგეობა უფლებამოსილია განაცხადოს: მავანნი, შეპყრობილნი განდიდების მანიით, უზნეო ზრახვებით, ქვენა გრძნობებით, ჭორებზე, ყალბ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამგეობის წევრებზე ავრცელებენ საზოგადოებისთვის მიუღებელ ცნობებს, რომლებიც ჭეშმარიტებას არ ასახავს.

ყველა ჩვენი წევრისათვის მთავარი იყო და არის რწმენა, ქართული ეკლესია, უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოსპატრიარქის, ილია 11-ის კურთხევით ვიცავდით და ვიცავთ ქართულ ტრადიციას, ქართულ ოჯახს, ეროვნულ იდეოლოგიას, ქართულ ძეგლებს. ვგმობთ სოდომურ ცოდვებს, ქართულ ფასეულობათა რღვევას, ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების დაკნინებას. ყველა ცილისმწამებელს ვაფრთხილებთ: სიცრუე, ცილისწამება დასჯადია ღვთისა და კანონის მიერ!

გამგეობა

შალვა ამირეჯიბი

პოლიტიკური კრიზისი საქართველოში

საქართველო სასტიკ პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. იგი გამოწვეულია ერთის მხრივ მთავრობის ყოფაქცევით, როგორც ამას გაზეთი ,,იმერეთიც" აღნიშნავს, მეორეს მხრივ — საქართველოში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებით. ჩვენ ვცხოვრობთ კოლექტიურ აზრსა და დისციპლინას მოკლებულ დროს. ეროვნული პოლიტიკის უქონლობა წითელი ზოლია, რომელიც ჩაჰქსოვია ყოველ მოვლენას, რომელსაც კი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ბეჭედი აზის. მონობასთან ბრძოლა დღეს, პოლიტიკურ პარტიებისათვის, მთავრობასთან კავშირით შეიცვალა და გუშინდელი ნაზარეთი დღეს აღთქმის ქალაქად იქცა, საიდანაც ურწმუნონიც კი მესსიას მოელიან. მთელი საქართველო გახრწნილ ლაზარეს დაემსგავსა, რომლის მეგობრებს კიდევ სურთ მისი აკლდამაში შეგდება.

სრული უქონლობა ეროვნულ პროგრამისა დამახასიათებელი თვისებაა მომენტისა, თვით ეროვნული იდეა, რომელიც სულ ახლო წარსულში საკამათო საგნად ითვლებოდა, იმაც წარსულის წყალობით, დღეს სასტიკ სუბორდინაციას განიცდის. ცნება ერისა და ეროვნული მოთხოვნილებანი დღეს რთულ თეორიულ და აბსტრაქტულ სოციალურ სისტემებს ექვემდებარება და ეროვნული პოლიტიკა, თავის ბუნებით ლაღი და ფრიად პერმანენტული, უძრავად სდგას სასტიკ რეაქციის ჭაობში ჩაფლული. ეს სუბორდინაცია არის, რომ ჰქმნის პოლიტიკურ კრიზისს. აიღეთ თანამედროვე ქართული პროგრამები: შიგ ნახავთ სოციალიზმსაც და ფედერალიზმსაც. რვა საათის სამუშაო დღესაც და მუშათა დაზღვევას, მაგრამ თქვენ ვერ ნახავთ, რომ ეს პროგრამები იძლეოდნენ პრაქტიკულ დასკვნებს, რომელიც საჭირონი არიან ყოველ ქართველისთვის მათს მძიმე ცხოვრებაში და ბრძოლაში. აღზრდა ქართველის მოქალაქისა სულით და ხორცით, ნათელის მსოფლმხედველობით და უდრეკ პატრიოტიზმით — აი, რა უნდა იყოს დანიშნულება ამ პროგრამებისა, რასაკვირველია, იმის გარდა, რომ ეს პროგრამები ამასთანავე სავსებით უნდა გამოხატავდნენ ქართულ პოლიტიკურ მისწრაფებას. ნამდვილად კი, ამის ნაცვლად ისინი გვიზრდიან, რაღაც ,,მსოფლიო მოქალაქეთ" ამ მსოფლიოს ვითარების სულ მდარე ცოდნით. და ამრიგად, რაც უფრო ,,აფართოვებენ" ეს პროგრამები ჩვენს ჰორიზონტს, მით უფრო ხედვის ენერგია პერიფერიებში მიგვდის და მით უფრო ხედვის ენერგია ცენტრში კლებულობს და პოლიტიკური სიბეცეც ხომ სწორედ ამასა ჰქვიან — ყველაფრის დანახვა შორ მანძილზედ და არაფრის დანახვა ახლოს!

განსაკუთრებულმა გატაცებამ ინტერნაციონალურის იდეებით, შეჰქმნა ის, რომ გამოტოვებულ იქნა თვით ნაციონალური იდეა და თვით ისინიც კი, რომლებიც ეროვნულ პოლიტიკის მჭედლებად ითვლებიან, უკეთეს შემთხვევაში ისეთ მებრძოლთ მოგვაგონებენ, რომლებიც საბრძოლველად კი გამოსულან, მაგრამ წინდაწინვე დასტირიან თავიანთ მტრებს, რომელთა სისხლი ბრძოლის ველს ჯერ კიდევ არ მიუღია. ასეთი ოპერატიული გულკეთილობა მებრძოლთა ჩვენ მიგვაჩნია ჭეშმარიტ პოლიტიკურ სილაჩრედ.

დრო მოითხოვს, რომ ჩვენი პოლიტიკური პროგრამები განწმენდილ იქნენ იმ ხორცმეტებისგან, რომლებიც ჰქმნიან მხოლოდ მის სანახაობას და არა შინაარსს. ეროვნული იდეა ისტორიის ყველა ხანაში განცვიფრებამდე კონკრეტული იყო, მას მიტომ ითვისებდა ხალხი, რომ იგი სადა იყო და არავითარის აბსტრაქციებით არ იყო დატვირთული. ,,რომი, ან სიკვდილი", — იძახდნენ იტალიელები გარიბალდის მეთაურობით და ეს ორი სიტყვა გასაგები იყო ყოველ პატრიოტ კარაბინერისთვის. ჩვენში კი, მიუხედავად ყოველივე ფიცისა, რომ ეროვნულმა იდეამ მძლავრად გაიდგა ხალხში ფესვები, მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ იდეა ხალხზედ ჯერ კიდევ შორსა სდგას, რათა? იმიტომ, რომ იგი არ არის კონკრეტული, სადა. იგი დატვირთულია აბსტრაქციებით და ხალხს აღარ ეყურება. ეროვნული პოლიტიკა მოძრავი უნდა იყვეს. იგი ცეცხლსა ჰგავს ჩაუქრობელს, რომელიც არასოდეს არ უნდა ქრებოდეს იმიტომ, რომ მისი ანთება ყოველთვის ადვილი არ არის და, როცა ეროვნულ იდეას ზედ აკოწიწებენ სხვა რთულ სოციალურ აბსტრაქციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის განვითარებას აჩერებენ. ეროვნულ უფლებისთვის ბრძოლა ისევე ძველია, როგორც თვით ერი. მას აქვს თავისი მეთოდები, საუკუნეებით ნაკურთხი და ერებიც იმარჯვებდნენ, ვიდრე არ ღალატობდნენ ამ მეთოდებს ბრძოლისას, მაგრამ რა ბოლო უნდა ჰქონდეს ისეთ ბრძოლას, რომელშიაც მთავრობა მხოლოდ ნაციონალურ ნიადაგზედ გვებრძვის და ჩვენ კი კლასობრივ ბრძოლაზედ აგებულს პასუხს ვაძლევთ? ეს არის ნონსენს-ი საქართველოს პოლიტიკური მაჯისცემისა და ვიდრე ჩვენი პოლიტიკის მეთაურნი არ შეიგნებენ ამას, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ამ საშინელ კრიზისს.

,,კლდე" №35, 3 გიორგობისთვე, 9013 წ.

კორუფციის ჭაობში

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს,
(ასლი – სამთავრობო ადმინისტრაციის კანცელარიის გამგეს ქ-ნ მაია ცქიტიშვილს)

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის (ყოფილი) პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის

განცხადება

ბატონო პრემიერ-მინისტრო, შექმნილი საგანგაშო მდგომარეობიდან გამომდინარე გაცნობებთ შექმნილ სიტუაციას და მოგმართავთ თხოვნით, რათა ჩაერთოთ და მოუწოდოთ კულტურის მინისტრს, სამინისტროს დებულების საფუძველზე 6; პუნქტი 3; დ) ქვეპუნქტის თანახმად, გაათავისუფლოთ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი (გოგი) მარგველაშვილი დაკავებული თანამდებობიდან, ვინაიდან მისი რექტორად ყოფნისა 2005 წლიდან დღემდე, თავი ვერ გაართვა მასზედ დაკისრებულ მოვალეობას. იგი წლების განმავლობაში ეწევა რექტორისათვის შეუფერებელ საქმიანობას, რაშიც ხელს უწყობს მისივე აკადემიური საბჭო (საბჭოს წევრები არიან: 1) ავთანდილ ვარსიმაშვილი, 2) ალექსანდრე ქანთარია, 3) რამაზ ხოტივარი, 4) მერაბ ურუშაძე, 5) ნინო სიხარულიძე, 6) უჩა დვალიშვილი, 7) ლელა ოჩიაური, 8) ეკატერინე კიკნაძე). ეს არის მისი მორჩილი საბჭო, რომელიც მონათმფლობელური წესით იმართება. ნებით თუ უნებლიედ საბჭოს წევრები რექტორმა ყველანაირ დანაშაულში ჩაითრია. 13.02.2014 წ. აკადემიურმა საბჭომ გოგი მარგველაშვილი მე3 ვადით, ყველა კანონის დარღვევით, ისევ რექტორად გაიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური საბჭო ოფიციალურად, განცხადებით იქნა გაფრთხილებული (იხილეთ განცხადების დანართი ერთი ფურცელი აკადემიური საბჭოს სახელზე 181/0123; 13.02.2014 წ.), მიუხედავად იმისა, რომ რექტორობის ორი ვადა სრულიად ამოწურული ჰქონდა, აკადემიურმა საბჭომ ყველაფერზე თვალი დახუჭა და შეგნებული გულგრილობა გამოიჩინა. არ გაითვალისწინა შექმნილი გარემოებები, კერძოდ პროკურატურაში გ. მარგველაშვილის მიმართ არაერთი სისხლის საქმეა აღძრული. რის გამოც, მას არჩევნებში მონაწილეობის არანაირი იურიდიული და მორალური უფლება არ ჰქონდა. არჩევნებს დამკვირვებლად ესწრებოდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხელოვნებისმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბნი მერაბ გეგია, არასამთავრობო ორგანიზაციის ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე, ადვოკატი ალექსანდრე კობაიძე.

უკვე წლებია ქ. თბილისის პროკურატურაში (2010 წელს, შემდეგ 2013 წელს აღძრულია სისხლის სამართლის დანაშაულის საქმე რექტორ გოგი მარგველაშვილზე და უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე. 332ე მუხლის პირველი ნაწილი. საქმის ნომერია 10108493; მაგრამ პროკურატურა გამოძიების საქმეს ბოლომდე არ და ვერ ამთავრებს. საქმე გაჩერებულია... თავად გამომძიებლის სიტყვებს მოგახსენებთ: „გააჩერეთ მანანა ბერიკაშვილი კულტურის სამინისტროში და გამოძიების დაწყებადამთავრება თუ არშეგვიძლია, მაგასაც ნახავთო“.

ხოლო რექტორი და მისი კრიმინალური დაჯგუფება თავხედურად გვითვლის თამილა ქამუშაძის პირით: „სანამ ჩვენი მანანა კულტურის სამინისტროშია, მანამდე გოგი მარგველაშვილს თითს ვერავინ დააკარებსო. ასევე ჩვენი კოლეგა და ამჟამად პარლამენტის წევრი, დეპუტატი ნუკრი ქანთარია კი ამბობს: „რამდენიც გინდათ, ილაპარაკეთ 20 წლის შემდეგ ეგ ამბები არავის ემახსოვრება,

არაფერი გამოგივათო. რაც პრესაში არაერთხელ იქნა გასაჯაროებული (იხ. გაზეთი „ქრონიკა+“ 15.04.2014 წ. 15(51), გვ. 10111213) (გაზეთი „ქრონიკა+“ 28. 10.2014 წ. 41(77), გვ. 2627).

წლების განმავლობაში რექტორმა გოგი მარგველაშვილმა და მისმა კლანურკრიმინალურმა დაჯგუფებამ უმაღლესი სასწავლებელი ტოტალურ კორუფციის ჭაობში ჩაძირეს. საქმე ეხება სახელმწიფო თანხების მითვისებაგაფლანგვას, საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, სახელმწიფო დოკუმენტაციების, მათ შორის დიპლომების გაყალბებას (2007 წლიდან დღემდე გაცემულია 5000 გამოუსადეგარი – ყალბი დიპლომი (?!) (რომლებიც სახელმწიფო სტანდარტებს არ ატარებს და არ არის ნამდვილი). ამას უნივერსიტეტის იურისტი ირაკლი ნარმანიაც ადასტურებს და თავად უნივერსიტეტის რექტორსა და აკადემიურ საბჭოს „ბანდას“ უწოდებს. ხოლო, ამ ყველაფერზე კულტურის სამინისტრო თვალს ხუჭავს... ვინაიდან და რადგანაც კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი რექტორ გოგი მარგველაშვილს ლობირებს, რასაც თავად მარგველაშვილი ღიად გვითვლის „ფეხებსაც ვერ მომჭამთ, არ იცით, ჩემს უკან მანანა ბერიკაშვილი დგასო“ (იხილეთ გაზეთი „ქრონიკა+“ 34, გვ. 10, 1216, 2013 წ.)

ასევე, ხელის შემშლელი ფაქტორი გახლავთ კულტურის მინისტრის მოადგილე ლევან ხარატიშვილი, რომელიც კულტურის სამინისტროში მანანა ბერიკაშვილმა წაიყვანა. ხოლო ლ. ხარატიშვილის დედა თამარ (ტატა) ვეეფხვაძე თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის უფროსია (იგივე თანამდებობა უკავია თამარ ვეფხვაძეს ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში). სწორედ თამარ (ტატა) ვეფხვაძე და რექტორი გოგი მარგველაშვილი უშუალოდ არიან პასუხისმგებელი პირები დიპლომების გაცემის ხარისხზე. მოგეხსენებათ, დიპლომები სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტაციაა. გაყალბებული დიპლომები, რომელსაც რექტორი გ. მარგველაშვილი გასცემს, აშშის საელჩოში იქნა აღმოჩენილი, როდესაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა აშშში გადაწყვიტეს წასვლა სწავლის გასაგრძელებლად. მათ საელჩოში აცნობეს, რომ დიპლომი არ იყო სახელმწიფო სტანდარტების მატარებელი და არ იყო ნამდვილი, რის გამოც საზღვარგარეთ სწავლას ვერ გააგრძელებდნენ. გამოუსადეგარი გაყალბებული დიპლომები თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2007 წლიდან დღემდე გაიცემა... გაყალბებული დიპლომების რაოდენობა ათასებს ითვლის, რაც ჟურნალისტური გამოძიების შედეგად იქნა გამოვლენილი. ამის ფაქტები ხელზე გვაქვს 11.09.2015 წ. 63716; ასევე 02.10.2015 წ. 66005.

საინიციატივო ჯგუფი, უკვე მეშვიდე თვეა, ოფიციალურად, განცხადებით ვითხოვთ კულტურის მინისტრთან მიხეილ გიორგაძესთან შეხვედრას, რათა უშუალოდ მივაწოდოთ დანაშაულებრივი ფაქტები და სამინისტროს დებულების – მინისტრის უფლებამოვალეობანი მუხლი 6. დ) ქვეპუნქტის თანახმად, გაათავისუფლოს რექტორი გ. მარგველაშვილი დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ მინისტრი არ გვხვდება, გვემალება.

ხანგრძლივი საპროტესტო აქციების შემდეგ, ჩვენივე მოთხოვნით 2014 წლის დეკემბერში კულტურის სამინისტრომ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაატარა აუდიტორული შემოწმება. აუდიტებმა ჩვენს მიერ მიწოდებული 12პუნქტიანი დარღვევებიდან 8 საერთოდ არ შეისწავლა, 4 საკითხი ძალიან ზედაპირულად და მხოლოდ ერთ საკითხზე, ენციკლოპედიის საქმეზე დაწერა დარღვევა. ეს საკითხიც, ჩვენი, პროფესორმასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის ძალისხმევით გამოაშკარავდა. როდესაც პირადად შევხვდით სამინისტროს აუდიტებს ვაჟა ხმალაძეს და კახა კაკაჩიას 2014 წ. 10 დეკემბერს.

რაც შეეხება ენციკლოპედიის საქმეს, წლების განმავლობაში არამიზნობრივად გახარჯულია საბიუჯეტო თანხები 409420 (ოთხას ცხრა ათას ოთხას ოცი) ლარი და საქმე დღემდე შეუსრულებელია. ინსპექტირების დასკვნაში აუდიტებმა მისცეს დამატების დრო, რათა დაესრულებინათ და გამოეცათ სამტომეული ენციკლოპედია. ამიტომ დასკვნაში ჩაწერეს დამატებითი ვადები 2015 წლის 16 თებერვალი (პირველი ტომი), 2015 წლის 1 მაისი (მეორე ტომი), 2015 წლის 1 ივლისი (მესამე ტომი) აღნიშნულ ვადებში საქმე ისევ არ შესრულდა. ამის შემდეგ რექტორმა გ. მარგველაშვილმა აკადემიურ საბჭოსთან ერთად დაარღვია ინსპექტირების დასკვნის ვადები და ენციკლოპედიის რედაქტირების საბოლოო ვადა 2015 წლის 2 ნოემბრით განსაზღვრეს. თუმცა, სამუშაო ვერც 2 ნოემბერს შესრულდა ამ ყველაფერზე კულტურის სამინისტრო ისევ თვალს ხუჭავს... ხოლო, ყოვე-

ლივე ეს უკვე სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის დაფარვის ხელშეწყობა. ჩვენი აქციების შედეგად, მოიხსნა იმჟამინდელი კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, მიუხედავად ამისა, კულტურის მინისტრის მოადგილემ მანანა ბერიკაშვილმა მოახერხა და ისევ დარჩა თანამდებობაზე, ხოლო, ამის შემდეგ მანანა ბერიკაშვილის ფაქტორი კიდევ უფრო ნეგატიურად გამოიკვეთა... თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში რემონტების თემა საერთოდ ცალკე საუბრის საგანია, რასაც ამჟამად არ შევეხებით...

ბატონო გიორგი, ასევე დამატებით გაცნობებთ, არც კულტურის სამინისტრო და არც პროკურატურა ჯერჯერობით არ და ვერ ინტერესდება, თუ სად გაქრა 500 000.00 (ხუთასი ათასი) ლარი, რომელიც კულტურის სამინისტროდან მანანა ბერიკაშვილმა ჩაურიცხა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 2014 წლის მაისში.

მოგახსენებთ, სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს კულტურის სამინისტროში მანანა ბერიკაშვილი კურირებს. ეს თანხა უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშიდან ისე გაქრა, რომ საქმეს არ მოხმარდა... თანხა, უნივერსიტეტის კინო ფაკულტეტისთვის იყო გამოყოფილი. კერძოდ, ფაკულტეტის სასწავლო სტუდია უნდა აღჭურვილიყო უახლესი მატერიალურტექნიკური ბაზით, რაც არ შესრულდა...

ბატონო გიორგი! არ შეიძლება, უმაღლეს სასწავლებელს ხელმძღვანელობდეს ადამიანი, რომელიც ბოროტად იყენებს თავის უფლებამოსილებას, რმოელმაც უამრავი თაობები დაღუპა, ტოტალური კორუფცია, ძალმომრეობა და ათასგვარი სიბინძურე წესად დანერგა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. არ შეიძლება, უმაღლეს სასწავლებლის ხელმძღვანელი ერქვას ადამიანს, რომელიც უკანონოდ, მესამე ვადით რჩება ისევ და ისევ რექტორის თანამდებობაზე, რომელიც ღია და თავხედურად გვითვლის „პრესა თქვენია, პროკურატურა კი – ჩემიაო“ (იხ. გაზეთი „ქრონიკა+“ 18(54), გვ. 910; 13.04.2014 წ.). ასევე გვითვლიან: „რით ვერ დაიღალეთო...“ ამ პრიმიტიულ, კრიმინალურ აზროვნებაზე დგანან და „მოღვაწეობენ“ ზემოხსენებული პირები... ჩვენ კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: არ დავიღლებით და არც ვაპირებთ, რომ დავიღალოთ...“

სწორედ, გ. მარგველაშვილისა და მისი კლანურ-კრიმინალური დაჯგუფების შედეგია, რომ ფუნქცია დაკარგა თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და დღეს მთლიანად დემორალიზებულია... არ შეიძლება, უმაღლეს სასწავლებლის რექტორი ქვეყნისა და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიოდეს და ისევ თანამდებობაზე რჩებოდეს.

ბატონო პრემიერმინისტრო, სწორედ, ამიტომ ვითხოვთ თქვენს მყისიერ მოქმედებას, რათა დაუყოვნებლივ იქნას გათავისუფლებული გოგი მარგველაშვილი რექტორის თანამდებობიდან. გადაარჩინეთ ქართული ხელოვნების, ქართული თეატრისა და კინოს სამჭედლო!

10.03.2016
#8016

პატივისცემით,
მარინე მიქაუტაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორმასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი.

მერაბ გეგია, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი.

გია ჭუბაბრია, კინორეჟისორი, დოკუმენტალისტი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მსოფლიო სხვადასხვა პრემიების ლაურეატი.

ნინო მაჭავარიანი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალ თეატრი და ცხოვრების პასუხისმგებელი მდივანი.

ლარისა (ლალი) ძებისაშვილი, კანცელარიის გამგე.

(მთავრობის ადმინისტრაციის ჩაბარებული წერილი #16663, 13.05.2016.

ხსოვნა

თეიმურაზ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე

თეიმურაზ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, გამომგონებელი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, შინაგანი კულტურით, პატრიოტიზმით. საქართველოს პირველი რესპუბლიკის (19181921 წ.წ.) თავდადებული განათლების, შემდგომ – სამხედრო მინისტრის გრიგოლ ლორთქიფანიძის ვაჟი ღირსეულად ატარებდა გულში ილია მართლის საკრალურ ტრიადას: „მამული, ენა სარწმუნოება, საქმით და სიტყვით ამკვიდრებდა წინაპართა ტრადიციას ერისა და ქვეყნის დასაცავად.

ბატონი თეიმურაზი იყო საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს საპატიო წევრი, ყველა კონფერენციის, სამეცნიერო ქოლოქვიუმის აქტიური მონაწილე. მან დააარსა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება, ლორთქიფანიძეთა გვარის პატრიარქად ითვლებოდა. დევნის, შანტაჟის, რეპრესიების მიუხედავად, საბჭოთა რეჟიმის წლებში, მან შექმნა ღირსეული ოჯახი, უზიარებდა ახალგაზრდული შემართებით საკუთარ ცოდნას, გამოცდილებას, მეცნიერულ ხედვას მოწაფეებს, კოლეგებს, სტუდენტებს. ღირსეულმა პიროვნებამ ღირსეულად დატოვა წუთისოფელი სიყვარულით და იმედით გულში.

თეიმურაზ ლორთქიფანიძე,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი

ყველა პარტიის ლიდერს, ყველა პარტიის წევრს, საქართველოს ყველა ნამდვილ პატრიოტს!

გთხოვთ, გაერთიანდეთ. თქვენ შემოგყურებთ საქართველოს მოსახლეობა და ხსნას თქვენს ერთად ყოფნაში ხედავს. გადადეთ გვერდზე პირადი ამბიციები, ამბიცია ხომ არაფერია იმ დიდ საქმესთან შედარებით, რაც თქვენ ყველამ ცალ-ცალკე და ერთად უნდა აკეთოთ.

შეთანხმდით, დაწერეთ „ზნეობის კანონი“ (თუმცა „დაუწერელი“ უკვე არსებობს), რომელიც აიძულებს თითოეულ პოლიტიკოსს, უხამსობის მორევში არ გადაეშვას და უკადრებელი არ აკადროს მოწინააღმდეგეს.

ბატონებო! შეიძლება არ „გეპიტნავებათ“ ერთმანეთი, მაგრამ არსებობს წმიდათაწმიდა, რომელსაც სამშობლო ჰქვია და ამისათვის ნამდვილად, ნამდვილად ღირს თქვენი გაერთიანება! სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ყველა თქვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ ხალხი ყველაფერს ხედავს და კარგად იცის, ვის აქვს ზნეობა, ვინ უზნეოა, ვინ „სპეკულიანტობს“ ეროვნულობით და ვინ ნამდვილად პატრიოტია. ხალხი ყველაზე დიდი კრიტიკოსია (გეშინოდეთ) – თუ ერთხელ ამოგიგდოთ გულიდან, მერე ვეღარაფერი გიშვებით – ვერც დაპირება და ფული, ვერც ძვირადღირებული კლიპები. ყველფერი უკან დაგრჩებათ პირად ამბიციებთან ერთად.

ამიტომ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ – ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად იმოქმედეთ ზნეობრივად და გაერთიანდით. ყველაზე ტრადიციული და სანდო „იარაღი“ ხომ ერთად დგომაა.

ხსოვნა



ნიჭიერმა, უზომოდ კეთილმა, თავმდაბალმა მხატვარმა დემურ გრიგოლიამ ცხოვრება და შემოქმედებითი ძიებანი სილამაზისა და სიყვარულის ხოტბას უძღვნა.

ყველას – კოლეგებს, შეგირდებს, თაყვანისმცემლებს უყვარდა ეს რაინდული სულისკვეთების, სიტყვაძუნწი პიროვნება, საინტერესო ფერმწერი და თვითმყოფადი მოაზროვნე.

თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა პეტერბურგის რეპინის სახ. ინსტიტუტში (ყოფილი სამხატვრო აკადემია). სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრაზე. დემურ გრიგოლიამ გაუზარდა ერს მრავალი თაობის მხატვარი, ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ხელოვნებაში.

მანანა გიგინეიშვილი
მხატვარ-გრაფიკოსი

დ. გრიგოლია **მხატვრის სახელოსნო**

დ. გრიგოლია **ქალის პორტრეტი**

ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ჯუნის) სახელობის თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

(დაარსებული კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და პატრონაჟით)

- ❖ ლიცეანტები წარჩინებით აბარებენ საატესტატო და ეროვნულ გამოცდებს;
- ❖ სკოლა-ლიცეუმს ჰყავს მოძღვარი; დამკვიდრდა სახარების, კატეხიზმოს, „ვეფხისტყაოსნის“ პროგრამები; ისწავლება ეტიკეტი, ჭადრაკი, სამბო, კალიგრაფია, გალობა, ქართული ცეკვა;
- ❖ I–VI კლასებში წლიურ გადასახადში შედის კვება, გაკვეთილების მომზადება, მუშაობს გახანგრძლივებული ჯგუფი 9.00-18.00 სთ., დამატებით, სურვილისამებრ, ტრანსპორტი და ცურვა;
- ❖ მაღალი რანგის პროფესიონალები მოზარდებს შეასწავლიან საგნების ძირითად არსს, გაუღვივებენ ლტოლვას კითხვისადმი, გაუძლიერებენ ეროვნულ-ქრისტიანულ მრწამსს, გააცნობენ ქართული კულტურის, ისტორიის უნიკალურ მიღწევებს;
- ❖ 4-5 წლის აღსაზრდელთათვის გაიხსნა საბავშვო ბაღი სკოლისთვის მოსამზადებელი პროგრამით;
- ❖ დირექცია გაითვალისწინებს მრავალშვილიანთა, სოციალურად დაუცველთა და დევნილთა მდგომარეობას.

ჯ. ბაგრატიონის №6 ტელეფონი: 2 38 46 72 ელფოსტა: nikobagrationi@gmail.com
6 J. Bagrationi str. Tbilisi 0160 Georgia. Tel.: 2 38 46 72 Email: nikobagrationi@gmail.com

ლიცეუმის სტუმარი — მეუფე იოანე (გამრეკელი)

„სამეფო გვირგვინის“ კონფერენცია ლიცეუმში

ISSN 2346-7886
9 772346 788003

საქართველოს თავადაზნაურობა საკრებული, ულოცავს დედოფალ ელიზაბედ მეორეს, ბრიტანეთის იმპერიაში ყველაზე ჯრეტ ელოვანთან მონარქს, 90-ე დაბადების დღეს! დიდ ჯრეტ ელიზა და ოქროთმა ანდიოცოს დედოფალი!

The aristocracy of Georgia congratutets the longest-reigninh monarch in British history, Queen Elizaberh II with 90 –th birthday! Long life and Good bless the Queen!